კვირას ფოსტით[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, [illegible]

მთავარი კანტორა — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24; [illegible]

კვირა, 24 იანვარი 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 18 (1473)

## დღიური

— ... გვარებული კონფლიქტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე.
— პოლონეთში მოსალოდნელია ეხლანდელი მთავრობის კოალიციის დაშლა.

---

ორშაბათს, 25 იან. საღამოს 6 საათზე [illegible]

თბ. მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

[illegible]

პრეზიდიუმი

---

ა. წ. იანვრის 25-ს ქ. ერევანში გაიხსნება ა.-კ. ცაკ-ის III-ე სესია

ქ. თბილისში მყოფ ა.-კ. ცაკის ყველა წევრებს და კანდიდატებს საქართველოდან ევალებათ გაემგზავრონ ქ. ერევანში, ა.-კ. ცაკის სესიის სხდომებზე მონაწილეობის მისაღებად.

მატარებელი ერევანში გადის ქ. თბილისიდან კვირას, იანვრის 24 ს, ნაშუადღევის 5 საათზე.

ცაკის მდივანი—ს. თოდრია.

# მდგომარეობა მანჯურიაში

## ჩიჩერინის ნოტა

**მოსკოვი, 23 იანვარი.** ამხ. ჩიჩერინმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა ჩვენს ელჩს ჩინეთში ამხ. კარახანს ჩინეთის მთავრობისათვის გადასაცემათ პეკინში, და აგრეთვე ჩჟან ძო-ლინისათვის მუკდენში:

„21 იანვარს ხარბინში ჩინეთის სამხედრო ხელისუფლების მიერ დაპატიმრებულ იქნა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველი ივანოვი, ამასთანავე ყოველგვარ ცდის გარეშე ადგილობრივ ხელისუფლების მხრით საქმე მოეგვარებია საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების გზით.

ხარბინის ხელისუფლების მიერ ამ გაუგონარ საქციელს ადგილი ჰქონდა მას შემდეგ, რაც ხუთი დღის განმავლობაში სისტემატიურათ ირღვეოდა საბჭოთა კავშირის და ჩინეთის შეთანხმება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, და გზის სამმართველო ფაქტიურად ჩამოშორებული იყო თავის მოვალეობის ასრულებიდან სამხედრო ხელისუფლების მიერ, რომელიც ხელს უწყობდა წესრიგის დარღვევას რკინის გზაზე და მატარებლების ხელში ჩაგდებას სამხედრო ნაწილების მხრით.

ჩვენ ველით ჩინეთის მთავრობიდან სწრაფ ზომების მიღებას საკითხის მშვიდობიანათ გადასაჭრელათ, და ამავე დროს გამოძიებული უნდა იქნეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევები როგორც ერთის, ისე მეორეს მხრიდან.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ სამი დღის განმავლობაში აღდგენილი იქნეს წესრიგი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ხელშეკრულების თანახმად და ივანოვის განთავისუფლებას.

იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზების გამო ჩინეთის მთავრობა ვერ შესძლებს მშვიდობიანი გზით უზრუნველყოს ამ საკითხის გადაჭრა ნაჩვენებ დროის განმავლობაში, საბჭოთა მთავრობა სთხოვს ჩინეთის მთავრობას ნება დართოს საბჭოთა კავშირს საკუთარი ძალებით უზრუნველყოს ხელშეკრულობის განხორციელება და დაიცვას ორივე მხარის—ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ინტერესები აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზაზე.

ჩჟან-ძო-ლინის მთელი დაგროვილი რეაქციონური ენერგია აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის წინააღმდეგ მიმართულს, რათა იგი საბოლოოდ ხელში ჩაიგდოს, მიუხედავათ ყველა იმ ხელშეკრულებათა, რომლებიც დადებულ იქნა ჩვენს კავშირსა და პეკინის ცენტრალურ მთავრობას და თვით ჩჟან-ძო-ლინს შორის.

შესაძლებელია ჩჟან-ძო-ლინი ზოგიერთ სხვა ძალების ლოცვა-კურთხევით მოქმედებს; ყოველ შემთხვევაში, ის განაგრძობს თავის ძველ პოლიტიკას, საბჭოთა კავშირის და იაპონიის ურთი-ერთობის გართულების პოლიტიკას. მან უარი სთქვა ამ პოლიტიკაზე, როცა თვით მის არსებობას საფრთხე მოელოდა, ეხლა კი ისევ უბრუნდება ძველ გზას. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ ის, რომ ასეთი პოლიტიკა, დაბოლოს მხოლოდ მას მიაყენებს ზიანს. მიუხედავათ ახლო წარსულში მომხდარ ამბებისა, მან ვერაფერი ისწავლა და ვერაფერი დაივიწყა. ისტორია მას კიდევ ერთხელ მისცემს გაკვეთილს, რომლის შედეგი ამ შემთხვევაში შეიძლება მისთვის ნაკლებ ხელსაყრელი იქნეს. ის, ვინც წინ ელობება ნორმალური ურთი-ერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირსა, ჩინეთსა და იაპონიას შორის, თვით შეიძლება გაქყლეტილ იქნეს, დე, ამას ჩჟან-ძო-ლინი ნუ დაივიწყებს!

ჩვენ სასტიკ პროტესტებს განვაცხადებთ ჩჟან-ძო-ლინის მაგვარ გენერლების თავხედური ყოფაქცევის წინააღმდეგ, რომელნიც სცდილობენ, რომ სამ დიდ სახელმწიფოს შორის ურთი-ერთობა და მეგობრობა მოსპონ და ვიტოვებთ უფლებას დადებულ ხელშეკრულების შესრულება მოვითხოვოთ. ჩვენ პატიოსნად და მტკიცედ ვასრულებთ ჩვენს ვალდებულებებს, რომელნიც თავისთავზე მივიღეთ საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიხედვით, და ამასვე მოვითხოვთ სხვა სახელმწიფოებიდანაც.

ჩვენ არავის ნებას არ მივსცემთ, რომ პროვოკაციული მოქმედებით დამოკიდებულება გაგვართულებინონ ჩინეთთან და იაპონიასთან, და ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ ჩინეთი და იაპონიაც დაგვეხმარება“.

## კონფლიქტი მოგვარებულია

**ბერლინი, 23 იანვარი.** პეკინიდან მიღებულ ცნობის მიხედვით აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზაზე მდგომარეობა ნორმალურ ხასიათს ღებულობს პეკინის და მოსკოვის მთავრობის გაერთიანებულ ღონისძიებათა შემწეობით. იუწყებიან, რომ **ჩჟან-ძო-ლინმა თავის ჯარებს უბრძანა ხელი არ შეუშალონ რკინისგზაზე მიმოსვლას. საბჭოთა აგენტებმა განაახლეს მიმოსვლა.**

## გრანდტის დეპეშა კარახანს

**ხარბინი, 22 იანვ.** ხარბინის გენერალურმა კონსულმა გრანდტმა სრულუფლებიან წარმომადგენელს კარახანს პეკინში დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც სწერს:

„გაცნობებთ, რომ 17 იანვარს 17 საათზე ჩინეთის სარდლობამ თავის ნებით და ძალით გაგზავნა სამგზავრო მატარებელი. მატარებელი მიჰყავდათ მოსამსახურეებს, რომელთაც დახვრეტით ემუქრებოდენ.

გზის სამმართველომ არა ერთხელ აცნობა ჩინეთის სამხედრო სარდლობას, რომ როგორც კი შეწყდება ჯარისკაცთა უწესოება, რომელიც შეუძლებლად ხდის რკინის გზის ადმინისტრაციის მუშაობას, მოძრაობა რკინის გზაზე ავტომატიურად აღდგენილ იქნება, მაგრამ ამისდამიუხედავათ, უწესოება და თავგასულობა აქამდის გრძელდება.

კუა ჩენ-ძის სადგურზე სამხედრო სარდლობა აწყობს 40 ვაგონს და ძალით გზავნის ხარბინში.

როგორც სჩანს, ჩინეთის სამხედრო სარდლობის მიზანია გზის მუშაობის შეჩერება ყველა რაიონებში.

ჩინეთის სამხედრო სარდლობა აქეზებს ჯარისკაცთა უწესო საქციელს, რაც საფრთხეს უქმნიდეს რკინის გზას. დღეს იმიან-პოს სადგურზე 13 ჯარისკაცმა ხელში ჩაიგდო ორთქლმავალი და რადგან მემანქანეს დახვრეტას ემუქრებოდა, ის აიძულა ცხი მიჰყე სადგურისკენ წასულიყო, თუმცა იმიან-პოში ხარბინიდან სამგზავრო მატარებელი და 3 საბარგო ვაგონი მიდიოდა· ამგვარად უნდოდათ მატარებლების დაჯახება მოეხდინათ.

მუკდენის შეთანხმების წინააღმდეგ სამხედრო სარდლობა ცდილობს ჯარების უფასოდ გადაყვანა განაგრძოს, რასაც ის უკანონოდ აწარმოებდა უკანასკნელ წლებში.

ის ზომები, რომელსაც ჩინეთის სამხედრო სარდლობა მიმართავს გაუგონარი და აღმაშფოთებელია. არსებულ მდგომარეობაში რკინის გზის სამმართველოს არ შეუძლია მიიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა მოძრაობის და წესრიგის დაცვისათვის. ამ წმინდა საქმიანობა დღევამ, ადგილობრივ სამხედრო სარდლობის წყალობით საშინლად მწვავე ხასიათი მიიღო“.

## ჩჟან-ძო-ლინის პროვოკაცია

**მოსკოვი, 22 იანვ.** „იზვესტიას“ მოწინავე წერილში „ჩჟან-ძო-ლინის პროვოკაცია“—სწერია:

„უკანასკნელ ამბების გამო ჩინეთის რეაქცია ჩჟან-ძო-ლინის სახით იმდენად დასუსტდა და დაზიანდა, რომ ვერც ისე ადრე მოიშუშებს იარებს. ვერავის ვერ შეაცდენს ის გარემოება, რომ ჩჟან-ძო-ლინმა აჯობა გო-სუნ-ლინს; ჩჟან-ძო-ლინის ძალები შესამჩნევად შემცირდა და მისი როლი, როგორც მანჯურიის მბრძანებლისა და ბატონ-პატრონისა, რომელიც გავლენას ახდენდა მთელ ჩინეთზე და თავის ნებისყოფას უკარნახებდა მთელ ჩრდილოეთ ნაწილს, დიდიხნით დამთავრებულია. მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჩჟან-...

## უწესოება გრძელდება

**ხარბინი, 23 იან.** ჩჟან-ძო-ლინის ჯარების სარდლობა განაგრძობს უწესოებას აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზის სამხრეთ ხაზზე.

21 იანვარს მან თავისი ნებით გაგზავნა სამხედრო ეშელონი. ამასთან დაკავშირებით გზის მმართველმა ივანოვმა სრულიად აკრძალა დროებით მოძრაობა სამხრეთ ხაზზე.

შტაბმა ოფიციალურათ შეატყობინა გზის სამმართველოს, რომ შტაბთან დაარსდა „მიმოსვლის კომიტეტი“, რომელიც ხელს შეუწყობს სამხრეთის ხაზზე მიმოსვლასო.

ხარბინის სადგურის უფროსთან გამოცხადდა პოლიცია და მოითხოვა დამოწმებლება მთავარ მართებლის [illegible]ის, ან და სადგურის გადაცემა ამას წინად გამორიცხულ თეთრგვარდიელისთვის. ხარბინის სადგურის ხელში ჩაგდება ნიშნავს მთელი გზის ხელში ჩაგდებას. ამასთან დაკავშირებით ძლიერდება მღელვარება მუშებში და მოსამსახურეებში.

## პროვოკაცია

**ხარბინი, 23 ინვ.** იაპონიის კონსული ცდილობს ჩაითრიოს დიპლომატიური კორპუსი ამ კონფლიქტში. ინგლისის და ამერიკის კონსულები ამის წინააღმდეგი არიან.

## მაინც მუშაობენ

**ხარბინი, 23 იანვ.** მიუხედავათ შევიწროებისა და პროვოკაციულ გამოსვლებისა პოლიციის მხრით, გზის მოსამსახურენი მაინც განაგრძობენ თავის მოვალეობის შესრულებას.

## ცენზურა

**ხარბინი, 22 იანვ.** ჩინეთის ცენზურა არ უშვებს არავითარ ცნობებს საქმის მდგომარეობის შესახებ რკინის გზებზე; ნებადართულია მხოლოდ შტაბის ბრძანებლების ბეჭდვა.

## მეორე ნოტა

**ხარბინი, 22 იანვ.** საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა გრანდტმა მეორე ნოტით მიმართა ხარბინის დიპლომატიურ კომისარს გირინეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზებზე შეუწყვეტლივ უწესოების მოხდენის გამო ჩინეთის სარდლობის მხრით.

## ივანოვის დაპატიმრება

**ხარბინი, 22 იანვ.** 21 იანვარს ჩინეთის სამხედრო ხელისუფლებამ დააპატიმრა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის მმართველი ივანოვი და წაიყვანა ჩინეთის ჯარების მთავარ შტაბში.

საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა გრანდტმა სასტიკი პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი განთავისუფლება.

გენერალ ჩჟან-ხუან-სიანმა ვაუგზავნა გზის სამმართველოს შემდეგი წ[illegible]: „ივანოვი გაწვეულია შტაბში დასაკითხავად. გთხოვთ დაითხოვოთ ის სამსახურიდან და დანიშნოთ გზის მმართველად ორი მისი თანაშემწე, ერთი მათგანი ჩინელი, რომლებმაც უნდა იმსახურონ ერთად, და ბრძანებას ხელი ერთად მოაწერონ“.

სამმართველოს საბჭოთა წევრებმა პროტესტი განაცხადეს ივანოვის დაპატიმრების გამო და უარი სთქვეს რაიმე მოლაპარაკების წარმოებაზე ივანოვის განთავისუფლებამდე.

სამმართველოს საბჭოთა წევრების განკარგულებით ივანოვის მოადგილე ეიმონტი დაინიშნა გზის მმართველათ, რომელიც შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. პოლიცია ეძებს ეიმონტს და სხვა საბჭოთა მოხელეებს.

## მდგომარეობა რთულდება

**ხარბინი, 22 იანვ.** საბჭოთა საკონსულო გარშემორტყმულია პოლიციით; არავის არ უშვებენ საკონსულოში გარდა საკონსულოს თანამშრომლებისა. ტელეგრაფი დაკავებულია პოლიციით.

მდგომარეობა გართულებულია. გამოვიდა პირველი ნომერი არალეგალურ გაზეთის „მუშათა ბიულეტენი“, სადაც ნათქვამია: „მოთმინების ფიალა აივსო. ამდენი უწესოება დაუშვებელია. ძირს თეთრგვარდიელები, ჩინეთისა და იაპონიის იმპერიალისტები“!

# ემიგრანტების დაბრუნება პარიზიდან

**პარიზი, 22 იანვარი.** საქართველოში გამოემგზავრნენ: ჯაფარიძე, კაჩუხაშვილი, გლახოიანი, ინნაძე, გოგიბაშვილი და ნაცვლიშვილი.

# იაპონიის პარლამენტის სესიის გახსნა

**ტოკიო, 22 იან.** 20 იანვარს გაიხსნა იაპონიის პარლამენტის სხდომა.

საანგარიშო მოხსენებები მთავრობის პოლიტიკის შესახებ გააკეთეს პრემიერმა კატომ, საგარეო საქმეთა მინისტრმა შიდეხარამ და ფინანსთა მინისტრმა ხიმაგუციმ.

თავისი სიტყვის დასაწყისში პრემიერმა კატომ აღნიშნა, რომ წარსული წლის იანვარში იაპონიასა და საბჭოთა კავშირის შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება დიპლომატიური ურთიერთობის განახლების შესახებ. ამით საფუძველი ჩაეყარა ამ ქვეყნებს შორის არსებულ მორიგ პრობლემების გადაჭრას. წარსული წლის დეკემბერში იაპონიის კონცერნებს და საბჭოთა სათანადო დაწესებულებებს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულებები ნავთის და ნახშირის კონცესიების შესახებ სამხრეთ სახალინზე.

„ჩვენ—განაცხადა კატომ—სავსებით კმაყოფილნი ვართ მიღწეულ შედეგით, რადგან ჩვენი მიზანია საბჭოთა კავშირთან მეგობრული განწყობილების დამყარება და საკუთარი ეკონომიური ცხოვრების განვითარება“.

მთავრობის წარმომადგენლების გამოსვლის შემდეგ ბარონ საკატანიმ შემოიტანა სასწრაფო შეკითხვა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტის შესახებ. საპასუხოდ გარეშე საქმეთა მინისტრმა შიდეხარამ განაცხადა, რომ კონფლიქტს არა აქვს პოლიტიკური ხასიათი და რომ ის ეხება მხოლოდ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს. შიდეხარამ დაუმატა, რომ მისი აზრით, არ არსებობს სამხედრო შეტაკების საფრთხე და, რომ მთავრობა თვალყურს ადევნებს კონფლიქტის განვითარებას.

# გერმანელი ს.-დ. უკან იხევენ

**ბერლინი, 22 იანვარი.** სამეფო გვარეულობის ქონების აუნაზღაურებლათ ჩამორთმევის საკითხში გერმანიის კომპარტიამ მნიშვნელოვან პრაქტიკულ შედეგებს მიაღწია და სოც. დემოკრატია აიძულა სავსებით უკან დაეხია. ამასთან ერთად კომპარტია დიდ მუშაობას ეწევა, რომ ერთიანი ფრონტი შექმნას სხვა მნიშვნელოვან საკითხებშიც განსაკუთრებით ლუტერის რეაქციონულ კაბინეტისა და რეიხსტაგის დათხოვნის საკითხში.

27 იანვარს მთელს გერმანიაში კომპარტიის ხელმძღვანელობით გამართება დემონსტრაციები როგორც სამეფო გვარეულობის უტიფარ მოთხოვნილებისა, ისე მწარმოებელთა იგრიშებისა და ლიუტერის რეაქციონულ კაბინეტის წინ აღმდეგ.

**ბერლინი, 22 იანვარი.** სოც.-დემ. პარტიის წინადადებით კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის შუამავლობა იკისრა სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების პრეზიდიუმმა, რომელმაც დაადგინა მოწვეული იქნას ამ პარტიათა წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა ყოფ. მეფის გვარეულობისათვის ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურების საკითხის განსახილველად.

# განიარაღების კონფერენციის გარშემო

## კიდევ გადასდეს

**ბერლინი, 22 იანვარი.** შვეიცარიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ერთა ლიგასთან ახლო მდგომ წრეებში ფიქრობენ, რომ განიარაღების კონფერენციის მომწყობ კომისიის მოწვევა გადადებული იქნება აპრი[illegible], რომ [illegible]ლისათვის. კომისიის სამუშაო [illegible]დგილათ ისევ ჟენევა დარჩება.

აგრეთვე იუწყებიან, რომ ახლო მომავალში, ალბათ, გერმანიისაგან მიღებულ იქნება თხოვნა ერთა ლიგაში მიღების შესახებ.

# მდგომარეობა ინგლისის ნახშირის მრეწველობაში

**ლონდონი, 23 იანვ.** მაღაროს მუშების ლიდერების უკანასკნელ სიტყვებში წითელი ზოლათ გავლებულია მათი მისწრაფება, რომ თავიდან აცილებულ იქნეს გაფიცვა მაისში, როცა ნახშირის მრეწველობის მდგომარეობა, ეხლანდელი სუბსიდიის ვადის გასვლის გამო, გადასინჯულ უნდა იქნეს. მაღაროს მუშების ფედერაციის მდივანმა იმედი გამოსთქვა, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად დამთავრდება. სამთო-მადნო მუშების ფედერაციის წევრმა ვარლეიმ იმედი გამოსთქვა, რომ კრიზისი თავიდან აცილებულ იქნება. ასეთივე აზრი გამოსთქვა ბრიჯმენმა, კაბინეტის ყოფილმა წევრმა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებაში მაღაროს მუშებსა, მაღაროს მეპატრონეებსა და მთავრობას შორის, რამოდენიმე თვის წინად, როცა კონფლიქტმა მწვავე ხასიათი მიიღო.

გაზეთები ფიქრობენ, რომ ბალდუინი თავის მომავალ გამოსვლაში სონდერლენდში მოუწოდებით მიმართავს ნახშირის მრეწველობით დაინტერესებულ მხარეებს მიიღონ სამეფო კომისიის დასკვნები, რომელნიც მათი შერიგებისაკენ არის მიმართული.

# ამიერ-კავკასიის ცაკის სესიის გამო

დღეს ერევანში, საბჭოთა სომხეთის დედა-ქალაქში, იკრიბება ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესია. ამ ფაქტს, სახელდობრ იმას, რომ ეს სესია პირველად იყრის თავს თბილისის გარეთ, უსათუოდ თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამის შესახებ გვქონდა შემთხვევა ამას წინათ უფრო დაწვრილებით გამოგვეთქვა ჩვენი აზრი.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებენ ის საკითხები, რომელნიც ცაკის სესიის დღის წესრიგში დგანან და რომელთა სწორ გადაჭრაზეც ბევრათაა დამოკიდებული ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკათა შემდეგი ეკონომიური წინსვლა და ადმინისტრატიული კეთილმოწყობა.

ერთ-ერთ მთავარ საკითხს ცაკის დღის წესრიგში ამიერ-კავკასიის სამეურნეო მდგომარეობა წარმოადგენს. რანაირი სურათი გვაქვს ჩვენ ამ მხრივ?

დაახლოებით ორი კვირის წინათ გაზეთებში გამოქვეყნდა საგეგმო კომისიასთან არსებულ საკონიუნქტურო საბჭოს ეკონომიური მიმოხილვა, რომელიც შეეხებოდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო მდგომარეობას წარსულ ნოემბერში. მას შემდეგ, სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, მდგომარეობა ბევრათ არ გამოცვლილა. მით უფრო, რომ ამ მიმოხილვაში აღნიშნულია მთელი რიგი ისეთი მოვლენები, რომელნიც ერთი თვის დამახასიათებელ მოვლენათ არ ჩაითვლება.

საბჭოთა კავშირის საერთო ეკონომიურ ზრდას არც ამიერ-კავკასიის ფედერაცია ჩამორჩენია. ეს ზრდა, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ თვიდან-თვეზე შინავაჭრობა, როგორც საბითუმო, ისე საცალო, შეუჩერებლივ ფართოვდება, რაც აიხსნება უმთავრესად სოფლის მეურნეობის აღორძინებით და გლეხის სყიდვითი უნარიანობის მნიშვნელოვანი ზრდით.

ტეხნიკურ კულტურის სწრაფმა აღორძინებამ (მებამბეობა), მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ წლების განმავლობაში, მეჯოგეობის ზრდამ (მატყლის დამზადება) ბევრათ წინ წასწია ამიერ-კავკასიის სოფლის საქონლიანობა და აღებ-მიცემობა შესამჩნევად გააღრმავა.

მაგრამ საქონლის ტრიალი ამიერ-კავკასიის შინაბაზარზე ბოლო ხანებში ასცდა ნორმალურ გზას. სოფლის ნაწარმოების რეალიზაციამ (ბამბა, მატყლი, ღვინო და სხვა) მეტისმეტი ვათ მოიზიდა ჩვენს ფედერაციაში ფულის სათანადო ნიშნები. ამავე დროს მრეწველობის საგნების ნაკლებობის ნიადაგზე სოფლად დაგროვილი ფული მძიმე ტვირთად აწვება დამშეულ ბაზარს და ვერ ჰპოებს თავის შემდეგი მსვლელობის ნორმალურ კალაპოტს.

ასეთია ერთი იმ მნიშვნელოვან დაბრკოლებათაგანი, რომელიც წინ ელობება დღეს ჩვენი სოფლის ეკონომიურ განვითარებას და რომელიც თავის უარყოფით გავლენას ახდენს მეურნეობის სხვა დარგებზედაც.

ამასთანავე ადგილი აქვს სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის მოვლენას. მაშინ, როდესაც წელს ყოველფერი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, რომ სასოფლო სამეურნეო გადასახადი თავის დროზე იქნებოდა ამოღებული, სინამდვილეში ადგილი აქვს გადასახადის შემოსვლის დაგვიანებას. და ეს მაშინ, როცა სოფლად საქონლის ნაკლებობაა და მოსახლეობის ხელში დაგროვილია ზედმეტი ფულის ნიშნები.

ამრიგათ, ბაზრის ზედმეტი ფულის ნიშნებიდან განტვირთვა ერთ-ერთ მორიგ სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს ამიერ-კავკასიაში. რა გზით უნდა ხდებოდეს ეს? პირველ ყოვლისა უნდა გაძლიერებულ იქნას მრეწველობის საგნების შემოტანა. როგორც ვიცით, შიდა რუსეთს ამ მხრივ თანდათანი გაუმჯობესება ეტყობა. საქონლის ნაკლებობის სიმწვავე იქ უკანასკნელ ხანებში ეცემა.

მეორე მხრივ უნდა გაფართოებულ იქნას შემნახველ-გამსესხებელ კასების ქსელი. საამისო ნაბიჯები უკვე არის გადადგმული, მაგრამ ის, რაც დღეს ჩვენ გვაქვს შემნახველ კასების სახით, ბევრათ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამასთან ერთად უნდა მიღებულ იქნას ზომები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დასაჩქარებლათ.

ასეთია მოკლეთ იმ მორიგ ღონისძიებათა რიგი, რომელიც უნდა გატარებულ იქნას ცხოვრებაში ბაზრის გასაჯანსაღებლათ და საქონლის ტრიალის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლათ. ამით ნაწილობრივათ წყდება ცაკის სესიის დღის წესრიგში დასმული მეორე საკითხიც, რომელიც შეეხება გლეხის მეურნეობის აღორძინებას.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის კოოპერაციას, საზოგადოთ, და, კერძოთ, საწარმოო კოოპერაციის თავის სიმაღლეზე დაყენებას, რომელსაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში დიდი მომავალი აქვს. კოოპერაციის ქსელის გაფართოებაზე ბევრათაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარების ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა ტრაქტორიზაცია, მელიორაცია და სხვა სახის ტეხნიკური გაუმჯობესება.

ამიერ-კავკასიის ცაკის სესიას უთუოდ მოუხდება ამ საკითხებზე შეჩერება და თავისი ავტორიტეტული სიტყვის თქმა. ჩვენი ფედერაცია დიდ ეკონომიურ შესაძლებლობის მხარეს წარმოადგენს. აქ ყველაფერია მსხვილი მრეწველობის განვითარებისათვის: ნედლეული, თხელი და მაგარი სათბობი მასალა, მუშა ხელი და ბაზარიც.

იმ შესაძლებლობის გამოყენები გარეშე არ შეუძლია არსებობა საბჭოთა ხელისუფლებას. მთელი მისი სამეურნეო და სახელმწიფოებრივი მისწრაფება აქეთკენაა მიმართული. თქმა არ უნდა, რომ ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია ერთი მნიშვნელოვანი მიღწევათაგანი იქნება კავკასიის ქედ-გადმოღმა მცხოვრებ ერების ეკონომიურ აღორძინების და ერთგულ სოლიდარობის განმტკიცების საქმისათვის.

# საშუალო გლეხობა და პროლეტარიატი

## (პარტყრილობის გადაწყვეტილების გამო)

შემთხვევით არ იყო საშუალო გლეხობის საკითხი წამოყენებული პარტყრილობაზე. შემთხვევითი არ იყო ის, რომ ამ საკითხს დაუთმეს ამდენი ადგილი, მიაკუთვნეს მას ასეთი დიდი მნიშვნელობა.

კიდევ მე-XII პარტყრილობაზე ამხ. ლენინმა განმარტა პარტიისა და მუშათა კლასის დამოკიდებულება საშუალო გლეხობასთან, როგორც დამოკიდებულება მტკიცე კავშირისა. მაგრამ უკვე მეთოთხმეტე პარტყრილობამდე ზოგიერთ ამხანაგებს შორის შესამჩნევი შეიქნა გადახრა, რომლის აზრი ის იყო, რომ მიმდინარე მომენტში მუშათა კლასს მაინცა და მაინც არ ესაჭიროება ეს მჭიდრო კავშირი საშუალო გლეხობასთანო. მათი შეხედულებით ახლა საჭიროა მთელი ყურადღება მივაქციოთ ბრძოლას კულაკებთან, რომლებიც ძალიან გაძლიერდენ და მეორე მხრით—უნდა დავეხმაროთ ღარიბ გლეხებს, რომლის გაჭყლეტას ცდილობენ ეს კულაკები. ხოლო დამოკიდებულება საშუალო გლეხობასთან უნდა იყოს ასეთი: პარტიამ და მუშათა კლასმა უნ და შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომ საშუალო გლეხობამ ხელი მაინც არ შეუშალოს სოციალიზმის მშენებლობას და ამ მშენებლობის გარეშე დარჩეს. ერთი სიტყვით ის უნდა მოეწყოს საქმე, რომ მოხდეს გლეხობის ამ ნაწილის ნეიტრალიზაცია.

იმ ამხანაგების აზრით, რომლებიც შეადგენდნენ ოპოზიციას ყრილობაზე, საშუალო გლეხობა არ შეადგენს გლეხობის უმთავრეს მასას ეკონომიური აღმშენებლობის მხრივაც. რადგან ამბობდნენ ისინი, პურის უდიდესი ნაწილი, რომელიც ბაზარზე გამოდის, ეკუთვნის კულაკებს და არა საშუალო გლეხებს და ამიტომ სახელმწიფო მრეწველობა და მუშათა კლასი უმთავრესად კულაკებისაგან არიან დამოკიდებულნიო.

პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ სრულიად შემცდარად გამოაცხადა ასეთი შეხედულება საშუალო გლეხობის შესახებ.

ბურჟუაზიასთან რევოლიუციონური ბრძოლის დროს მართლაც იყო მომენტი, როდესაც ბოლშევიკური პარტია საჭიროთ აღიარებდა საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციას. როდესაც პროლეტარიატი იბრძოდა თვითმპყრობელობისა და მემამულეების წინააღმდეგ—მაშინ მას მხარში უდგა მთელი გლეხობა: ღარიბი, საშუალო და კულაკურიც. ეს იმიტომ იყო ასე, რომ არა მარტო გლეხობის პირველი და მეორე კატეგორია, არამედ მესამეც—კულაკებიც წინააღმდეგი იყვნენ მემამულეებისა, ყველას უნდოდა მიწა და, ცხადია, ყველა იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგი, რომელიც მემამულეებზე იყო დაყრდნობილი.

მაგრამ მეფისა და მემამულეების დამარცხების, ბურჟუაზიაზე გამარჯვების და ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, პარტიასა და მუშათა კლასს უნდა შეეცვალა თავისი ტაქტიკა. მუშათა კლასი უკვე იბრძოდა ახალი ხელისუფლების განმტკიცებისათვის არა მთელ გლეხობასთან ერთად, არამედ ღარიბ გლეხობასთან მჭიდროთ შეკავშირებული—დარჩენილი მსხვილი ბურჟუაზიისა და კულაკების წინააღმდეგ, რომელნიც ბურჟუაზიას ამოუდგნენ გვერდში. საშუალო გლეხობასთან მაშინ კავშირი ჯერ კიდევ არ იყო საიმედო, ვინაიდან საშუალო გლეხი ფრთხილი ადამიანია, რომელიც ელოდება—თუ ვინ გაიმარჯვებს. მას არ უნდოდა მემამულეების დაბრუნება, მაგრამ ამავე დროს არ სურდა თავისი ავლა-დიდების საფრთხეში ჩაგდება და იცდიდა, რომ მიმხრობოდა იმას, ვინც გაიმარჯვებდა. ამიტომ პარტიამ და მუშათა კლასმა ისეთი ტაქტიკა აწარმოვა, რომ საშუალო გლეხობას ნეიტრალიტეტი მაინც დაეცვა, რათა არ შეეფერხებია რევოლიუციის შემდგომი მსვლელობა, თუ მას ხელს არ შეუწყობდა.

ხოლო როცა საბჭოთა ხელისუფლებამ თვალსაჩინოდ გაიმარჯვა და განმტკიცდა, როცა მუშათა კლასმა ხელი მიჰყო სამეურნეო მშენებლობას, მაშინ პარტია და მუშათა კლასი გადავიდენ ახალ ტაქტიკაზე—საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის მკვიდრი კავშირის დამყარებაზე.

რისთვის შეიქნა საჭირო ასეთი ტაქტიკა? მას შემდეგ, რაც მემამულეებს ჩამოერთვა მთელი მიწა და გლეხებს დაურიგდა, ხოლო კულაკებს ჩამოერთვა მიწების უმეტესობა და განაწილებულ იქნა ყველა გლეხებ შორის,—ჩვენ მივიღეთ საშუალო გლეხობის სოფელი, ე. ი. ღარიბ გლეხმა მიიღო თავისი ხვედრი მიწა და მისი რაოდენობით იგი ისეთივე შეიქნა, როგორც კულაკი და საშუალო გლეხი.

ჩვენს პირობებში ქალაქი უსოფლოდ და სოფელი უქალაქოდ ვერ გასძლებენ. სხვანაირად—პროლეტარიატი უგლეხოდ და გლეხობა უპროლეტარიატოდ ვერ იცხოვრებენ. მაშასადამე, სოციალიზმის აშენება მუშათა კლასს შეუძლია მხოლოდ გლეხობასთან კავშირის ნიადაგზე.

მაგრამ რომელ გლეხობასთან? ცხადია, რომ ღარიბი გლეხი ახლოს დგას პროლეტარიატთან, ამიტომ იგი პროლეტარიატის მთავარი დასაყრდენია სოფლად. საშუალო გლეხი, რომელიც დაინტერესებულია, რომ ექსპლოატაციას და ჩაგვრას არ ჰქონდეს ადგილი, რომელსაც არ სურს მემამულე, აგრედვე ახლოს დგას პროლეტარიატთან. კულაკი მტრულადაა განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და ცდილობს გამოძებნოს სოფლად მოკავშირე, რომელთან მას შეეძლება გაერთიანება და საბჭოთა ხელისუფლებასთან აშკარად შებრძოლება. ამ მოკავშირეს იგი ხედავს საშუალო გლეხში და ცდილობს იგი თავის მხარეზე გადაიბიროს. ცხადია, რომ, ემყარება რა ღარიბ გლეხებს, მუშათა კლასმა უნდა დაამყაროს მკვიდრი კავშირი საშუალო გლეხთან, რომელიც სოფლის მოსახლეობის მთავარ მასას წარმოადგენს. გამოგლეჯს რა გლეხობის ამ მთავარ მასას კულაკის გავლენისაგან, პროლეტარიატი გაბედულად და შეუჩერებლად წავა მასთან ერთად სოციალისტური მშენებლობის გზით.

ვ. ტ.

# საბჭოთა პრესა

## ახალი მუშების მომზადება

მრეწველობის გაფართოებასთან დაკავშირებით თანდათან იზრდება მასში ჩაბმულ მუშათა რიცხვი. პროლეტარების ძველი, დახელოვნებული კადრი თითქმის მთლიანად დაბანდებულია წარმოებაში. ფაბრიკა-ქარხნებს ეხლა ემატება უმთავრესად სოფლიდან გამოსული მუშა ხელი, გლეხი. თავის თავად ცხადია, რომ იგი მოკლებულია საქმის ცოდნას და პოლიტიკურ მომზადებასაც. ის საგრძნობლად ეტყობა მათ მუშაობას, მათ დამოკიდებულებას წარმოებისადმი.

„ახალ მუშების გაჩენა ზოგიერთ წარმოებებში,—სწერს „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“, აღნიშნა სამუშაოს გაცდენის პროცენტის ზრდით. ეს იმას მოწმობს, რომ ახლად მოსული მუშისათვის ჯერ კიდევ უცხოა შრომითი დისციპლინა, იგი კიდევ არ გრძნობს თავს ფაბრიკის ორგანიზმის განუყრელ ნაწილად. მას არა აქვს შეგნებული ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს თვითეულ მუშასა და წარმოებას შორის, კავშირი, რომლის დროს სამუშაოს გაცდენა მძიმე გავლენას ახდენს თვით წარმოებაზე; დამოუკიდებლათ გაცდენილ დღისათვის ხელფასის დაკავებისა.

მეორე მომენტი, რომელიც თვალში გვეცემათ, ესაა დამოკიდებულება სამუშაო იარაღისადმი. ახალი მუშა ჯერ კიდევ ვერ შეჩვევია თავის ინსტრუმენტს. მას კიდევ საკმაოდ არ აქვს შეგნებული დამოკიდებულება ინსტრუმენტის მდგომარეობასა და საკუთარი შრომის ნაყოფიერებას, მაშასადამე, ხელფასს შორის. აქედან—ძალიან ხშირად დაუდევარი დამოკიდებულება ინსტრუმენტისადმი.

წარმოებებში, სადაც დიდია ახლად მოსულ მუშების რიცხვი, შემჩნეულია აგრედვე საქონლის გაფუჭების და მისი თვისების გაუარესების ზრდა. ახალ მუშების დაბალ კვალიფიკაციასთან ერთად აქ სჩანს ისიც, რომ მათ კიდევ ვერ შეუგნიათ სახელმწიფო მრეწველობის ამოცანები საქონლის თვისების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ახალი მუშა უმთავრესად რიცხვობრივ ეფექტს მისდევს“.

ყველაფერი ეს გასაგებია. ბუნებრივია, რომ გლეხს, რომელიც პირველად ხვდება ფაბრიკა-ქარხნებში, ახასიათებს ასეთი უარყოფითი მხარეები. მხოლოდ ჩვენს ამოცანას შეადგენს მისი საწარმოო და პოლიტიკური მომზადება, მისი გადაქცევა ნამდვილ სამრეწველო მუშად. აქ დიდი მოვალეობა აწევს ქარხნის ტეხნიკურ პერსონალს და ძველ მუშებს. პროფკავშირის და პარტუჯრედის როლი ხომ უაღრესია ამ „ნედლი მასალის“ პროფესიულ-პოლიტიკურ გადამუშავებაში. ახალი მუშები აქტიურად უნდა იქნენ ჩაბმული საწარმოო თათბირების, პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში.

# უკანასკნელი ცნობები

### ლოკარნოს ხელშეკრულება

რომი, 22 იანვ. სტეფანის სააგენტოს ცნობით იტალიის პარლამენტმა დაამტკიცა ლოკარნოს ხელშეკრულება.

### პარტიიდან გამორიცხეს

ბერლინი, 22 იანვ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან გამორიცხეს ფრეიბერგერი, გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარე, რომელმაც ამ ზაფხულში ინახულა საბჭოთა კავშირი.

### ლენინის ხსოვნის აღნიშვნა

ბერლინი, 22 იანვარი. საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობამ ბერლინში, დიდ თეატრში, მოაწყო ლენინის ხსოვნის აღსანიშნავათ სალამო. დიდი სიტყვით ლენინის შესახებ გამოვიდა საბჭოთა ელჩი კერჟენცევი. ილაპარაკა აგრეთვე კომუნისტ-დეპუტატმა პიკმა. უკრავდა ბერლინის სიმფონიური ორკესტრი.

### აზერბეიჯანის ცეკას მე-2 პლენუმი

ბაქო, 23 იანვარი. შესდგა აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას პლენუმი, რომელზეც მოხსენებით მე-14 ყრილობის შედეგების შესახებ გამოვიდა ამხ. ორჯონიკიძე.

პლენუმი თავის რეზოლიუციაში სრულიად უერთდება მე-14 ყრილობის დადგენილებებს.

შემდეგ პლენუმმა ამოირჩია სამდივნო ამხ. კარაევის, მირზოიანის და ალავერდიევის შემადგენლობით.

პლენუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა კიროვს.

### პარტიის მთლიანობისათვის.

ბაქო, 23 იანვარი. ხდება უჯრედების ჯგუფური კრებები, რომლებზეც მოხსენებები კეთდება მე-14 ყრილობის შედეგებზე.

ერთხმად გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებიც იწონებენ მე-14 ყრილობის რეზოლიუციებს და კიცხავენ ოპოზიციას.

### პეტერსონის დასაფლავება.

სოხუმი, 23 იანვ. დაასაფლავეს პეტერსონი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ყველა მუშურმა და სამხედრო ორგანიზაციებმა. სიტყვებით გამოვიდენ ყურულოვი, გ. სტურუა და ჩიმბა.

## ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესიისათვის

### მრავალი დელეგაციები

ერევანი, 23 იანვ. ორშაბათს, სომხეთის დედა-ქალაქში გაიხსნება ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია. სომხეთის სხვადასხვა მაზრებიდან მოელიან მრავალ დელეგაციებს.

სომხეთის ცაკში შემოდის მრავალი განცხადებები დელეგაციების გამოგზავნის შესახებ ამიერ-კავკასიის მთავრობისა და აგრეთვე ძმური საქართველოს და აზერბეიჯანის წარმომადგენელთა მისასალმებლად.

### ერევანი ემზადება

ერევანი, 23 იანვ. დიდი ხანია ერევანს არ უნახავს ასეთი დღეები. ქალაქის მთელი მოსახლეობა აღფრთოვანებით ემზადება სტუმრების მისაღებათ.

### დელეგატების ჩამოსვლა

ერევანი, 23 იანვ. ჩამოვიდა ამიერ-კავკ. ცაკის მდივანი შავერდოვი, აზერბეიჯანის დეპუტატების ერთი ჯგუფი და სესიის ტექნიკური შემადგენლობა.

დელეგატები ჩამოვლიან 25 იანვარს; მათ სადგურებზე [illegible] 23 იანვ. [illegible] მუშ[illegible] დეპუტაციები.

სესია გაიხსნება საღამოს 6 საათზე მი'ალმიებების შემდეგ მოხსენებას ამიერ-კავკასიის მთავრობის საქმიანობაზე გააკეთებს ამხ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცაკის 200 წევრზე მეტი ჩამოვა თბილისიდან ერევანში 25 იანვარს დილით. გზაზე, მათ შეხვდებიან სომხეთის მუშები და გლეხების დელეგაციები საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე, სადახლოში, მათ შესახვედრათ ემზადება ბინა ალავერდში მუშები და გლეხები.

ასევე შეხვდებიან მათ სადგ. სანაინში და ულუხანლუში.

ერივნის რამდენიმე დაწესებულება ემზადება სესიისთვის დროშის გადასაცემად.

სესიის გათავების შემდეგ, სესიის წევრები ჯგუფ-ჯგუფად შემოივლიან სომხეთის მაზრებს ადგილობრივ მდგომარეობის და მოსახლეობის მოთხოვნილებების გასაცნობად.

### მშრომელთა მანიფესტაცია

ერევანი, 23 იანვ. სესიის მეორე დღეს ერევანში მოეწყობა დიდი დემონსტრაცია [illegible] ზეიმით მიიღებენ მაზრებიდან ჩამოსულ გლეხები.

სესია მუშაობას დაამთავრებს 29 ან 30 იანვარს.

# ორი წლის თავზე

## როგორ ჩატარდა გლოვის დღე

### სამგლოვიარო სხდომა მოსკოვის დიდ თეატრში

მოსკოვი, 22 იან. 21 იანვარს, საღამოს დიდ თეატრში ლენინის გარდაცვალების ორი წლის აღსანიშნავად შესდგა საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის და რაიკომის პლენუმების, მოსკოვის საბჭოს, პროფკავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს და ლენინის სახელობის ინსტიტუტის გაერთიანებული სხდომა მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანადასწრებით.

შეიკრიბა 3,500-მდე კაცი, სრულ 6 საათზე და 55 წუთზე, იმ დროს გარდაიცვალა ვლადიმერ ილიჩი. სხდომა გახსნა საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანმა კოტოვმა.

### ამხ. კოტოვის სიტყვა

„დღეს შესრულდა ორი წელი მას შემდეგ,—ამბობს კოტოვი, რომელსაც მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენს,—რაც ჩვენ სამუდამოთ დავშორდა პროლეტარიატის და გლეხობის გენიოსი ბელადი და მასწავლებელი, სახელოვანი კომუნისტური პარტიის ბელადი. ამ საბედისწერო წუთებს—6 საათ. 55 წუთს—ვერ დაივიწყებს ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ვერც ერთი მუშა და ვერც ერთი გლეხი.

ისტორიის მიერ დაკისრებული ამოცანა პარტიამ შეასრულა „ულენინოდ, მაგრამ, ლენინურად“. ლენინის მიერ დაარსებულ, გამობრძმედილ პარტიის და ლენინიზმის ერთგულ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენ სოციალიზმის სრულ გამარჯვებას მივაღწევთ.

ულენინოდ განვლილ წლების მანძილზე პარტია ასრულებდა მის ანდერძს და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სოციალისტური აღმშენებლობის და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების საქმეში. ჩვენ დღემდე ვახორციელებდით ლენინის ერთ ერთ მთავარ ანდერძს—ჩვენს შემოქმედებითი მუშაობაში საშუალო გლეხობასთან კავშირის გაბმას და ამასთ ნავე ღარიბ გლეხობაზე დამყარებას, ხოლო ამჟამად ეკონომიური აღმშენებლობის საქმეში საერთოდ ჩვენ შეტევაზე გადავედით, როგორც ლენინი ჯერ კიდევ მე 10-ე პარტყრილობაზე ამბობდა. ჩვენ აგრეთვე არ გვავიწყდება ვლადიმირ ილიჩის სიტყვები, რომ ჩვენი ძირითადი ამოცანაა სოციალიზმის აშენება, რისთვისაც მშრომელთა ფართო მასები აღმშენებლობის საქმეში უნდა ჩავაბათ.

პარტიის მე-14 ე ყრილობა, ათავებს კოტოვი, მთელი თავისი მუშაობით ამტკიცებს, რომ ჩვენ გზის გადაუხვევლად განვაგრძობდით ლენინიზმის საქმეს. არ უნდა დაგვავიწყდეს ილიჩის სიტყვები, რომ მიუხედავათ ყველა სიძნელეებისა, ჩვენ ავაშენებთ სოციალიზმს.

ვაცხადებ, რომ სხდომა გახსნილია.

დიდი თეატრის ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს. სცენის სიღრმეში ეკრანზე მოჩანს ვლადიმერ ილიჩის სურათი, იმ მომენტში გადაღებული, როცა ის ტრიბუნაზე გამოდის.

### ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება

ვრცელი მოხსენებით ლენინის და ლენინიზმის შესახებ გამოდის ლუნაჩარსკი.

„მიუხედავათ იმისა, ამბობს ლუნაჩარსკი, რომ ლენინის ცხედარი უკვე ორი წელია კრემლის კედლებთან განისვენებს, ჩვენ ვცხოვრობთ და ვცხოვრობთ ლენინით, რადგან ჩვენ ვსარგებლობთ მისი კომპასით და ვემყარებით მის მიერ შექმნილ თეორეტიულ ატმოსფერაში.

ლენინი, ისევე როგორც მარქსი, იყო თავისი ეპოქის უდიდესი გამომხატველი, ბრძოლის და აშენებლობის საუკეთესო ოსტატი, რომელმაც პროლეტარიატის და მისი პარტიის შეტევითი მოძრაობა გაადვილა. ლენინი იყო არა მარტო პარტიის მშენებელი, არამედ [illegible] ელთვის გულდასმით ისმენდა პარტიის ხმას და ემორჩილებოდა მიღებულ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ის თითქოს ყველა აზრებს კითხულობდა პარტიის გულში და ნათლად ხედავდა ხვალინდელ დღეს. როგორია ძირითადი საფეხურები განვლილი ლენინიზმმა?

1905 წლამდე მთავარი ამოცანა, რომლის გადასაჭრელად ილიჩი მუშაობდა,—ნამდვილი სოციალისტური მუშათა პარტიის შექმნა იყო.

1905 წელს ლენინმა მოიფიქრა და მკაფიოდ ჩამოაყალიბა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეა არა მარტო თვითმპყრობელობასთან ბრძოლის პერიოდისა, არამედ აგრეთვე ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის ეპოქის თვისება. ჯერ კიდევ მაშინ ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა [illegible] საბჭოების ძალა-უფლებას.

[illegible] იმპერიალისტურ ომის დროს ბოლშევიზმი ლენინის მეთაურობით მუშათა კლასის ღირსებას იცავდა, მეორე ინტერნაციონალი და მისი სექციები ბურჟუაზიის დამხმარე ბიუროებად იქცენ. ამ წლებში ლენინი მსოფლიოს უდიდეს მეფენების მემარცხენე რევოლიუციონურ-მარქსისტულ ელემენტების ბელადი გახდა. ამ წლებში ლენინმა ჩამოაყალიბა უდიდესი მნიშვნელობის მქონე ლოზუნგი „ევროპის მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნების პროლეტარების კავშირი აღმოსავლეთის ხალხებთან“.

1917 წელს ლენინიზმის სიბრძნის საუნჯე, ოქროს მარაგი გამდიდრდა ბევრი ახალი იდეით. თებერვლის რევოლიუციის პირველსავე მომენტში ლენინი ამბობდა: „რევოლიუცია არ დამთავრებულა, ის თითქმის არც დაწყებულა, ჩვენი მოვალეობაა განვავითაროთ ის და დავამხოთ არა მარტო ცარიზმისა და მემამულეების, არამედ აგრეთვე კაპიტალისტების ბატონობაც“.

ლენინის ხელმძღვანელობით ჩატარდა პირველი პროლეტარული რევოლიუცია.

შემდეგ იწყება საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯები, შემდეგ სამხედრო კომუნიზმი და პოლიტიკური პოლიტიკა, რომელიც წარმოიდგენდა პროლეტარიატის და საშუალო გლეხობის კავშირის გამოხატულებას. ლენინს ესმოდა, რომ ბრძოლა სოფლის კულაკურ ფენასთან იწარმოებს ამ კავშირის საშუალებით საშუალო გლეხობასთან რომ საკმაო არ არის ჩვენი მეორე დასაყრდნობი ღარიბი გლეხობა.

ამ ლენინურ დროშის ქვეშ ჩვენ ვიმარჯვებთ. ჩვენ მივდიოდით და მივდივართ წინ სწორი გზით. მე-14 პარტყრილობა კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენი პარტიის სიბრძნეს, მთლიანობის და ძლიერების რწმენას.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას“.

### მისალმება პარტიის ცეკას

დასასრულ, პრეზიდიუმის წინადადებით, ერთხმად იქნა მიღებული მისალმება პარტიის ცეკას მიმართ, რომელშიაც ნათქვამია:

„კრება, რომელსაც სწამს კომუნისტური პარტიის ძლიერების შეურყევლობა და მისი სრული მთლიანობა, მტკიცე იმედს გამოსთქვამს, რომ ლენინურ [illegible] ცეკა წინანდებურათ [illegible] დაიცავს უდიდეს განძს, რომელიც ჩვენ ლენინმა დაგვიტოვა, ჩვენს პარტიას, გამოხატავს მთელი პარტიის ერთიან აზრს, ერთიან ნებისყოფას და წინანდებურად წაიყვანს მას ნაცად ლენინურ გზებით სამოლოო მიზნისაკენ—მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს პარტიას და მის ლენინურ ცეკას“.

# საუბარი ალფესი ზღვაძესთან

## მდგომარეობა ემიგრაციაში

ემიგრაციის შეგნებული ნაწილი ჩამოსცილდა ჟორდანიას [illegible] ჯგუფს.—„დუმბაძის მთავრობა“.—წერეთლის ოპოზიცია.—ემიგრაციის საარსებო წყაროები.—„მოიღეთ მოწყალება!“

გუშინ პარიზიდან მოსკოვით თბილისს ჩამოვიდა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე (მენშევიკების დროს) ალფეზ ხე[illegible]ძე, რომელიც პარიზიდან გამოქგზავრებულა 23 დეკემბერს.

ამხ. ხელაძემ ჩვენს თანამშრომელს გააცნო ქართველი ემიგრანტების მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში.

„დრო გადის,—განაცხადა ამხ. ხ[illegible]ძემ, ემიგრაციის პოლიტიკური მდგომარეობა თანდათან რთულდება. პოლიტიკურათ გათვითცნობიერებული ემიგრანტთა მასსა ზურგს აქცევს ხელმძღვანელებს, რომელნიც იძულებულნი არიან დაეყრდნონ ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელიც პოლიტიკურად შეუგნებელი არის და საერთოდ ვერ ერკვევა პოლიტიკურ ამბებში.

ნივთიერად გაჭირვებულ ემიგრანტებში დიდია სამშობლოში წამოსვლის სურვილი, მაგრამ ტერორის და ნივთიერი ხელმოკლეობის გამო მათ ვერ მოუყვანიათ სისრულეში თავიანთი განზრახვა. ყალბი იხვური მაცდის გამო ბევრს კიდევ სჯერა, რომ მათ სამშობლოში მოელის საბჭოთა მთავრობისაგან წამება და სასჯელი.

ემიგრაციის ზედაფენები თავს კარგათ გრძნობენ. მათ საცხოვრებელ საშუალებას წარმოადგენს განძეულობის გაყიდვიდან აღებული ფული (მათ იძულეს ექვ. თაყაიშვილი გამოეტანა საქართველოდან მიტაცებული განძეულობის ნაწილი და გაეყიდა), მომმე პარტიებისაგან ნაჟულობები თანხები (ამ ორი თვის წინად ვანდერველდემ მეშვეობით გამოუგზავნა პარიზში 10 ათასი გირვანქა სტერლინგი), მენშევიკების მიერ გახსნილი რესტორანებში და საწვრიმალო დუქნებში მოგებული ფული. ამ თანხებიდან ემიგრანტების „მთავრობამ“ უკანასკნელ ხანებში თვიური დახმარება დაუნიშნა ოცდაათ-ორმოცამდე ემიგრანტ-მუშას იმ მიზნით, რომ მათზე გავლენა შეინარჩუნონ. ემიგრანტებს არ ივიწყებს აგრეთვე ცნობილი ავანტიურისტი დუმბაძე, რომელიც პარიზის ემიგრაციის ეწვია ლოკარნოს პაქტის დადების შემდეგ და წინადადება მისცა ყველა პარტიებს გაერთიანებულიყვნენ და შეექმნათ ახალი პარიტეტული კომიტეტი, რომელსაც მისი აზრით ახალ პირობებში, როცა ყველა სახელმწიფოები შეთანხმებული არიან, დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს საქართველოს.

დუმბაძის წინადადება მიღებულ იქნა. მოეწყო ახალი პარიტეტული კომიტეტი, რომელშიაც შედიან: სოციალ-დემოკრატების მხრივ რამიშვილი, გეგეჭკორი და კიდევ ერთი (გვარი ვერ მოიგონა), ნაციონალ-დემოკრატების მხრივ: რ. გაბაშვილი, ალშიბაია, სოც.-ფედერალისტებიდან—სამ. ფირცხალავა და ესერებიდან—გობეჩია.

პარიტეტულმა კომიტეტმა აფერისტ დუმბაძისაგან მიიღო დახმარება 5 ათასი ფრანკი. ამავე დროს დუმბაძემ სთხოვა „მთავრობას“ და პარიტეტულ კომიტეტს დანიშნულ იქნეს იგი საქარ. „მთავრობის“ წარმომადგენლად ამერიკაში და თან გაატანოს მას „მთავრობის“ ერთი რომელიმე წევრი, რომელიც გაეცნობა რა ამერიკის საზოგადოებას საქართველოს მდგომარეობას, იკისრებს შეწირულების შეგროვებას „მრავალტანჯული საქართველოს“ გასანთავისუფლებლად. დუმბაძის წინადადებამ დასტური ვერ მიიღო, რადგან მიუხვდენ ეშმაკობას და მაზე უარი განაცხადა შეპირებულ სუბსიდიებზე.

რაც შეეხება კერძოთ სოციალ-დემოკრატიულ ემიგრაციას, მიუხედავათ მოქრთამვისა, რამიშვილის საშინელი ტერორისა და სხვა სასტიკი ზომებისა, მაინც ვერ შეიქნა ერთსულოვნება. ამ ჟამად არსებობს სამი გარკვეული მიმდინარეობა: პოზიცია—რამიშვილ-ჟორდანიას მეთაურობით, რომელიც აგრძელებს ბრძოლას იმ იმედით, რომ ლოკარნოს შეთანხმების შემდეგ ერთა ლიგა გამოესარჩლება საქართველოს და გაანთავისუფლებს მას საბჭოთა რუსეთის „ოკუპაციისაგან“. რამიშვილ-ჟორდანიის ოპოზიციაში უდგას ირ. წერეთლის და ერაძის ჯგუფი, რომელიც მოითხოვს მენშევიკური მთავრობის გაუქმებას, ქართული სოც.-დემ. რუსეთის სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიებთან შეთანხმებას და მათთან ერთად ბრძოლის წარმოებას საბჭოთა ხელისუფლებასთან რუსეთის მასშტაბით.

მესამე ჯგუფი, რომელიც ამჟამად ოფიციალურად ექვემდება ოპოზიციას, ნამდვილად სცნობს საბჭოთა მთავრობას, მაგრამ აშკარად ვერ გაუბედია თავისი მრწამსის გამოჟღავნება.

უთანხმოება ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის უკანასკნელად ისე გაძლიერდა, რომ იმის განსახილავად და გამოსარკვევად, თუ რომელი მიმართულების ხაზი უფრო სწორია, მოიწვიეს [illegible] და მგონი სნოუდენი, რომელიც ამ დღეებში ჩავიდოდა პარიზში და დასდებდა თავის მსჯავრს როგორც [illegible] ისე [illegible] პოლიტიკურ ხაზს.

ბ.

### ლენინგრადში

ლენინგრადი, 22 იანვ. გაიმართა საღამო ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად. საღამო გამართა სამეცნიერო მთავარ საბჭოს ლენინგრადის განყოფილებამ, საღამოს დაესწრო 1500 სამეცნიერო მუშაკი.

ასეთივე საღამოები გაიმართა განათლების მუშაკთა სახლებსა, მუშათა კლუბებსა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთა ნაწილებში. ინჟინრების საერთო საქალაქო კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს ტომსკიმ, კალინინმა და შმიდტმა. ტომსკი პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სახელით [illegible]. კალინინი ამბობს, რომ [illegible] შემაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს საბჭოთა მთავრობასა და ინჟინრებს შორის.

შმიდტი მოკლეთ ეხება მრეწველობის და ინჟინრობის წინაშე დასმულ ამოცანებს კვალიფიციური მუშათა ძალების მომზადების საქმეში.

ინჟინერ-ტეხნიკოსთა საჯარო სექციათა შორისო ბიუროს თავმჯდომარე ცნობილი ლენინგრადელი ინჟინრების სახელით აცხადებს, რომ ის იზიარებს ყოველ ძალ-ღონეს მრეწველობის წინაშე მდგომ ამოცანების განსახორციელებლად. კრებამ შესაფერი რეზოლიუცია მიიღო.

### ხარკოვში

ხარკოვი 22 იანვ. გაიმართა ქალაქის საბჭოს სამგლოვიარო პლენუმი ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად. პლენუმს დაესწრო რამდენიმე ათასი კაცი. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ჩუბარმა გააკეთა მოხსენება: „ორი წელიწადი ულენინოთ“.

მიღებულ რეზოლიუციაში პლენუმი გამოსთქვამს რწმენას, რომ პარტია, საბჭოთა ხელისუფლება მუშათა კლასის და გლეხობის ფართო მასების დახმარებით კიდევ მიაღწევენ წარმატებას სოციალისტური ეკონომიკის და სოციალიზმის მშენებლობის განმტკიცების საქმეში.

# საერთაშორისო მიმოხილვა

### ჩინეთის „ბოლშევიკური მთავრობა“.

ეხლა უარყოფენ წინანდელ ცნობას ჩან ძო-ლინის მიერ მანჯურიის „დამოუკიდებლობას“ გამოცხადების შესახებ. ჩან ძო-ლი-ნი თურმე მხოლოდ აფრთხილებს პეკინის მთავრობას, რომ იგი „არ გახდეს ბოლშევიკური“, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება მანჯურიის გამოყოფით ჩინეთისაგან. მართალია, რომ პეკინის ახალ მთავრობაში შედიან ისეთი ელემენტებიც, რომელნიც თანაგრძნობენ ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ მის ბოლშევიკურ ხასიათზე ლაპარაკი შეუძლიან მხოლოდ ისეთ უკიდურეს რეაქციონერს და ხალხის მტერს, როგორიცაა ჩან-ძო-ლინი. მის მიზანს შეადგენს ამ მთავრობის ჩამოგდება და ჩინეთის „პრეზიდენტის“ ტუან ძი-ჟუის მდგომარეობის განმტკიცება, ტუან ძი-ჟუის, რომელიც იაპონიის აგენტს წარმოადგენს და, მაშასადამე, მუკდენის დიქტატორის ნებისყოფის გამტარებელიცაა.

გამოაცხადა თუ არა ჩან-ძო-ლინმა ფორმალურად მანჯურიის დამოუკიდებლობა, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ფაქტი ის არის, რომ იგი პეკინის მთავრობისაგან სრულებით დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს თავის სამფლობელოში. იგი დაეუფლა საბაჟო, სარკინიგზო და სხვა შემოსავალს; რკინის გზის ხაზზე პეკინ-შანხაი-გუანი არ ემორჩილება ცენტრალურ ხელისუფლებას, ამ გზაზე უკანასკნელის მიერ დანიშნული მოხელეები დათხოვნილ იქნა და სხ. ერთი სიტყვით, ჩან-ძო-ლინი დემონსტრატიულად არ სცნობს პეკინის მთავრობას. ამავე დროს ხდება ჩინეთის ყველა რეაქციონურ ძალების გაერთიანება, რომ ხელსაყრელ დროს საერთო ძალღონით შეუტიონ სახალხო არმიებს და მთელ ჩინეთზე გაავრცელონ თავიანთი ძალა-უფლება.

### ჩან-ძო-ლინის თავხედობა.

„დამოუკიდებელი“ მანჯურიის დიქტატორის მოქმედება არ განისაზღვრება მტრული ნაბიჯებით მარტო პეკინის მთავრობის და საერთოდ განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ. ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს ის ამბები, რომელთაც უკანასკნელ დღეებში ადგილი აქვთ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე. აქ მანჯურიის სამხედრო ხელისუფლება აღმაშფოთებელ თვითნებობას იჩენს. იგი არღვევს რკინის გზაზე არსებულ ყოველგვარ წესებს, არ ემორჩილება მის ადმინისტრაციას. სამხედრო მატარებლებს თავის ნებით გზავნიან. ჯარისკაცები უბილეთოდ მოგზაურობენ. რკინის გზის მოსამსახურეთ და საბჭოთა მოქალაქეთ უდიერად ეპყრობიან. გზაზე სრული უწესრიგობა და ქაოსი სუფევს. სამხრეთის ხაზზე ამიტომ მოძრაობა შეჩერებულია გზის უფროსის ამხ. ივანოვის განკარგულებით.

ჩვენმა ელჩმა ჩინეთში ენერგიული პროტესტით მიმართა პეკინის მთავრობას ასეთი თვითნებობის გამო და მოითხოვა სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღება მის წინააღმდეგ. კარახანმა აგრეთვე გაუგზავნა სათანადო დეპეშა ჩან-ძო-ლინს. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზას საბჭოთა კავშირისათვის დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამ გზის შესახებ საბჭოთა მთავრობას შეთანხმება აქვს დადებული პეკინის მთავრობასა და ჩან-ძო-ლინთან, რომლის მიხედვით მას განაგებს პეკინის და ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებისაგან შედგენილი გამგეობა და ჩვენ ნებას დაურთველად არავის შეუძლია მასზე დამყარებულ წესების შეცვლა. ის რაც ეხლა ხდება ამ გზაზე, ხსენებული შეთანხმების თავხედური დარღვევაა. ჩან-ძო-ლინის ეს საქციელი მტრული ნაბიჯია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. არა გვგონია, ეს სასარგებლო იყოს თვით მანჯურიის დიქტატორისათვის. ყოველ შემთხვევაში ჩვენს მთავრობას შესწევს ძალა თავისი უფლებების და ღირსების დასაცავად.

### იაპონიის პასუხისმგებლობა.

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზაზე შექმნილ მდგომარეობაში დამნაშავეა არა მარტო ჩან-ძო-ლინი, არამედ იაპონიაც. ვინ არ იცის, რომ მანჯურიის ნამდვილი ბატონ-პატრონი დღეს იაპონიაა. არავითარი ფასი არა აქვს მისი მთავრობის ოფიციალურ განცხადებას, თითქო იგი არ ჩარეულიყოს გო-სუ-ლინსა და ჩან-ძო-ლინს შორის წარმოებულ ომში. აშკარაა, რომ იაპონიამ თითქმის განადგურებულ ჩან-ძო-ლინს დახმარების ხელი გაუწოდა. და ეს, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ჩან-ძო-ლინის დამარცხება ლახვარს ჩასცემდა იაპონიის იმპერიალისტურ ზრახვებს ჩინეთში, კერძოდ მანჯურიაში. მანჯურია ამ ჟამად იაპონიის სრულ პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიურ გავლენის ქვეშაა მოქცეული. ჩან-ძო-ლინი უიმისოთ, თავისი საკუთარი ინიციატივით, ვერავითარ სერიოზულ ნაბიჯს ვერ გადასდგამს. ამიტომ, ვიმეორებთ, იაპონია პასუხისმგებელია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე შექმნილ ანარქიისათვის.

იგი კარგა ხანია კბილებს ილესავს ამ გზის წინააღმდეგ. მას მისთვის მნიშვნელობის დასაკარგავათ ახალი გზა გაჰყავს. შეიძლება აგრეთვე, რომ მას, ჩან-ძო-ლინის ზურგს უკან ამოფარებულს, განზრახვა აქვს დაეუფლოს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზას. მაგრამ განზრახვა ერთია, ხოლო მისი შესრულება კიდევ სხვაა. ჩვენსა და იაპონიას შორის ხელშეკრულება დადებული, არსებობს ასე თუ ისე ნორმალური დამოკიდებულება. ის გარემოება აძლევს მას ჩვენდამი ლოიალობას. იაპონიის მდგომარეობა მანჯურიაში ისედაც არც ისე მკვიდრია, რომ საბჭოთა ხელისუფლება გადაიკიდოს.

### იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ.

ამერიკა ვერასოდეს ვერ შეურიგდება იაპონიის გაბატონებას ჩინეთში, რომელსაც იგი თავის ბაზრათ სთვლის. კერძოთ იაპონიის მიერ მანჯურიის ხელში ჩაგდება სათრთხოს განუმზადებს ამერიკის ეკონომიურ სიძლიერეს და ამას კი იგი ვერ დაუშვებს. შორეულ აღმოსავლეთში, როგორც ჩინეთის, ისე სხვა საკითხების გამო, თანდათან მწიფდება კონფლიქტი, ამერიკა-იაპონიას შორის.

უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს თვით ჩინეთის ხალხის ამბოხებას იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ. საპროტესტო დემონსტრაციები ჯერაც არ შეწყვეტილა. ნანკინში, მაგალითად, მასსის აღელვება იმ ზომამდე მივიდა, რომ იგი დაეცა იაპონიის საკონსულო შენობას.

ასეთივე აღშფოთებას აქვს ადგილი სხვაგანაც. თვით პეკინის მთავრობამ მოსთხოვა იაპონიას ჯარის რაოდენობის შემცირება მანჯურიაში. ამასთან სახალხო არმიები, მიუხედავათ ფინ-იუის სიანის გადადგომისა, ძლიერდებიან; მათ ახალ-ახალი ძალები ემატებათ, რომელნიც წინეთ ჩან-ძო-ლინის მოკავშირეები იყვენ. ასე რომ, თუ ჩან-ძო-ლინი მანჯურიაში აპირობს დამკვიდრებას, რომ შემდეგ, სხვა რეაქციონურ გენერლებთან შეთანხმებით, განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ და მთელ ჩინეთზე გამოაცხადოს თავისი ძალა-უფლება,—არ სძინავთ მის მოწინააღმდეგეებსაც, რომელნიც აგრეთვე ძალებს ჰკრებენ ჩან-ძო-ლინის შავი ზრახვების ჩასაფუშავათ, მის მოსასპობათ და, მაშასადამე, იაპონიის განსადევნადაც მანჯურიიდან.

### გომინდანი.

ყველაზე უფრო რევოლიუციონურ ძალას, რომ არ ვილაპარაკოთ კომუნისტურ პარტიაზე, რომლის გავლენა ჯერ კიდევ მცირეა ჩინეთში, წარმოადგენს, რა თქმა უნდა გომინდანი. ეს ორგანიზაცია დღესაც საკმაოდ ძლიერია და იგი უეჭველად თამაშობს გადამწყვეტ როლს ქვეყნის შინაურ განახლების და იმპერიალისტების ბატონობისაგან მის განთავისუფლების საქმეში. ამას ადასტურებს გომინდანის ეხლანდელი ყრილობაც. ეს პარტია მტკიცედ იცავს თავის დამაარსებლის, ჩინეთის რევოლიუციის მამა-მთავრის—სუნ-იატ-სენის ანდერძს.

გომინდანის ყრილობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა თავის მიზნების მისაღწევათ საბჭოთა კავშირის მშრომელებთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობა. მან ისევე აღნიშნა მუშების და გლეხების დარაზმვის საჭიროება შინაურ რეაქციასთან და იმპერიალიზმთან საბრძოლველად. გომინდანს უკანასკნელ დროს დიდი მუშაობა ჩაუტარებია თავის გარშემო მასსების შემოსაკრებათ. ჩინელ მუშების და გლეხთა ორგანიზაციების შემადგენლობა ერთი წლის განმავლობაში ერთი ორად გაზრდილა, რასაც ხელი შეუწყო შანხაის ამბებიდან დაწყებულ რევოლიუციონურმა მოძრაობამ. პარტიას მძლავრი სექციები ჰყავს უცხოეთშიც, სადაც ისინი ფართო პროპაგანდას უწევიან ჩინეთის განთავისუფლების სასარგებლოდ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გომინდანის მოღვაწეობა, უმეტესად კანტონის (სამხრეთ ჩინეთი) ფარგლებით განისაზღვრება, სადაც მას ძალა-უფლება უპყრია ხელთ. გარდა იმისა, რომ აქ მან უფრო ფართოდ უნდა გაშალოს მუშაობა და მთელ მშრომელ ხალხს უნდა მოუყაროს თავი თავის დროშის ქვეშ,—თავისი მოღვაწეობა უნდა გადაიტანოს ჩინეთის დანარჩენ პროვინციებში და მთელი ქვეყანა დასეროს თავისი ორგანიზაციებით. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სახალხო არმიებთან უფრო მჭიდრო კონტაქტის დამყარებას, რომ შეიქნეს მართლა ერთიანი ფრონტი იმპერიალიზმის და მის აგენტების წინააღმდეგ. თვით გომინდანის რიგებში არსებულ უთანხმოებას ბოლო ეღება. ყრილობამ მიიღო გადამჭრელი ზომები პარტიის მემარჯვენე ჯგუფების ასალაგმავად, საერთოდ დეზორგანიზატორ და მერყევ ელემენტების წინააღმდეგ. ერთი ნებისყოფით გამსჭვალულნი და მძლავრი გომინდანის პარტია, ეჭვი არ არის, ახლო მომავალში გადაიქცევა ჩინეთის საზოგადოებრიობის მთავარ ხელმძღვანელ ძალად, რომელიც ხალხს გამარჯვებისაკენ წაიყვანს.

### გერმანია—იმპერიალიზმის ბრმა იარაღი

ჩინეთის ხალხს, მისი განთავისუფლების საქმეს უამრავი მტერი ჰყავს. მსოფლიო იმპერიალიზმი ცდილობს მის თავის კლანჭებში შენარჩუნებას. საერთაშორისო ყაჩაღებს ჩინეთის დამონების საქმეში კიდევ ახალი „მოკავშირე“ შეემატა,—გერმანიის სახით. უკანასკნელის მთავრობამ განსაკუთრებული დიპლომატიური აქტით კვერი დაუკრა ვაშინგტონის კონფერენციის გადაწყვეტილებას, რომლის აზრია იმპერიალისტების კონტროლის დადასტურება ჩინეთზე. თვით დამონებულ და დაუძლურებულ გერმანიის არავითარი ძალა არ შესწევს „მაღალი“, კოლონიალურ პოლიტიკის წარმოებისა. კერძოთ ჩინეთის ახლოს, მის ექსპლოატაციის მიზნით, მას არავინ გააკარებს. მაგრამ თავისი გამოსვლით ამ შემთხვევაში, იგი „მორალურად“ აძლიერებს მსოფლიო მტაცებლებს. ეს ნაბიჯი მოწმობს, რომ გერმანია ხდება იმპერიალიზმის ბრმა იარაღად, ებმება მის კომბინაციებში. გერმანიის ასეთი „გამოსვლა“ საერთაშორისო ასპარეზზე ლოკარნოს შედეგია, ლოკარნოს, რომელმაც გერმანია ინგლისის პოლიტიკის ბრმა იარაღათ აქცია.

მის მეორე შედეგად უნდა ჩაითვალოს ბრძოლა საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ გერმანიაში. ჩვენ ვიცით, რომ ლოკარნოს ერთ ერთ მიზანს შეადგენს გერმანიის ჩაბმა ანტისაბჭოთა ბლოკში, სხვათა შორის, ჩვენი ეკონომიური იზოლაციის საქმეში. საბჭოთა ნავთის პროდუქტები ამ ბოლო დროს ფართე გასავალს პოულობენ გერმანიის ბაზარზე და დიდ კონკურენციას უწევენ ინგლის-ამერიკის ნავთს. ამის საპასუხოდ ამერიკის ნავთის ტრესტმა („სტანდარტ ოილ“) და ინგლის-ჰოლანდიის ნავთის ტრესტმა („როიალ-დეიჩ შელლ“) ფასები დაუკლეს თავის პროდუქტებზე. უფრო საგულისხმო ის არის, რომ ინგლის-სპარსეთის სანავთო კომპანიასა და გერმანიის სანავთო საზოგადოებას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ, რომელიც, ცხადია, გამოყენებული იქნება გერმანიაში საბჭოთა ნავთის კონკურენციასთან საბრძოლველად. ეს შეთანხმება აგრეთვე ნიშნავს გერმანიის ჩაბმას ინგლისის საბაზო იმპერიალისტურ პოლიტიკაში, რამდენად ნავთის საკითხი მოსულის საკითხსაც უკავშირდება და, მაშასადამე, გერმანია გამოყენებული იქნება ოსმალეთის წინააღმდეგაც.

### გაურკვეველი იმედი.

ამგვარად, ლოკარნო გერმანიას ხდის ინგლისის იმპერიალიზმის იარაღათ, სამაგიეროთ კი არაფერს აძლევს მას. ლოკარნოში, მას სხვათა შორის, შეჰპირდენ რეინის ოლქში საოკუპაციო რეჟიმის შერბილებას, კერძოთ იქ მოკავშირეთა ჯარების რიცხვის შემოკლებას; მათი რაოდენობა 75 ათასიდან უნდა შემცირებულიყო ორმოცი ათასამდე. დღეს კი ირკვევა, რომ დაპირება ცალიერ დაპირებათ რჩება და მის გაბოდებას არავინ ფიქრობს. ამას წინად ელჩთა საბჭომ დაადგინა რეინის ოლქში კვლავ იქნეს დატოვებული 75,000 ჯარისკაცი. გერმანიის პარიზელმა ელჩმა ამის გამო საპროტესტო ნოტით მიმართა ბრიანს, მაგრამ უკანასკნელმა განუცხადა, რომ დღევანდელ მომენტში ჯარის შემცირება შეუძლებელია. ინგლისმაც, რომლის დახმარების იმედი ასულდგმულებს გერმანიის ხელმძღვანელ წრეებს, კვერი დაუკრა ასეთ გადაწყვეტილებას.

საქმე ის არის, რომ გერმანიის ეხლანდელი მდგომარეობა, როგორც ვიცით, განსაკუთრებით მძიმეა. ის ეკონომიურ კატასტროფას განიცდის. მუშათა მასსების მღელვარება იზრდება. ასეთ პირობებში არავითარი საფუძველი არ არის, რომ გერმანია რეპარაციებს გადაიხდის. ამასთან, იქ მწიფდება რევოლიუციონური კრიზისი. საფრანგეთს ჯარები ესაჭიროება, რომ ძალით ამოქაჩოს გერმანიიდან სარეპარაციო გადასახადი. ეს ჯარი საჭიროა იმისთვის, რომ ინგლის-საფრანგეთმა შესძლონ მოსალოდნელი რევოლიუციის ჩახრჩობა გერმანიაში. ცხადია, გერმანიის საკითხში ინგლისი კვლავ უთმობს საფრანგეთს, უკანასკნელს მოქმედების თავისუფლებას ანიჭებს, სამაგიეროდ საფრანგეთი ნეიტრალიტეტს დაიცავს იმ შემთხვევაში, თუ ინგლისსა და ოსმალეთს შორის ომი ასტყდება მოსულის საკითხის გამო. ამ ვარად, გერმანია „დამტვრეული ვარცლის“ წინაშე სდგას. „მოკავშირეები“ იყენებენ მას, როცა საჭიროა, მხოლოდ სამაგიეროდ მას არაფერს აძლევენ, მისი ხვედრის, მის კისერზე დადებულ მონობის უღლის შემსუბუქებაზე თითსაც არავინ სძრავს.

### როგორ აპირებენ „განიარაღებას“.

ეს ფაქტიც ნათელყოფს, თუ რა „სამშვიდობო“ პოლიტიკას ატარებს ის ხალხი, რომელიც განიარაღების შესახებ ლაყბობით ცდილობს თვალი აუბვრას მშრომელ მასსებს და დაფაროს გამალებული შეიარაღება ახალი ხოცვა-ჟლეტისათვის. ვაშინგტონმა საზღვაო ავიაციის გასაძლიერებლად სულ ბოლო დროს გადასდო 4 მილიონამდე დოლარი. იაპონია ახალ სამხედრო გემებს უშვებს. სამხრეთ-სლავიის მთავრობა მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევრის გადადებას სამხედრო ხარჯებისათვის. საფრანგეთი და პოლონეთი ამათ ლაპარაკობენ ჯარის შემოკლებაზე. საფრანგეთის სამხედრო ავიაცია უძლიერეს ძალას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში. ინგლისი სინგაპურის ბაზას შესაქმნელად არაფერს იშურებს. ინგლისის საზღვაო მინისტრმა ამას წინად გულახდილად განაცხადა: ბევრმა არ იცის, რომ ყველა სხვა დიდი სახელმწიფოები: ამერიკა, იაპონია, საფრანგეთი, იტალია, რომელთაც გაითვალისწინეს თავის გაკვეთილები, აშენებენ სამასზე მეტს სამხედრო გემს, დაწყებულ კრეისერებით და გათავებულ ნაღმოსნებით. ინგლისი კი მხოლოდ თერთმეტი გემის აგებას შეუდგა. ეს ციფრი ძალიან შემცირებულია, რა თქმა უნდა. ინგლისი საზღვაო შეიარაღებაში სხვებზე წინ მიდის (გარდა ამერიკისა), და არა უკან.

მაგრამ აქ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ყველა ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებიან სამხედრო მზადებაში. ამის შემდეგ რა ფასი აქვს თვალთმაქცურ ლაპარაკს განიარაღების საჭიროებაზე. თვით განიარაღების კონფერენციის გამო თავი იჩინა ინტერესთა წინააღმდეგობამ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის. ინგლის-ამერიკა, რომელთაც ხმელეთის ჯარები ცოტა ჰყავთ და არც იმდენათ ესაჭიროებათ, ცდილობენ განიარაღება შეეხოს მხოლოდ ხმელეთის არმიას, ხოლო კონფერენციის მსჯელობის საგნათ არ გახდეს საზღვაო შეიარაღების შემცირების საკითხი. ეს მიმართულია პირველ ყოვლისა საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელსაც მსოფლიოში უდიდესი არმია ჰყავს. ცხადია, ამ ნიადაგზე შეთანხმება არ მოხდება და განიარაღების კონფერენცია, თუ კი შესდგა, არავითარ დადებით შედეგებს არ გამოიღებს. ესეც რომ არ იყოს, უქმი ლაპარაკია განიარაღების გატარებაზე დღევანდელ იმპერიალიზმის პირობებში, როცა ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნების ინტერესთა წინააღმდეგობა გარდაუვალია და სულ უფრო ღრმავდება.

### დმოვსკის ფილოსოფია

თანამედროვე კაპიტალიზმისათვის შეუძლებელია საყოველთაო განიარაღების მოხდენა, ხალხთა შორის მშვიდობიანობის დამყარება ისევე, როგორც მის ძალღონეს აღემატება ბურჟუაზიულ წყობილების და ეკონომიკის კრიზისის ხანგრძლივად აცილება, რომელიც სულ უფრო ღრმავდება. ჩვენთვის ცხადია, რომ აქედან ერთად ერთი გამოსავალია კაპიტალისტურ რეჟიმის მოსპობა და საზოგადოების გარდაქმნა სოციალისტურ ნიადაგზე, როცა კლასთა და სახელმწიფოთა წინააღმდეგობა გაქრება და თანამშრომლობის ნიადაგზე მშრომელი მასსები შეუდგებიან გეგმაშეწონილ საზოგადოებრივ მეურნეობის აშენებას. რა თქმა უნდა, სულ სხვანაირად მსჯელობს პოლონელი რეაქციონერი რომან დმოვსკი. მისთვისაც უდავოა ევროპის კაპიტალიზმი, კერძოდ პოლონეთის ბურჟუაზიულ მეურნეობის ნგრევა.

მართლაც, ევროპა, მით უფრო პოლონეთი დღეს გამოუვალ ჩიხშია მომწყვდეული. პოლონეთის ეკონომიურ ცხოვრების მაჯისცემა წყდება. ქვეყნის სიმდიდრე სულ უფრო ნიავდება, ხდება მისი ჩალის ფასად საჯარო გაყიდვა. პოლონელი ხელმძღვანელი წრეები ეხვეწებიან უცხოელებს—დაგვეხმარეთო და მოჩვენებით იწვევენ მათ. მაგრამ ამერიკელი და ინგლისელი ბანკირები სრულებით არ არიან ჩვეული სულგრძელობას. მათთან მოლაპარაკებამ ჯერ-ჯერობით ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან ისინი სესხს აძლევენ პოლონეთს მხოლოდ მისი სრული ეკონომიური და პოლიტიკური დამონების სასყიდლად. პოლონეთის ბურჟუაზია იძულებული გახდება ასეთ პირობებზედაც დასთანხმდეს, რათა თავისი დაღუპვის ჟამი რამოდენიმედ გადასდოს. მაგრამ პოლონეთის ბურჟუაზია მაინც საბოლოოდ განწირულია.

დმოვსკი ამას ხედავს და მოსთქვამს კაპიტალიზმის აღსასრულზე. რა შესცვლის კაპიტალიზმს,—კითხულობს დმოვსკი.—„კომუნიზმი? არ ვამტკიცებ, რომ ევროპაში კომუნიზმის დამყარების ცდა ყოვლად შეუძლებელი იყოს. მაგრამ რომ სულ თუ რამ განხორციელდეს, კომუნიზმი გასძლებს მხოლოდ მანამდე, სანამ არ გამოილევა წინედ დაგროვილი მარაგი“,—ბრძნულად დასკვნის დმოვსკი. თვით მასაც შეუგნია, რომ ევროპაში კომუნიზმის განხორციელება შესაძლებელია. რაც შეეხება კომუნიზმის ხანგრძლივობას, ამაზე ბევრ რამეს ეტყოდა დმოვსკის საბჭოთა კავშირის მაგალითი, რომ მას ეცოდნოს მისი შეთვისება. საბჭოთა ხელისუფლებას ძველი რეჟიმიდან თითქმის არაფერი დარჩენია, მაგრამ მან ჩამორჩენილ ქვეყანაში და აუტანელ პირობებში შესძლო ქვეყნის სამეურნეო აღორძინება და წარმატებითი სოციალისტური მშენებლობის წარმოება. მით უფრო მოახერხებს ამას დასავლეთის პროლეტარიატი, განვითარებულ კაპიტალისტურ საწარმოო ძალების და ტექნიკის საფუძველზე. დმოვსკის ვერ მოუსთხოვთ იმის ცოდნას, რომ კომუნიზმი ძველი მარაგის განიავება კი არ არის, არამედ ახალ სიმდიდრის შექმნა საერთოთ ძალებით და მისი სამართლიანი განაწილება. დმოვსკი მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავს მეურნეობის ინდივიდუალურ სისტემის დატოვებაში, ე. ი. იმ სისტემის, რომელმაც ბურჟუაზიული ეკონომიკა კატასტროფამდე მიიყვანა! რა თქმა უნდა, საქმეს ვერ უშველის დმოვსკის რეცეპტი „ქვეყნის სასარგებლოდ“ სახელმწიფო კონტროლია და ვაჭრობა-მრეწველობის დარგში კონტროლის გაძლიერების შესახებ. განა ეს ძალუძს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, სადაც კაპიტალისტები თავისი ჯიბის გახედვით მხოლოდ თავის ინტერესებზე ფიქრობენ!

ბ. ტ.

# ეკონომიური ცხოვრება

## ნავთის წყაროები საქართველოში

[illegible]

...სპეციალისტების აზრით, გაცილებით უფრო მდიდარია ნავთის წყაროებით ცხოველის რაიონი; აქ რაიონის გეოგრაფიული მდებარეობაც უფრო მოსახერხებელია.

[illegible] ...ლევა წინეთ სხვადასხვა პირობების გამო დამთავრებული არ ყოფილა.

განზრახულია პირველ რიგში გამოკვლეული იქნეს ამიერ კავკასიის ნავთის წყაროები.

[illegible]

ბ) რათა სილიკატების, შაქრის, ნავთის, მარილის, ასანთის, ქაღალდის, კალოშების და განსაკუთრებით ლითონის შემოტანის შესახებ სავსებით სრულდებოდეს დამტკიცებული გეგმა, რაც შესუსტებს ბაზარზე საქონლის იმ კრიზისს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1924|25 წლის შემოსატან რაოდენობის შემცირების გამო;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქართველოს გლეხობისათვის მისაღებ საქონლის ასორტიმენტის შერჩევას;

დ) სოფლის მოსახლეობისათვის საქონლის მიახლოვებისა და ამ საქონლის შედარებით სწორად განაწილების მიზნით ცნობილ იქნეს მიზანშეწონილად პურისა და ძირითადი სამრეწველო საგნების განაწილება რაიონების მიხედვით და დამტკიცებულ იქნას შ. ვაჭრობის მიერ ამის თაობაზე წარმოდგენილი გეგმა;

ე) მიღებულ იქნას ზომები, რომ რაიონებში საქონლის განაწილების გეგმა სისწორით სრულდებოდეს;

ვ) მიღებულ იქნეს ზომები, რათა მტკიცედ ტარდებოდეს ცხოვრებაში საქონლის განაწილების პროც. ქალაქთა და სოფლებს შორის, რათა უკანასკნელთა მოსახლეობა თავის დროზე უზრუნველყოფილ იქნეს ფართო მოხმარების საგნებით.

## ჩვენი ვაჭრობა სპარსეთთან

სპარსეთთან ვაჭრობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში აცნობეს შემდეგი:

— სავაჭრო ურთიერთობა სპარსეთთან უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საკმაოდ გაფართოვდა. ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებების სავაჭრო ბრუნვამ, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, ფართო ხასიათი მიიღო, როგორც საქონლის ექსპორტის, ისე იმპორტის მხრივ.

გასული წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ბრუნვა უდრიდა 70 მილიონ კრანს.

ჩვენ სპარსეთის ბაზარზე უმთავრესად გაგვაქვს შაქარი, ნავთი და ნავთის პროდუქტები, რომლებსაც მონოპოლიური მდგომარეობა აქვთ მოპოებული სპარსეთის აზერბეიჯანში. ჯერ კიდევ სამი წლის წინეთ ინგლისელები დიდ კონკურენციას უწევდენ ჩვენს შაქარს, მაგრამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენმა შაქარმა სავსებით განდევნა აზერბეიჯანის ბაზრიდან ინგლისური შაქარი. ეს აიხსნება ჩვენი შაქრის ფასის შემცირებით.

რაც შეეხება მანუფაქტურას, ჩვენ მხოლოდ 10 პროც-ით ვაკმაყოფილებთ სპარსეთის აზერბეიჯანის ბაზრის მოთხოვნილებას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ფართლეულობის შეტანა სპარსეთში რამოდენიმეთ გაიზარდა, ამას; გარდა ჩვენი ფართალი ეხლა უფრო აკმაყოფილებს სპარსელი მყიდველის გემოვნებას.

სპარსეთიდან ჩვენ უმთავრესად შემოგვაქვს ხმელი ხილი, ბამბა მატყლი და ტყავეულობა.

ბამბის მოსავალი წელს სპარსეთში მცირე იყო, რაც აიხსნება გვალვებით. ბამბის ნათესების სივრცე მიმდინარე წელში გადიდებული იყო ხუთჯერ, მიუხედავათ ამისა მოსავალი შარშანდელზე ნაკლები იყო. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ბამბის მთელ მოსავალს სპარსეთის აზერბეიჯანში ყიდულობს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

ჩვენ ხელშეკრულება დავდეთ თავრიზის რკინის გზის სამმართველოსთან, რომლის ძალით მას ყოველწლიურათ უნდა მივაწოდოთ 120.000 ფუთი მაზუთი და 350.000 შპალი ეს ხელშეკრულება ჩვენ მიერ თავის დროზე და წარმატებით სრულდება.

## ეკონომიური ქრონიკა

— **არაყის ქარხნის გაფართოება.** აჭარისტანის სავაჭრო-სამრეწველო სამმართველომ რუსეთში დაუკვეთა ახალი მანქანები არაყის სახდელ ქარხნის გასაფართოებლად.

— **ხატყეო მასალაზე** გასულ წელთან შედარებით ფასებმა აიწია 25 პროცენტით.

— **ფასები ჩაიზე.** დაწესებული იქნა მტკიცე ფასები ჩაიზე. ამჟამად ბათომში უმაღლესი ხარისხის ჩაი ღირს 1 მ. 65 კ., 1 ხარ. 1 მან. 16 კ., მე-2 ხარ.—82 კ.

## საგეგმო კომისიაში

### შინა-მრეწველობის შესახებ

საგეგმო კომისიამ საჭიროთ სცნო, რათა შინა-მრეწველობის საკითხები უშუალოდ შედიოდეს ს. მ. უ. საბჭოს კომპეტენციაში. შინა-მრეწველობის საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც დაარსდება ს. მ. უ. საბჭოსთან, უნდა შედიოდეს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი.

### საზ-ბა „ბირლიკი“-ს შუამდგომლობა

საგეგმო კომისიამ მოიწონა საზ-ბა „ბირლიკი“ს მიერ წარმოდგენილი გეგმა რძის მეურნეობის მექანიზაციის შესახებ.

წინადადება მიეცა საზ-ბა „ბირლიკ“-ს, რათა რძის მეურნეობის მექანიზაცია გატარებულ იქნეს ცხოვ-

# კოოპერაცია

## სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაცია სამხრეთ-ოსეთში

1924 წლამდე სამხრეთ-ოსეთში არ ყოფილა არც ერთი ტიპის კოოპერატიული ორგანიზაციები, მხოლოდ 1924 წლის ივლისში და აგვისტოში ჩაისახენ მოზრდილ სათემო პუნქტებში სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები, რომელთაც ამჟამად აერთებს „სამხრეთ-ოსეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა კავშირი.

1926 წლის პირველ იანვრისათვის სამხრეთ-ოსეთში იყო 8 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა 2 მომხმარებელი საზოგადოება და 2 საკრედიტო ამხანაგობა.

საკრედიტო ამხანაგობებმა თავის არსებობის პირველი წლის განმავლობაში მიიღეს სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან შვიდ-შვიდი ათასი მანეთი, რომელიც მაშინვე სესხად გაანაწილეს გლეხობაზე.

სამხრეთ-ოსეთის მთელი კოოპერატიული ქსელის სავაჭრო ბრუნვა უდრის 470 ათას მანეთს. ეს თანხა წარმოადგენს სამხრეთ-ოსეთის საერთო სავაჭრო ბრუნვის უმნიშვნელო ნაწილს, რადგან ჯერჯერობით სამხრეთ ოსეთში კოოპერატიულ ვაჭრობას სჭარბობს კერძო ვაჭრობა.

კოოპერატიული ორგანიზაციები იძულებულნი არიან ჯერჯერობით სოფლის მოსახლეობას მიაწოდონ მხოლოდ პირველი საჭიროების საგნები (უმთავრესად მანუფაქტურა)ვინაიდან თანხების სიმცირე იმ კრედიტების ხასიათი, რომლითაც ისინი სარგებლობენ, მათ საშუალებას არ აძლევს განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო. კოოპერაციის სხვა ამოცანები წარმოების, გასაღების და მიწოდების დარგებში, მხოლოდ სასოფ.-სამეურ. კოოპერატივის კავშირთან (ცხინვალში) არსებობს ორი აგროკულტურული დაწესებულება:—საბოსტნე - სათესლე მეურნეობა—ხილის სანერგით, და ჯიშიანი ღორების (ინგლისური ჯიშის) ქარხანა. კოოპერაცია სამხრეთ-ოსეთში მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას. მას ესაჭიროება ხელის შეწყობა და დახმარება სათანადო ორგანოების მხრივ.

## კოოპერაციაში ეწერებიან

(სუფსის თემი, გურია)

ამ რამოდენიმე დღის წინად „ეპოს“ გამგეობამ შესწყვიტა არა წევრებზე საქონლის გაცემა. ამ გარემოებამ გლეხები გამოაფხიზლა. ზოგიერთებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და ხელი მიყვეს პროვოკაციას. გაიძახოდენ: კოოპერატივი გახადეს მდიდრების სავაჭროთო. კერძო ვაჭრები იუბნებოდენ ხალხს: იქ ექვსი მანეთის შიტანას გთხოვენ, ჩემთან სამი მანეთი შემოიტანე და საქონელს მეც ბლომად მოგიტანო. მაგრამ ასეთმა პროვოკაციამ ვერ გასჭრა. ყველა შეგნებული გლეხი თავს დანაშაულათ გრძნობს, რომ დღემდე ვერ გამხდარა კოოპერაციის წევრათ. ყველა გრძნობს, რომ კოოპერაციას დიდი სარგებლობა მოაქვს. პირი იბრუნეს კოოპერაციისაკენ; რასაც ამტკიცებს ის, რომ ამ ბოლო დროს საგრძნობლათ იმატა წევრთა რიცხვმა. ამავე თემის სოფ. ტაბანათის მასიურ კრებაზე, სადაც კითხვა იდგა კოოპერაციის შესახებ ერთმა მოხუცმა გლეხმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: სხვადასხვა მიზეზების გამო დღის წევრათ არ ვითვლები. როცა მოახლოვდა შობა-ახალწელიწადი ბავშვებმა ტანისამოსის მოთხოვნილება წამომიყენეს ვიშოვნე ათი მანეთი და წაველი სასყიდლათ. შეველი კოოპერატივში, მაგრამ უარი მითხრეს როგორც არა წევრს. მეწყინა მაგრამ რას ვიზამდი; წაველი კერძო ვაჭართან და ვიყიდე; როცა სახლში დავბრუნდი ჩემმა მეზობელმაც მიიტანა ათი მანეთის ფართალი, რომელიც კოოპერატივში ეყიდათ, შევადარეთ ჩემს ნაყიდს და მიუხედავად იმისა,რომ ჩემი უფრო დაბალი ხარისხის იყო, სამ მანეთ ნახევარი წამეგო ათ მანეთში. შემდეგ წაველი, ვისესხე 10 მანეთი, ექვსი მან. კოოპერატივში შევიტანე საწევრო და საპაიო და დანარჩენის ფართალი ვიყიდე, გამოირკვა რომ მე რომ რვა მანეთად ვიყიდე კერძო ვაჭართან, იმდენი კოოპერატივში ოთხ მანეთად მომცეს. კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ ახლო მომავალში ყველა ჩაეწერონ კოოპერატივის წევრებათ.

**აპ. იმნაიშვილი.**

## წარმოკავშირში

### ამხ-ბა „ყარაია“-ს გამოკვლევა

წარმოკავშირმა მოახდინა მის სისტემაში შემავალ სასოფლო-სამეურნეო ამხ-ბა „ყარაია“-ს საქმეების გამოკვლება.

ეს ამხ-ბა წესდებით სპეციალურ ხასიათს ატარებს (მებამბეთა ამხ-ბა), ხოლო ფაქტიურად ის სხვა ოპერაციებსაც კიდებს ხელს, თუმცა მის მუშაობას საფუძვლად მაინც მებამბეობა უდევს.

ამხ-ბის რაიონი ვრცელდება 15 სოფელზე, რადიუსით 8—9 ვერსი.. ამხ-ბის წევრებათ ითვლება 948 ფიზიკური და იურიდიული პირი.

ეს ამხ-ბა დაარსებულია ცეკავშირის ინიციატივით, მაგრამ გასული წლის თებერვალში წევრთა მოთხოვნის თანახმად ამხ-ბა შევიდა წარმოკავშირის სისტემაში, რის შემდეგ საორგანიზაციო და სამეურნეო ხელმძღვანელობა წარმოკავშირმა აიღო თავის თავზე.

პირველი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც წარმოკავშირსა და ამხ-ბა „ყარაია“- შორის ჩამოვარდა—ეს იყო ბამბის ოპერაცია.

მათ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ამხანაგობას უნდა დაეთესა 1.500 დეს. ბამბა, რისთვისაც მან სათანადო ავანსებიც მიიღო. ამხანაგობამ ავანსები გასცა თავის წევრებზე 1.567 დას. დასათესავად, ხოლო ნათესების პირველად შემოწმების დროს სავარგისი აღმოჩნდა 1.541 დეს.

ამ რაოდენობის მიხედვით, წევრებზე გაცემული იყო ფულათ—88.541 მან., ხორბლით—29.832 მან., თესლით—2.778 მან., სულ კი—121.153 მანეთი.

მიმდინარე თვის 12-დე წევრების მიერ ჩაბარებულია ბამბა—161.713 მანეთის; ამ რაოდენობიდან წევრებმა გაამართლეს გაცემული ავანსები —91.449 მანეთი, ე. ი. რჩება მათზე ჯერჯერობით გაუმართლებელი—29.666 მანეთი.

ბამბის დამზადება კიდევ გრძელდება და ცხადია, რომ [illegible] ეს დავალიანება შემცირდება

ამხანაგობას აქვს წყალსაქაჩი, რომელიც მოწყობილია ცეკავშირის თანხებით. ეს წყალსაქაჩი დაჯდა—10.570 მანეთი. ამ წყალსაქაჩით სარგებლობენ წევრები ნათესების მორწყვის დროს, რისთვისაც ისინი განსაზღვრულ გადასახადს იხდიან.

1925 საოპერაციო წლის განმავლობაში წყალსაქაჩზე გაწეული ხარჯები უდრის—3.189 მან., შემოსავალი კი—1.781 მან.

რაც შეეხება ანგარიშწარმოებას ამხანაგობაში, სალაროს და საწყობის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ანგარიშწარმოება დამაკმაყოფილებელია. შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად ამხანაგობის გამგეობას მიეცა სათანადო ინსტრუქცია.

## შინამრეწველთა კოოპერაცია

შინა-მრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიურო უკვე შეუდგა შინა-მრეწველთა არტელების მოწყობას, მათთვის ნედლი მასალის და იარაღ-მანქანების მიწოდებას და შინა-მრეწველთათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევას.

ბიურომ ჯერ-ჯერობით არტელები მოაწყო შემდეგ ადგილებში: რუისში, ქარელში, ავლევში, მცხეთაში, ქუთაისში და ოზურგეთში. ახლო მომავალში არტელები მოეწყობა ხონში და სამტრედიაში.

რაც შეეხება ნედლი მასალის მიწოდებას, საორგანიზაციო ბიურომ შეიძინა ათასი ფუთი მატყლი (საზ-ბა „მწყემსის“-ა და სხვა ორგანიზაციეისაგან); ამას გარდა საორგანიზაციო ბიუროს მოლაპარაკებაც აქვს გამართული საზ-ბა „აბრეშუმთან“ არტელებისათვის ყოველთვიურად 20 ფუთი აბრეშუმის ძაფის მიწოდების შესახებ.

ბიურომ ლენინაკანში, ლუკაშინის სახელობის ბამბის სართავ ქარხნისათვის შეუკვეთა 200 ფუთი ბამბის ნართი. პირველ ხანებში ბიურო შინა-მრეწველებს მიაწოდებს თვიურად 200 ფუთ ბამბის ნართს.

არტელებისათვის მატყლის ნართის მიწოდების მიზნით, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის შინა-მრეწველობის განყოფილებამ გააფართოვა მატყლის სართავ ქარხნის მუშაობა. ამ ქარხნის გარდა მატყლის ნართის დამზადებაზე თბილისში მუშაობს 500 ქალი. ეს ნართი ეგზავნება შინა-მრეწველობის არტელებს.

შინა-მრეწველთა არტელების ნაწარმოების გასაღების მოგვარების მიზნით, შინა-მრეწველობის კოოპერაციის ბიურო თბილისში ხსნის მაღაზიას, სადაც გასაღდება როგორც საქართველოს, ისე მეზობელ რესპუბლიკებში მომუშავე შინა-მრეწველთა ნაწარმოები.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის შრომის ინსპექციასთან არსებული საფეიქრო სახელოსნო უსასყიდლოთ გადაეცა შინა-მრეწველობის კოოპერაციის ბიუროს ყოველგვარ ხელსაწყო იარაღებით და მომარაგებული ნედლი მასალით, დამზადებულ და დასამზადებელ მასალით.

შინა - მრეწველთა არტელებისათვის საჭირო იარაღების და მანქანების ერთი ნაწილი დამზადებულია თბილისში და იგზავნება მაზრებში; იარაღ-მანქანების ერთი ნაწილი კი გამოწერილია მოსკოვიდან.

შინა-მრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს მუშაობა კიდევ უფრო ფართოდ გაიშლებოდა, რომ მას ჰქონდეს საკმარისი თანხები. ამჟამად აღძრულია საკითხი ბიუროს თანხების გადიდების შესახებ.

„მეცნიერება და ტექნიკა“ № 1

დაურიგდება

„კომუნისტი“-ს ხელისმომწერლებს

სამშაბათს

# სასოფლო მეურნეობა

## პრემიები მეურნეობის გაუმჯობესებისათვის

მიწათმოქმედების სახ. კომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებასთან შექმნილია ე. წ. პრემიალური ფონდი, რომლიდანაც წასახალისებლად საჩუქარი მიეცემათ იმ გლეხურ მეურნეობათ, რომელნიც შეიტანენ მაიშნელოვან გაუმჯობესებას თავიანთ წარმოებაში.

პრემიები დაურიგდებათ გლეხებს, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათ, მამულებს და იმ მეურნეობათ, რომელნიც მუშაობენ საერთო სარგებლობის იარაღებით აწარმოებენ. პრემიები დაურიგდებათ მეურნეობის შემდეგ დარგებს: მევენახეობას, მეხილეობას, მეველეობას და მესაქონლეობას. პრემიალური ფონდი უდრის სულ 24.763 მანეთს; აქედან 15 პროცენტი მოხმარდება კერძო გლეხური მეურნეობის დაჯილდოვებას.

გადადებული თანხიდან თბილისის მაზრა საპრემიოდ მიიღებს 3350 მანეთს. ამ თანხიდან ათას-ათასი მანეთი მიეცემა მეველეობას, მეხილეობას და მესაქონლეობას; 350 მანეთი კი მებაღეობას.

გორის მაზრა მეხილეობის და მეველეობის დასაჯილდოებლად მიიღებს ათას-ათას მანეთს, მესაქონლეობისათვის—235 მანეთს.

ბორჩალოს მაზრისათვის გადადებულია 2.784 მანეთი,—აქედან მესაქონლეობის დასაჯილდოებლად—1.400 მანეთი,—მეველეობის—784 მანეთი, ხოლო მეხილეობა-მევენახეობის დასასაჩუქრებლად—600 მან. ახალციხის მაზრას მიეცემა 1.217 მანეთი მებაღეობისა, მეხილეობისა და მეველეობისათვის.

ახალქალაქის მაზრას ეძლევა მეველობის და მესაქონლეობისათვის—1372 მანეთი.

დასავლეთ საქართველოს მაზრების მეურნეობათა დასაჯილდოებლად გადადებულია 5 ათას მანეთამდე.

ავტონომიურ რესპუბლიკებიდან,—სამხრეთ-ოსეთისათვის მესაქონლეობის დასაჯილდოებლად—485 მანეთი, აჭარისტანისათვის—259 მანეთი ჩაის პლანტაციების დასაჯილდოებლად; აფხაზეთს—2165 მანეთი მეხილეობისა და მეთამბაქოებისათვის.

პრემიების დარიგებას ექნება ფართო ხასიათი; მასში მონაწილეობას მიიღებენ გლეხები; სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და საფინ. ორგანოების წარმომადგენლები.

## მებამბეობის პერსპექტივები

მებამბეობის აღდგენა ამიერ-კავკასიაში ფაქტიურად 1923 წლიდან დაიწყო. 1923 წელს ამიერკავკასიაში ბამბა დათესილი იქნა 17.570 დეს., მოსავალი უდრიდა 823.900 ფუთს.

1924 წელში ბამბა უკვე დათესილი იყო 100.236 დესეტინაზე, მიმდინარე 1925—26 წელში კი ბამბის ნათესების სივრცე უკვე უდრის 119.257 დეს. ანდა ომის წინა ხანების სივრცის 95,7 პროც.

მებამბეობის აღსადგენი მუშაობა სწარმოებდა არა მარტო ნათესების სივრცის გადიდების მიმართულებით. ნათესების სივრცის გაფართოებასთან ერთად დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული აგრო-კულტურულ ღონისძიებებს და აგრონომიულ დახმარებას. მარტო 1925 წლის განმავლობაში აგრონომიულ ღონისძიებების გატარებაზე ამიერ-კავკასიაში დახარჯულია 300.000 მანეთი, რასაც შედეგათ მოყვა აგრონომიული პუნქტების და საჩვენებელი ნაკვეთების ქსელის გაფართოვება და წარმატებით ბრძოლა ბამბის ნათესების მავნებლებთან.

ყველა ამან ხელი შეუწყო მოსავლიანობის გადიდებას. საშუალო მოსავლიანობა ომამდი უდრიდა: აზერბეიჯანში—47,5 ფუთს დესეტინაზე, სომხეთში—54,7 ფუთს და საქართველოში—44,5 ფუთს, მიმდინარე წლის მოსავლიანობა კი უდრის: აზერბეიჯანში—4[illegible] ფუთს, სომხეთში—53 ფ. და საქართველოში—40 ფ., ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა მიუხედავათ იმისა, რომ ნათესების მორწყვის საქმე წელს სათანადოთ მოგვარებული არ იყო.

ასეთ მოსავლიანობასთან შეფარდებით გაიზარდა ბამბის შეგროვებაც. მიმდინარე სეზონის მოსავლის შესყიდვა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტმა ამ საქმეში დიდ შედეგებს მიაღწია.

მიმდინარე წლის 1-ლი იანვრისათვის ამიერ-კავკასიაში შესყიდულია 4,102,189 ფუთი ბამბა ანდა გეგმა შესრულებულია 84,1 პროც-ით: შესყიდვა დამთავრებული უნდა იქნეს თებერვალში. შეიძლება ითქვას, რომ გეგმა შესრულებული იქნება გადამეტებით, რადგან არის ცნობები, რომ კიდევ მოსალოდნელია 1.100.000 ფ. ბამბის შესყიდვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერ-კავკასიის მოსახლეობამ წელს ბამბის გასაღებიდან მიიღო 20.000.000 მანეთი ფულად და 145.000 მანეთი საექიმო მასალებით და კიდევ მიიღებს დაახლოვებით 5.200.000 მანეთს, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს გლეხთა მეურნეობას. ამას გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ ბამბის საწმენდ ქარხნებში (23) ამჟამად სამუშაო იშოვა 2.740 მუშამ და მოსამსახურემ.

# გერმანიის კრიზისი და „ევროპის სტაბილიზაცია“

ამ ბოლო დროს პოლიტიკურ ლიტერატურაში მოდათ გადაიქცა „კაპიტალისტური ევროპის სტაბილიზაციაზე“ ლაპარაკი. ეს გამოთქმა გამოხატავს იმ უცილობელ ფაქტს, რომ კაპიტალისტურმა ევროპამ ნაწილობრივ განიკურნა დიდი ომის მიერ მიყენებული ჭრილობები. რევოლიუციური მოძრაობა დროებით მინელდა. დასავლეთ ევროპის მრეწველობა შეეგუა შემცირებულ მსოფლიო ბაზარს, ევროპიული მოქალაქე შეეგუა შემცირებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ერთ მშვენიერ დღეს ევროპიელმა მოქალაქემ იგრძნო, რომ ის უფრო ღატაკი, უფრო უმწეო გამხდარა და მისი კეთილდღეობა დამოკიდებულია ატლანტიურ ოკეანეს გაღმა მცხოვრებ ბიძიას გულკეთილობაზე. ამ ამერიკელმა მდიდარმა ბიძიამ გონება მახვილი დაუესის პროგრამა მიუძღვნა თავის ღარიბ ევროპიელ ნათესავს, ფული ასესხა და საქონლის კრედიტი გაუხსნა; ერთი სიტყვით თავისი გამონაცვალი უჯრედებიანი შარვალი ჩააცვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ყოველივე საკმაო არ ყოფილა ბედნიერების მისაღწევად. შარვალი ალაგ-ალაგ დაკერებულია, ალაგ-ალაგ ვიწროა და ევროპიელი ადამიანის მოძრაობას აფერხებს. და თვით გერმანელი სოციალ-დემოკრატიის მეცნიერული ორგანო, „გეზელშაფტი“, რომელსაც ცნობილი თეორეტიკოსი რუდოლფ ჰილფერდინგი ხელმძღვანელობს, იძულებულია ჩვენი ძველი კარგი ნაცნობის ვლადიმირ ვოიტინსკის პირით აღიაროს, რომ ეგრედწოდებული სტაბილიზაცია, „რომელიც 1921—22 წლების შემდეგ დაიწყო, კრიზისზე უარესი აღმოჩნდა: მან თან მოიტანა უმუშევრობა, ეკონომიური გაჭირვება, საყოველთაო დეპრესია“ (იხ. „გეზელშაფტ“, 1926 წ. № 1)

გერმანიის კრიზისზე ახლა ყველანი ხმამაღლა ლაპარაკობენ: ისინიც კი ვინც დაუესის პროგრამის განხორციელებისა და ლოკარნოს ხელშეკრულების დადებისაგან სასწაულმოქმედებას ელოდნენ. რურის ოლქის დაცლამ, საბაჟო უფლების აღდგენამ, ამერიკის კრედიტებმ „გამოაცოცხლეს“ გერმანიის მრეწველობა. აღმოჩნდა, რომ ეს გამოცოცხლება დროებითია. ეს არ არის გასაკვირალი. ჯერ კიდევ ომამდი გერმანიას პასიური სააღებ მიცემო ბალანსი ჰქონდა. ის იძულებული იყო მილიარდ ნახევარი მარკის მეტი საქონელი შემოეტანა, ვიდრე გაეტანა; ამ დეფიციტს საზღვარგარეთ მოთავსებული კაპიტალების და სავაჭრო ფლოტის შემოსავლით ჰფარავდა. დამარცხების წყალობით გერმანიამ თავისი დიდი ფლოტიც დაჰკარგა და უცხოეთში დაბანდებული კაპიტალებიც. წაგებული ომისვე წყალობით შემცირდა შინაური ბაზრის შემსყიდველი ძალა, მსოფლიო ბაზარზე ახალი სამრეწველო-სამეურნეო ქვეყნები გამოვიდნენ, კანადა, არგენტინა, ბრიტანეთის ინდოეთი, ავსტრალიის კავშირი, რომელნიც შეერთებულ შტატებთან ერთად მკაცრ კონკურენციას უწევენ ევროპის ძველ სამრეწველო ქვეყნებს. დასავლეთ ევროპის მონაწილეობა მსოფლიო აღებ-მიცემობაში შემცირდა, განსაკუთრებით შემცირდა დამარცხებული გერმანიის წილი 1913 წელს გერმანიაზე მოდიოდა დაახლოვებით თორმეტ პროცენტ ნახევარი მთელი მსოფლიო აღებ-მიცემობისა, დღეს ექვსი პროცენტიც არ მოდის. ამასზედ ერთვის უზარმაზარი ვალი, რომლის [illegible]აგებელი ახლა წლიურად ნახევარ მილიარდ მარკას უდრის, ხოლო ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, როცა მას დაუესის გეგმით გათვალისწინებული გადასახადები მიემატება.

როგორ უნდა დაჰფაროს გერმანიამ თავისი ეკონომიური და ფინანსიური მეურნეობის დეფიციტი, თუ მისი ინდუსტრიის ნაწარმოებს ბევრად ნაკლები გასავალი აქვს, ვიდრე ჰქონდა, ხოლო სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოები საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც არ ჰყოფნის, არა თუ გარეთ გასატანად? დაუესის გეგმის მიღებისა და ლოკარნოს ხელშეკრულების დადების შემდეგ გერმანიას ერთად-ერთი გამოსავალი აქვს ამ მდგომარეობიდან: ინდუსტრიის შემცირება, მოთხოვნილების შეკვეცა, ზედმეტი მოსახლეობის დამშევა და ნელი სიკვდილი.

1925 წლის ზამთრის პირი ყოველმხრივ მეტად მკაცრი იყო გერმანიისთვის, 1926 წელს კიდევ უფრო პირქუში დღეებია მოსალოდნელი. ეს დღეს საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს თვით ზომიერ ბურჟუაზიულ პარტიების პოლიტიკოსებისა და პუბლიცისტებისთვის, რომელნიც ჯერ კიდევ ამ ერთი წლის წინად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გერმანიას უკეთესი დღეები დაუდგებოდა, თუ ის ანტანტის „მაღალი პოლიტიკის“ მონაწილე გახდებოდა. დღეს უკვე ზოგიერთი მათგანი ხსნას ახალი მუსოლინის მოვლინებასა და დიქტატურის დამყარებაში ელის. ზოგიერთი ჰოჰენცოლერნების დაბრუნებას ოცნებობს, ზოგიერთი კიდევ დემოკრატიულ პარტიის ბელადი ერკელენცივით ფიქრობს, რომ ასე იქნება თუ ისე „საქმე სრულით დამთავრდება“.

მაგრამ ვის უნდა ესროლონ გერმანელმა დემოკრატებმა? რასაკვირველია, იმ უმუშევართა არმიას, რომელიც ოფიციალური ცნობებით დეკემბრის პირველ რიცხვებისთვის—760.000 კაცს უდრიდა, ხოლო ორი კვირის შემდეგ მილიონ ასი ათასს. არაოფიციალური ცნობის მიხედვით უმუშევართა რიცხვი დღეს სამ მილიონს აღწევს, ის იზრდება შემაძრწუნებელი სიჩქარით. თუ გავიხსენებთ, რომ ნაანგარიშევია მხოლოდ ჰასაკში შესული მუშები, რომ მათ ოჯახები აქვთ, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის მთელი მოსახლეობის ერთი მეოთხედი ნაწილობრივ ან სრულიად უმუშევარია და გადაგვარებასა და სიკვდილს ელის ხელი სიმშილის გზით.

* * *

გერმანიისა და საერთოდ დამარცხებული სახელმწიფოების ეკონომიური კრიზისი განკალკევებული მოვლენა არ არის; ის დამახასიათებელია მთელი დასავლეთი ევროპისთვის. ხოლოდ ეს კრიზისი სხვა და სხვა სახეს ღებულობს ამა თუ იმ ქვეყნის განსაკუთრებული პირობების მიხედვით. გერმანიაში კოტრდებიან უდიდესი ტრესტები და სინდიკატები, ქარხნები იხურება, უმუშევართა არმია იზრდება, მაგრამ მარკის კურსი შედარებით მტკიცეა უკანასკნელი დიდი ფინანსიური რეფორმის შემდეგ. საფრანგეთში, პირიქით, მრეწველობა ერთგვარი აყვავების ხანაში იმყოფება, უმუშევრობა თითქმის სულ არ არსებობს, მაგრამ სამაგიეროთ ფრანკის კურსი ეცემა და ცხოვრება შეუჩერებლივ ძვირდება. ეს ერთი შეხედვით ერთი-მეორის მოწინააღმდეგე მოვლენები ერთნაირ საზოგადოებრივ უკმაყოფილებას, უიმედობას და შიშს იწვევენ გერმანიაში და საფრანგეთში. პესიმიზმი ერთნაირად ძლიერია როგორც დამარცხებულ, ისე გამარჯვებულ ქვეყანაში. „არა მარტო ჩვენში, ყველგან ერთნაირად ჩამოსხელდა,—სწერს ვენის ბურჟუაზიული გაზეთი, „ნოიე ფრაიე პრესსე“—და დღევანდელი მდგომარეობა თითქმის ლორდ ბაირონის შემძრწუნებელ ფანტაზიას ჰგავს, რომელიც მოგვითხრობს როგორ გრძნობენ თავს ადამიანები, როცა მზის სხივი ფერმკრთალი ხდება, სითბო ჰქრება და შრომის მასაზრდოებელი წყარო იშრიტება“.

თვით სოციალ-დემოკრატიული პრესა, რომელიც ხშირად ზერელე, დაუსაბუთებელი ოპტიმიზმით არის გამსჭვალული, იძულებულია აღიაროს, რომ ევროპის მრეწველობა-მეურნეობის აღდგენა ისე დაუბრკოლებლათ და შეუჩერებლათ არ მიმდინარეობს, როგორც თავდაპირველად იყო მოსალოდნელი. როგორც ცნობილია, დიდი ომის გათავების შემდეგ „ეკონომიური დემობილიზაცია“ ჩქარა და უმტკივნეულოთ მოხდა. ხანგრძლივი იძულებითი ხელმომჭირნეობის შემდეგ თავი იჩინა გადაჭარბებულმა მოთხოვნამ, საერთაშორისო აღებ-მიცემობა გამოცოცხლდა და ალაგ-ალაგ ომის წინადროინდელ დონესაც გადააჭარბა. 1919 წელს ევროპაში სრულიად არ იყო უმუშევრობა. ამ გარემოებამ მუშათა კლასსა და საშუალო კლასების წრეებში ნიადაგი მოუმზადა ერთგვარ რეფორმისტულ ოპტიმიზმს, რაიცა გარეგნულად სოციალ-დემოკრატიულ ხმების ზრდაში გამოიხატა. ბურჟუაზიის შორსმჭვრეტელი ეკონომისტები, კეინსი, ხიტსი და სხვები არ იზიარებდნენ ამ ოპტიმიზმს. კეინსი ლაპარაკობდა იმ მოახლოვებული მიწისძვრის გუგუნზე, რომელსაც ჩქარა უნდა შეენძრია ევროპის ნიადაგი და ახლა რეფორმისტებიც სცნობენ, რომ მიწისძვრა გრძელდება პერიოდულად. „ის მავთულების ღობე, რომელიც ერებს ერთი მეორეში ჰყოფდა, აღებულ არ არის,—სწერს ზემოთ აღნიშნული გერმანული სოციალ-დემოკრატიული ორგანო,—ვალუტის ქაოსობა შესუსტდა. მოწესრიგებული საერთაშორისო ურთიერთობის უმთავრესი საფუძველი აღდგენილია. მაგრამ მსოფლიო მრეწველობა, მეურნეობის აღდგენა, რომელიც ყველას ასე ძლიერ სურს, მაინც არ ხდება“ (შ. „გეზელშაფტ“ № 1, 1926 წ.)

ცხადია, რომ ევროპა პერმანენტული კრიზისის პერიოდში შევიდა და ევროპიელ პოლიტიკოსებს, რომელნიც საბა სულხან ორბელიანის წაჯიქ-უკუჯიქიანის მასწავლებლივით, ხან ფინანსებს გამოასწორებენ და მრეწველობის შეფერხებას გამოიწვევენ, ხან კიდევ მრეწველობას მოაწესრიგებენ და ფინანსებს ასწეწენ, არ ძალუძთ ამ კრიზისიდან თავის დაღწევა. აშკარაა, რეფორმისტული გზით შეუძლებელია დაავადებული ევროპის განკურნება.

რაშია ამ ავადმყოფობის მთავარი მიზეზი?

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, დიდი ომის წყალობით ევროპის მონაწილეობა მსოფლიო აღებ-მიცემობაში შემცირდა (დაახლოვებით 35 პროც. ომის წინა წლებთან შედარებით, მოხდა მსოფლიო აღებ-მიცემობის ნაწილობრივი „დეევროპეზაცია“. თვით ევროპაში უმნიშვნელოვანესი სამრეწველო და სამეურნეო დარგების პროდუქციამ იკლო, ალაგ-ალაგ რელატიურად, ალაგ-ალაგ აბსოლიუტურად. ევროპას დღეს 30 პროცენტით ნაკლები პური, [illegible] და [illegible] მოჰყავს, ვიდრე 1909—1913 წლებში ჰყავდა. დედამიწის გულიდან ნაკლებ ნახშირს, ნავთსა და რკინას ღებულობს. სხვა ქვეყნებმა, განსაკუთრებით ამერიკამ, ევროპას გაასწრო ეგრეთ წოდებული ფერადი ლითონების, სპილენძის, ტყვიის, თითბერის, ალიუმინის დამუშავებაში. ევროპის სავაჭრო ფლოტი რაოდენობით გაიზარდა, მაგრამ მისმა მონაწილეობამ საერთაშორისო ტრანსპორტში შედარებით მაინც იკლო მიტომ, რომ კიდევ უფრო გაიზარდა არა-ევროპიული ქვეყნების სავაჭრო ფლოტი. ბოლოს ევროპამ დაჰკარგა მსოფლიო კრედიტორის როლი და შეერთებული შტატების მოვალე გახდა.

მაგრამ, საწარმოო ძალებით ევროპა დღეს მაინც ბევრად უფრო მდიდარია, ვიდრე დანარჩენი ქვეყნები, გარდა შეერთებული შტატებისა. ევროპის კრიზისი კაპიტალიზმის უძლურებას და ევროპიული ბურჟუაზიის ორგანიზატორული ნიჭის შესუსტებას მოწმობს, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა ლიბერალურ, დემოკრატიულ და რეფორმისტულ რეცეპტებს დროებითი პალიატივების ხასიათი აქვთ და კრიზისის დაძლევაში მაკდონალდი და რენოდელი ისევე უმწეონი აღმოჩნდნენ, როგორც ლოიდ ჯორჯი და კაიო-ბრიანი. რა არის ყველაზე რადიკალური ზომა, რომელსაც ევროპის განსაკურნებლად გვთავაზობს რეფორმისტული აზროვნება? ეს არის ევროპის „შეერთებული შტატების“ დაარსება ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად. „სოციალისტური პროლეტარიატი ჯერ-ჯერობით უმრავლესობას არ წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებაში,—სწერს გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის მეცნიერული ორგანო, მაგრამ ის უმრავლესობათ გადაიქცევა თუ თავის გარშემო მეზობელ და გარდამავალ საზოგადოებრივ წრეების შემოკრებას მოახერხებს ე. ი. თავის კლასობრივ პაროლს ფართო ხალხის მასსების პაროლათ აქცევს“ (შეად. „გეზელშაფტ“, 1925, № 9). რომელია ეს ჯადოსნური პაროლი? ეს არის ევროპის შეერთებული შტატები: „გაერთიანებული ევროპიული საბაჟო კავშირის, გაერთიანებული ევროპიული მრეწველობა-მეურნეობის გარეშე შეუძლებელია ევროპის ეკონომიური აღდგენა“ (იქ.).

ვინ უნდა ითავოს ევროპის შეერთებული შტატების დაარსება? „უწინარეს ყოვლისა დიდმა ბრიტანეთმა, მიტომ რომ ის დღემდე ევროპის ეკონომიური ბატონობის გამომხატველი იყო მთელს მსოფლიოში. უმთავრესად დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ არის მიმართული იმ ფერადკანიანი ერების შეტევა, რომელნიც თეთრკანიანი კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებას იწყებენ.. შემდეგ გერმანიამ: მიტომ, რომ მისი მომავალი ინდუსტრიის განვითარებაშია, თანამედროვე ინდუსტრია კი განსაზღვრული საფეხურის მიღწევის შემდეგ ვერ გაფართოვდება და ვერ გაიზრდება. თუ მას ისეთი სრული ტერიტორიული საფუძველი არ ექნა, როგორიც არც ერთ ევროპიულ სახელმწიფოს არა აქვს“.

საკმაოა ადამიანი ზემოთმოყვანილ სიტყვებს ჩაუკვირდეს, რომ მთელი ამ იდეის უტოპიურობა და უნაყოფობა დაინახოს. რა არის „ევროპის შეერთებული შტატები“, თუ არა გაფართოებული „ხალხთა ლიგა“, რომელიც დღემდე სრულიად უძლური აღმოჩნდა ევროპის პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისის დაძლევაში? დიდი მსოფლიო ომი სწორედ ევროპის ინდუსტრიული ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა ინგლისის და გერმანიის წინააღმდეგობამ და შეჯახებამ გამოიწვია, ეს წინააღმდეგობა არ მოსპობილა და არც მოისპობა, სანამ თანამედროვე ეკონომიური და სოციალური წესწყობილება არსებობს. ომს ევროპაში ახალი ეროვნული სახელმწიფოების დაარსება მოჰყვა, ამ სახელმწიფოებმა ახალი საბაჟო ბარიერები აღმართეს. სწორედ საბაჟო უფლების აღდგენისათვის იბრძოდა უწინარეს ყოვლისა დამარცხებული და განიარაღებული გერმანია. თვით ფრიტრედერული ინგლისი პროტექციონისტულ პოლიტიკას უბრუნდება.

მაგრამ ეს იდეოლოგია დამახასიათებელია თანამედროვე რეფორმისტული სოციალიზმისთვის პოლიტიკურად ეს სოციალიზმი ისევე უნაყოფო აღმოჩნდა, როგორც დემოკრატიული და ლიბერალური ბურჟუაზიული აზროვნება. ყოველ შემთხვევაში ის შეუდარებლად დაბლად სდგას იმავე დასავლეთ ევროპაში წარმოშობილ ფაშისტურ იდეოლოგიაზე. ჩიხში მომწყვდეულ ბურჟუაზიას ფაშიზმმა დროებით უფრო ადვილი „გამოსავალი“ გზა უჩვენა ვიდრე უხერხემლო დემოკრატიულმა და რეფორმისტულმა პოლიტიკამ. რასაკვირველია მუსოლინის მიერ დამყარებული „წონასწორობა“ დიდხანს ვერ გასძლებს. ამის ნიშნები უკვე არის. მაგრამ ბურჟუაზიული კულტურის შესანარჩუნებლად ეს რეჟიმი ყოველ შემთხვევაში დღეს უფრო რეალურ ფაქტორს წარმოადგენს, ვიდრე ის შეუღლება, რომელიც ზომიერმა სოციალიზმმა ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან მოახდინა ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაში და რომელმაც ვერაფერი ნაყოფი გამოიღო, გარდა „ხალხთა ლიგის“ და „ევროპის შეერთებული შტატების“ იდეისა.

**ეკონომისტი.**

# პარტიული ცხოვრება

## პარტიის მთლიანობისათვის

### მე-2 ქართულ ტერიტორიალურ დივიზიის პირველი პარტკონფერენცია

პარასკევს, 22 იანვარს, საღამოს 6 საათზე გაიხსნა მე-2 ქართულ ტერიტორიალურ დივიზიის პირველი პარტკონფერენცია.

მისალმებებისა და პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ მოხსენება საკავშირო კომპარტიის მე-14 ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. კახიანმა. შეკითხვებისა და ამ შეკითხვებზე მომხსენებლის მიერ პასუხის გაცემის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინეთ რა ამხ. კახიანის მოხსენება საკავშირო კომპარტიის მე-14 ყრილობის შედეგების შესახებ კონფერენცია მთლიანად იწონებს ყრილობის დადგენილებებს.

კონფერენცია სრულიად სწორად სთვლის ამხ. სტალინის მიერ წამოყენებულ და შემდეგ ყრილობის მიერ მიღებულ ჩვენი რესპუბლიკების განვითარების გენერალურ ხაზს.

შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი რესპუბლიკების ეკონომიური განმტკიცება მოითხოვს კონსოლიდაციას პარტიის მხრით, რომ [illegible] მარეობას და მიჰყავს ჩვენი რესპუბლიკები ლენინის მიერ ნაჩვენები სოციალისტური გზით.

ოპოზიციის გამოსვლა ყრილობაზე, რომელიც უმთავრეს საკითხებში არ ეთანხმება ყრილობის დიდ უმრავლესობას, მიუვანია ლენინის გზიდან გადახვევით.

მერყეობა ისეთ საკითხებში, როგორიც არის ჩვენი მრეწველობის ხასიათი, ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხი, დამოუკიდებლათ სოციალიზმის შენების საკითხი საბჭოთა რესპუბლიკებში, მტკიცე კავშირი ღარიბ და საშუალო გლეხობასთან და სხვ.—ნიშნავს წინსვლა-განვითარებაში ეჭვის შეტანას, პესიმისტურ განწყობილებების გაძლიერებას.

ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ პარტიის ყოველ წევრს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს ამ საკითხებზე.

ჩვენ, საქართველოს ყველა კუთხეებში მომუშავენი ვადგენთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ პარტყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებათ.

ადგილობრივ პარტორგანიზაციებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული [illegible]

[illegible] იმის მაჩვენებელია, რომ პარტია როგორც აქამდის, ისე დღესაც სწორად უღებს ალღოს შექმნილ მდგო- [illegible]

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელ შტაბს—ცენტრალურ კომიტეტს!

## ლენინგრადის მუშების ხმა

ლენინგრადი, 22 იანვ. ქარხანა „კრასნი პუტილოვეც"-ის პარტკოლექტივის წევრთა და კანდიდატთა საზოგადო კრებამ მოისმინა ტომსკის მოხსენება 14 პარტყრილობის მუშაობის შესახებ და მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია:

მოისმინა რა ტომსკის მოხსენება და ცეკას წევრების მოლოტოვის, კალინინის, ვოროშილოვის და პეტროვსკის სიტყვები საკავშირო კომპარტიის 14 ყრილობის მუშაობის შესახებ, „კრასნი პუტილოვეც"-ის პარტკოლექტივის წევრთა და კანდიდატთა საზოგადო კრება სავსებით უერთდება 14 პარტყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს და მათ სწორად და ლენინის შესაფერათ სთვლის. ჩვენ უარს ვამბობთ 25 დეკემბერს მიღებულ რეზოლუციაზე, მუშაობის მიმდინარეობის შეახებ. ეს რეზოლუცია მიღებული იყო აღნიშნულ ყრილობამდე, ლენინგრადის დელეგაციის მიერ ყრილობის მუშაობის ცალმხრივად და უმართებულოდ გაშუქების წყალობით. კრება არ იზიარებს მოსკოვ-ნარვის რაიონის აქტივის მიერ 1925 წ. 28 დეკემბერს მიღებულ რეზოლუციას. ჩვენ კატეგორულად ვგმობთ ლენინგრადის დელეგაციის პოზიციას 14 პარტყრილობაზე. აგრეთვე გადაჭრით ვგმობთ კოლექტივის ბიუროს, რაიკომის და საგუბერნიო კომიტეტის საქციელს. თავიანთი ფრაქციონული მუშაობას, რეპრესიების და პარტიული ზეგავლენის პოლიტიკის წყალობით მათ დეზორგანიზაცია შეჰქონდათ ჩვენ რიგებში. მოვითხოვთ სარაიონო და საგუბერნიო პარტიული კონფერენციების დაუყოვნებლივ მოწვევას და რაიკომის ეხლანდელი ბიუროს გადაყენებას პარტიულ ხელმძღვანელობისაგან, რადგან ეს ბიურო ხელს უშლის პარტიის წევრებს სისწორით გაეცნონ ყრილობის გადაწყვეტილებებს და განახორციელონ ისინი.

რადგან ჩვენი კოლექტივის ბიურომ თავისი ფრაქციონული და გამთიშავი მოქმედებით ძირი გამოუთხარა პარტიულ მასების ნდობას, ჩვენ მას ვართმევთ კოლექტივის მუშაობის ხელმძღვანელობის უფლებას და დაშლილად ვაცხადებთ. მხურვალე სალამს ვუძღვნით ცეკას ახალ შემადგენლობას და ყოველმხრივ დახმარებას აღუთქვამთ.

## სოფლის კომუჯრედი სასოფლო-მეურნეობის აღდგენის საქმეში

„ყველაზე უფრო ძლიერი და ცოცხალი უჯრედები სოფლათ ის უჯრედებია, რომლებიც პრაქტიკულ მუშაობას აწარმოებენ სასოფლო-მეურნეობის აღსადგენათ"—ამბობს საკავშირო კომპარტიის მე-14 ყრილობა თავის რეზოლუციაში კომკავშირის მუშაობის შესახებ.

ეს საკითხი უსათუოდ თავის დროზე დააყენა ჩვენი პარტიის უმაღლესმა ორგანომ. ჩვენ მთავარ ამოცანას დღეს მსხვილ მრეწველობასთან ერთად ქალაქის მეურნეობის აღდგენაც შეადგენს. უდიდეს სამეურნეო ქვეყანაში ყოვლად შეუძლებელია ეკონომიური წინსვლელობა, სანამ ერთიანად წელში არ გაიმართება სოფლის მეურნეობა. ჩვენი მ- [illegible]

უჯრედების მეთაურობით დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო წრეებს გლეხების ფართო მასებში მეურნეობის გაუმჯობესების სასარგებლოთ მუშაობის საწარმოებლად.

კიდევ ვიმეორებთ, კომკავშირის და პარტიის უჯრედებს ამდენ ხანს ეს ნაკლებათ აინტერესებდათ. მაგალითად, უჯრედების ღია კრებებზე თქვენ შეხვდებით 10—12 საკითხს, და მათ შორის ბევრ ისეთს, რომელიც სრულიად არ აინტერესებს გლეხებს, სამეურნეო ხასიათის საკითხებს კი ძვირათ. გარდა ამისა კომკავშირისა და კომპარტიის წევრები არც თავისი პირადი მუშაობით აჩვენებენ გლეხებს მაგალითს. ისინი ნაკლებათ მისდევენ [illegible] დამუშა- [illegible]

[illegible] პარტიის უჯრედი. სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების, ახალი იარაღებისა და მანქანების შემოღების საქმეში პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს კომკავშირის და კომპარტიის წევრებმა.

სრულდებოდა თუ არა ეს აქნამდი? უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთის გამოკლებით ეს საქმე მოისუსტებდა. როგორც კომკავშირისა და პარტიის ცალკე წევრების, ისე უჯრედების მხრით სათანადო ყურადღება არ ექცეოდა სოფლის მეურნეობის საკითხებს. იშვიათად ნახავთ უჯრედების დღის წესრიგში ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოხსენება სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე, ახალი მანქანებისა და იარაღების შემოღებაზე და სხვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენი სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას, და რომელთა გადაჭრა სოფელს ძლიერ აინტერესებს. იშვიათად ნახავთ აგრეთვე ჩვენი [illegible]

მეტი ყურადღება მიაქციონ სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეს. ამ მხრით გააჩაღონ გლეხებში მუშაობა, შეაგნებინონ სოფლის მეურნეობის დღევანდელი პრიმიტიული იარაღების უვარგისობა, საერთოდ ჩვენი სოფლის მეურნეობის ტეხნიკური ჩამორჩენილობა, და ამასთანავე ერთად ჩაუნერგონ გლეხებს, რომ საჭიროა ამ იარაღების გაუმჯობესებული იარაღებით და მანქანებით შეცვლა. გარდა ამისა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პარტიისა და კომკავშირის წევრები კი არ უნდა გაურბოდნენ მიწის დამუშავებას, პირიქით, თავისი პირადი მუშაობით, თავისი მეურნეობის გაუმჯობესებით, მაგალითი უნდა გახდნენ გლეხობისათვის.

ასეთი უჯრედები და პარტიის და კომკავშირის ასეთი წევრები შეძლებენ სოფლის იდეურად დაპყრობას. გლეხობაში პარტიისა და ხელისუფლების ავტორიტეტის განმტკიცება.

ლ.

## მოწერილი ამბები

### ჩვენი პარტკომი ემზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

თელავის მაზრის პარტკომი შეუდგა საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას და ჩაატარა ყველა უჯრედებში წინასწარი მუშაობა.

ამ ჟამად მაზრის კომიტეტი ფართო კამპანიას აწარმოებს უპარტიო ღარიბების და საშუალო გლეხობაში, აგ. კომკავშირში, უპარტიო ახალგაზრდობაში, წითელ არმიიდან დემობილიზაცია ქმნილი მოქალაქეებში [illegible]

[illegible] არჩეული საბჭოში.

სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას აქვს შემუშავებული საამისოდ გეგმა, რომლის მიხედვითაც მივლინებული ამხანაგები ატარებენ ადგილებზე აღნიშნულ კამპანიას. ზემოთ აღნიშნული კამპანიის ჩატარება მთელს მაზრაში იმიტომ [illegible] საქმეში. იქ, სადაც უკვე ჩატარდა აღნიშნული კამპანია, გლეხობა უკვე დაკვირვებით იქცევა და ემზადება მომავალ არჩევნებისათვის და ცდილობს, რომ საბჭოში აირჩიოს ის, ვინც დაიცავს მის, ე. ი. ღარიბის და საშუალო გლეხის, ინტერესებს.

ქრ. კოსტაშვილი.

## პარტიული მუშაობა განძაში

ბანძის რაიონის პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს რამდენიმე ათეულ კომუნისტს. შემადგენლობით ორგანიზაცია უმთავრესად შესდგება მიწის მომუშავე კომუნისტებისაგან. წევრთა უმრავლესობა დღესაც მჭიდროთ დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან.

რაიონის ორგანიზაციაში შედის შემდეგი თემის კომიტეტები: 1) ლეხანდრავო-ონოდიის და ჯოლო-აბედათის, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ როგორც მაზრის ისე ბანძის პარტ-ორგანიზაციასთან. დიდი ხანი, არ არის ჩვენში რაც ჩამოყალიბდა თემის კომიტეტები, რომელმაც საგრძნობლათ გააჯანსაღა პარტიული მუშაობა თემში.

ბანძის თემის კომიტეტს აქვს მაზრის კომიტეტთან როგორც წერილობითი, ისე ცოცხალი კავშირი, უკანასკნელი ხანის კავშირი ცოტა საძნელო შეიქნა მაზრკომისთვის, რადგანაც თემური ხისტემის შემოღების შემდეგ მაზრის კომიტეტს მოუხდა კავშირის დაჭერა უფრო მეტ-თემებთან, მაგრამ საკმაო უნარიანობის მქონე ინსტრუქტორების საშუალებით მაზრის კომიტეტმა შესძლო დაიკავა მჭიდრო დამოკიდებულება თემის კომიტეტებთან.

მაზრის ინსტრუქტორი ესწრება ბანძის თემის კომიტეტის სხდომებს და აძლევს სათანადო რჩევა-დარიგებას, რომელიც შესაძლებლად ხდის თანდათანობით აღმოიფხვრას ის ნაკლი, რომელიც თან დაჰყვა თემის კომიტეტის ყოველდღიურ მუშაობას.

უკანასკნელად თემში დიდი მუშაობა სწარმოებს მომავალი საბჭოთა არჩევნების სასურველად ჩასატარებლათ. ბანძის თემკომი უკვე შეუდგა წინასწარ სამზადისს.

თემში აღმზრდელობითი მუშაობა სასურველად მიმდინარეობს რამდენიმე დღის წინედ ბანძაში გახსნა მოძრავი პოლიტ-სკოლა, სადაც მეცადინეობს 80-მდე კაცი, რომელთა შორის არის 25 პარტიული და 5 კომკავშირის წევრი.

პოლიტ-სკოლის წევრების უმრავლესობა სოფლის უბრალო მიწის მუშა-კომუნისტებია. მეცადინეობა სწარმოებს საუბრის სახით.

თემის კომიტეტმა მაზრის აგიტ-პროპის მითითებით აიღო სწორი კურსი საბჭოთა ინტელიგენციის შორის მუშაობაში, რომლებიც აქტიურად მუშაობენ საბჭოთა დაწესებულებებში.

ბანძის თემის პარტიული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ა. ლ. კ. კ. მუშაობას.

კომკავშირის ორგანიზაციას უპარტიო გლეხებში დიდი ავტორიტეტი აქვს.

კომკავშირის ბანძის კომიტეტი და მისი წევრები საზოგადო კრებებზე ურყევად ატარებენ პარტიის ხაზს, არავითარ წინააღმდეგობას და დაპირისპირებას ადგილი არა აქვს.

ბანძის თემის კომიტეტი ყურადღებას აქცევს ანტი-რელიგიურ კამპანიას, რომელიც ტარდება კომპარტიის ახალი კურსის მიხედვით.

რამდენათ ბანძის თემის კომიტეტი იწყებს ენერგიულ მუშაობას, იმდენათ ავტორიტეტი პარტიის უპარტიო გლეხებში თანდათან მატულობს, გლეხები კომპარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს, კარგათ ხვდებიან.

ბანძის თემში გაერთიანებული ორგანიზაციის კრება ხდება თვეში ერთხელ, სადაც პარტიული საკითხების გარდა იხმება მშრომელი გლეხკაცობისათვის მეტად მტკივნეული საკითხები.

ქ. პატარაია.

## ამხ. გრიშა კიპნაძის ხსოვნას

კიდევ ერთი დანაკლისი—ულმობელმა სიკვდილმა კომკავშირს მოსტაცა საუკეთესო მომუშავე, ენერგიით აღსავსე—დაუღალავი მუშაკი, ამხ. გრ. კიკნაძე. ამხ. გრიშა ღარიბი გლეხის ოჯახიდან იყო გამოსული. გაჭირვებაში აღზრდილი.

სწავლა და შრომა—აი მისი განუშორებელი თვისება. მას თქვენ ნახავდით ყანაში თოხით, მეორე დღეს კი წიგნებით ხელში სკოლისაკენ.

ამხ. გრიშა 1922 წლიდან კომკავშირის რიგებშია. უკანასკნელ ხანებში შორაპნის მაზრკომის სააღრიცხვო განყოფილების გამგეთ იყო, ის ამავე დროს აქტიურათ მუშაობდა. მისთვის არ არსებობდა საათი—დღე და ღამე. მაგრამ არ დასცალდა. ბოროტი ხელიდან გასროლილმა ტყვიამ ამხ. გრიშა 9 იანვარს ტრაღიკულად გამოგვაცალა ხელიდან.

დუვიწყარი იქნება ამხ. გრიშა შორაპნის მაზრის კომკავშირის ორგანიზაციისათვის.

გრ. სოსელია.

## საბინაო ამშენებლობა სოფლად

### ბახმარო

1925 წლის ზაფხულის განმავლობაში საბინაო ამშენებლობამ ბახმაროზე ფართო ხასიათი მიიღო. ამ შენობების გამართვებს ხელი შეუწყო სარჯელო მასალის და მუშა ხელის სიიაფემ.

მთავარი შენობებიდან, რომლებიც აგებული იქნა აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში, აღსანიშნავია: დასასვენებელი სახლი [illegible], განათლების მუშ. კავ. სამაზრო კავშირის სახლი, კერძო არტელის სახლი და კერძო პირების სახლები—60.

ყველა შენობები აგებულია ტექნიკურ მეთვალყურეობის მიერ შემუშავებულ გეგმის მიხედვით; დაცულია ქუჩების განსაზღვრული სიგანე და მანძილი ერთი სახლიდან მეორემდე.

იმის გამო, რომ ბახმარო მეტად მაღლა მდებარეობს ზღვის პირიდან, იქ შესაძლებელია მხოლოდ ხის შენობების აგება. კრამიტის სახურავები გამოსადეგი არაა, რადგან ზამთარში ბახმაროზე დიდი თოვლი მოდის (10 არშინამდე), ამას გარდა ხშირია ძლიერი ქარები, რომელსაც ვერ უძლებს კრამიტის სახურავი.

ბახმაროზე ამჟამად საგრძნობია ფანჯრის მინების ნაკლებობა. მინები ადგილობრივ არ იშოვება; ამის გამო მრავალ ახლად აგებულ შენობების ფანჯრებში მინები ჩასმული არ არის.

### კახეთი

საბინაო ამშენებლობა კახეთში დაიწყო 1922 წლის დამლევიდან. ინიციატივა ამ საქმეში იკისრა ალაზნის მხარის სოფელმა-ქვარელმა, რომელმაც ააგო საკუთარი სახალხო სახლი; ამ სოფლის მაგალითს აყვენ სოფლები შილდა, [illegible] და სხვ. [illegible] აგეს სახალხო სახლები [illegible] აგებული იქნა თელავში და სხვა ადგილებში.

1924 წელში საბინაო ამშენებლობას ხელი მოკიდეს ცალკე გლეხებმა, რომლებმაც დაიწყეს ახალი სახლების აგება.

საბინაო ამშენებლობის განსაკუთრებული გაცხოველება იწყება 1925 წლიდან. უკანასკნელი ორნახევარი წლის განმავლობაში თელავის მაზრაში აგებული იქნა 5.000 სახლი. ამას გარდა შენდება კიდევ მრავალი ახალი სახლი.

სახლების ასაგებ თანხებს გლეხობა ზოგადად სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ზედმეტი რაოდენობის გაყიდვისაგან; ამას გარდა გლეხობა გადის სხვადასხვა სამუშაოებზე და იქ ნაშოვნ ფულს ახმარს ახალი სახლების აგებას.

არის შემთხვევები, როდესაც ღარიბი გლეხობა სახლების ასაგებ თანხების მისაღებად მიმართავს კრედიტს.

ამჟამად კახეთის სოფლებში დიდი მოთხოვნილებაა დუ გლეხზე და ქვის მთლელებზე. კარგი ოსტატები დღეში იღებენ 3—5 მანეთს, უბრალო მუშები—2 მანეთს.

მაზრაში არ არის არც ერთი ტეხნიკოსი, რომელსაც შეეძლოს ხელმძღვანელობის გაწევა საბინაო ამშენებლობისათვის; ამიტომ სახლების აგება მეტ წილად ხდება ძველი გეგმების მიხედვით.

მოთხოვნილება აგურზე, კრამიტზე, ცემენტზე და ფანჯრის მინებზე დიდია. ამიტომ აგურის და კრამიტის ქარხნების რაოდენობა ორჯერ მეტათ გაიზარდა.

## სახალხო ჯანმრთელობა

### ვენერიულ დისპანსერში

იანვარში შესრულდა 6 თვე რაც თბილისში არსებობს ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების პირველი ვენერიული დისპანსერი. ამ დისპანსერმა იმ თავითვე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება, რაც გამოიხატა იმაში, რომ დისპანსერს ვენერიული სნეულებით დაავადებულები ბლომად ეტანებოდენ. მართალია დისპანსერის მუშაობის ფართოდ გაშლას ხელს უშლის ბინას სივიწროვე, მაგრამ მიუხედავად ამისა დისპანსერში საქმის დაყენება თანდათანობით უმჯობესდება.

ეხლა ქალების და ვაჟებისათვის არსებობს ცალ-ცალკე მისაღები ოთახები, რაც წინათ არ იყო.

6 თვის განმავლობაში დისპანსერში გატარებულია—963 ავადმყოფი რომელთა გამოცხადების საერთო რაოდენობა გამოიხატება—17.272-ში. ავადმყოფების ეს რაოდენობა ნაწილდება შემდეგნაირად: ვაჟები—664, ქალები—248, მცირეწლოვანი ვაჟები—34 და მცირეწლოვანი ქალები—37. მათგან კანის ავადმყოფობით იყო ავად—134, რომლებიც გამოცხადდნენ—989 ჯერ, ხოლო დანარჩენი სხვა ვენერიული ავადმყოფობით.

ექიმობის შედეგების შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი ფრიად დამაკმაყოფილებელია, რადგან დისპანსერს ვენერიული ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოეპოვება ყოველგვარი საშუალებები, გარდა წმინდა საექიმო დახმარებისა. დისპანსერში ავადმყოფებს უწევენ დახმარებას რჩევა დარიგებითაც. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ავადმყოფები წესიერად დაიარებიან საექიმოდ.

დისპანსერთან დაარსდა სოციალური საბჭო, რომელიც გამოუშვებს თვის წესდებას და ამის მიხედვით მუშაობა გადატანილ იქნება დისპანსერს გარეთ ფართე მასებში.

დისპანსერთან არსებობს სარედაქციო კოლეგია, რომელიც სცემს პოპულიარულ ლიტერატურას ვენერიული სნეულებების შესახებ ქართულ და რუსულ ენებზე.

## ძირითადი საკითხი არჩევნების გამო

სულ ახლო მომავალში დამთავრდება ძირითადი საბჭოთა არჩევნებისათვის წინასწარი მზადება, გაჩაღდება არჩევნები და მათი დამთავრების შემდეგ სოფლად მუშაობას დაიწყებენ ახალი საბჭოები.

საჭიროა ვიცოდეთ დაახლოებით მაინც, რა ქისცა სოფელს ძველმა საბჭომ, რა გააკეთა სოფლის, თემის და მაზრის საჭიროებისათვის, დაეტყო თუ არა სოფელს საბჭოების გამოცოცხლება, გამოიჩინეს თუ არა მათ საჭირო უნარი, რომ ფართე მშრომელ მასაში გაეღვივებიათ ინტერესი სოფლათ ალმშენებლობისადმი და კოლექტიურად ჩაებათ მცხოვრებლები საერთო, სოფლისათვის აუცილებელ და უსაჭიროეს საქმიანობაში? საჭიროა ყველა ამის ცოდნა, რომ ძველის გაკვეთილით, მისი მუშაობის გათვალისწინება-შესწავლით ისარგებლონ ახალმა ორგანოებმა მომავალი მუშაობის დროს, დეფექტების თავიდან ასაცილებლად.

უნდა გვახსოვდეს ყველას, რომ არჩევნების „კარგათ ჩატარება" ყოველთვის კიდევ არ ნიშნავს საბჭოს მომავალ ნაყოფიერ მუშაობას. მუშაობა დაფასდება არჩევნების შემდეგ, როცა გაივლის განსაზღვრული დრო. ამის შეფასებისათვის საჭიროა იყოთ შეიარაღებული დაკვირვების უნარით და თავისუფალი ყოველგვარ მიდგომითი ხასიათის მსჯელობისა და მოქმედებისაგან. „მოვისმინეთ, ვიწონებთ და მოგვეწონას" მეთოდები აქ, ამ შემთხვევაში, საკმარისი არ არის, არ გამოდგება, ამით ფონს ვერ გავალთ. და უნდა აშკარათ გამოვტყდეთ, უნდა ვსთქვათ მოურიდებლათ, რომ სოფლის საბჭოების ნაყოფიერი მუშაობის მხრით, ალმშენებლობის დარგში, ჩვენ ამ ხნის განმავლობაში (წასული არჩევნების შემდეგ) ზოგიერთ ადგილებზე მაინც ძლიერ მოვიკოჭლებდით, სუსტნი ვიყავით და ზოგ შემთხვევაში სრულიად არაფერი გაკეთებულა. ვინც ამას არ აღიარებს, ვინც ამას არ იტყვის და არ დაინახავს, და დაიწყებს ჯიუტობას, ის სასტიკად შესცდება და მოსტყუვდება. უკეთესია გადაჭრით ვსთქვათ და ვაღიაროთ ეს ეხლა, რომ ახლათ არჩეულმა საბჭოებმა მეტის ენერგიით მოჰკიდონ მუშაობას ხელი და სოფლებს მუშაობის გამოცოცხლებით რაიმე კვალი დააჩნიონ. უამისოთ მართლაც ზედმეტია ლაპარაკი საბჭოს მუშაობის გამოცოცხლებაზე. ამ მხრით, როგორც ზევით ვსთქვით, ზოგიერთ ადგილებზე ყველაფერი რიგზე არ არის. მაგალითისათვის მოვიყვანთ გურიას და დავიმოწმებთ სხვაგვარი ხასიათის ცნობებთან ერთად იქაურ კორესპოდენტებს, რომლებმაც ალბათ ამ შემთხვევაში ჩვენზე უკეთ იციან საქმის ვითარება.

არსად, საბჭოთა საქართველოს არც ერთ კუთხეში, მენშევიკები ისე გააფთრებით, ყოვლად საძაგელი საშუალებებით არ ებრძოდნენ სოფლად ჩვენს ალმშენებლობას, როგორც გურიაში. მათ დღე და ღამე გასწორებული ქონდათ იმისათვის, რომ როგორმე ჩვენთვის ხელი შეეშალათ. „გაპარტახებული, დანგრეული გურია",—აი, რა იყო მათი მიზანი. თვითეული ჩვენი მცირედი წამოწყებაც კი გულს უკლავდა მათ, მოსვენებას არ აძლევდა და გვებრძოდენ სხვადასხვა, წმინდა მენშევიკური, მუხანათური, საზიზღარი, ქურდული საშუალებებით. მათი უმსგავსოებისა და იმ მძიმე პირობების დასახასიათებლად, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა ადგილობრივ ხელისუფლებას, საკმარისია მოვიყვანოთ პატარა მაგალითი: ბნელ ღამეში მენშევიკების აგენტები მოიპარებოდენ და ჩამოაგდებდენ ჭიშკარს ან და მიწაზე დააფენდენ პატარა ბულვარის მესერს რომელიც აღმასკომის გვერდით იყო გაშენებული. ამგვარ ხულიგანობას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. თუ კი პატარა ბულვარის გარშემო ასე „იღწვოდენ" ჩვენი მოწინააღმდეგენი, ადვილი წარმოსადგენია, თუ რას არ ჩაიდენდენ ისინი, რომ როგორმე გაყვანილი არ ყოფილიყო ოზურგეთის რკინისგზა, არ გაყვანილიყო ქუჩები, არ გაკეთებულიყო და არ შეკეთებულიყო გზები, ხიდები, სკოლები, დაბები და სხვა.

მოწინააღმდეგენი ახდენდენ სპეციალურ კრებებს და გამოჰქონდათ დადგენილებანი დაწყებულ მუშაობათა ჩასაშლელად.

აქ ჩვენ დაგვემოწმებიან ის ამხანაგები, რომლებიც იმ დროს მენშევიკების რიგებში იმყოფებოდენ და ისინი, როდესაც ველარ აიტანეს ეს და მიხვდენ მათ მუხანათობას, ჩვენს რიგებს შემოუერთდენ, დღეს ჩვენთან არიან, როგორც საუკეთესო ელემენტები.

უნდა სიმართლე ითქვას, რომ მენშევიკები ამ ბრძოლაში მაშინ გურიაში დამარცხდენ, ალმშენებლობითი მუშაობა იქ მიუხედავათ მძიმე პირობებისა, მაინც სწარმოებდა, გზას იკაფავდა, წინ მიდიოდა. ამ მუშაობაში ჩაბმული იყვნენ საბჭოები, აღმასკომები და მშრომელი მასა. ხალხი ეჩვეოდა კოლექტიურ შრომასა და მოქმედებას, ხალხი ეჩვეოდა საზოგადოებრივობას, საკუთარი საქმის საკუთარი ხელებით კეთებას.

ხელისუფლებასთან ალმშენებლობაში დამარცხებულმა მენშევიკებმა შემდეგ მოაწყვეს ავანტიურა, მაგრამ იქაც სასტიკად დამარცხდენ. ამ ავანტიურამ ცხადჰყო მენშევიკების საბოლოო გაკოტრება, ხალხმა დაინახა ეს, ხალხი მიხვდა, რომ იგი სასტიკად მოატყუეს, და მასში ხდება ხელახალი გარდატეხა. ამ დროს იწყება ახალი არჩევნები. ამ არჩევნების შესახებ დაწერილ ამხ. კვაჭაძის წიგნაკში, სხვათაშორის, ნათქვამია, რომ საბჭოების არჩევნებმა გურიაში დიდი „სახალხო ზეიმის ხასიათი მიიღოვო". ისმება საკითხი:—რა გააკეთეს ზეიმით არჩეულმა საბჭოებმა? გაამართლეს თუ არა მათ სოფლის მშრომელთა იმედები? დააჩნიეს თუ არა ახალმა საბჭოებმა ჩვენს სოფელს რაიმე კვალი? სჩანს თუ არა მუშაობის ნაყოფი? ხომ არ შეუსრულდათ მოწინააღმდეგეებს წინანდელი სურვილი?

თუ დაუჯერებთ იმ უბრალო, მართალ ცნობებს, რომლებსაც ჩვენი სოფლის კორესპონდენტები გვაწვდიან, თუ დაუჯერებთ სხვა ხასიათის ცნობებსაც, დავინახავთ, რომ ალმშენებლობის და კეთილდღეობის მხრით სოფლების მდგომარეობა ჯერ უნუგეშოა.

მოვიყვანოთ ზოგიერთი კორესპონდენტების ცნობები:

**ლიხაურის თემი, გურია.**

ლიხაურის თემში, როგორც ამხ. კვაჭაძე სწერს თავის წიგნაკში, არჩევნები ბრწყინვალედ ჩატარდა: ეხლა, აი, დაუგდოთ ყური, რას იწერება იქაური კორესპონდენტი.

„წასული წლის საბჭოთა არჩევნები ჩვენ თემში არჩევნები კი არა სახალხო ზეიმი იყო ასეთი რამ ლიხაურის წარსულს არ ახსოვს. ხმის მისაცემათ ყველა გამოცხადდა. არჩევნები პერსონალურად მოხდა. თვით ხალხმა დაასახელა 80 კანდიდატამდე და მათ შორის ხმის უმეტესობით არჩეულ იქნა ორმოცი კაცი. ახალი საბჭო დიდ იმედებს იძლეოდა. ვინ იცის, რას არ პირდებოდა ის სოფელს.

სინამდვილეში კი რას ვხედავთ? დადგენილებანი და დიდი მიზნები დარჩა „ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა" და მომავალ 1926 წლის საბჭოთა არჩევნების დროს არ ვიცით, როგორი ანგარიშებით წარსდგება საბჭო ხალხის წინაშე...

ამ წელში მაზრამ ცენტრიდან მიიღო თვრამეტი ათასი მან. (18.000 მან.) იაფი სამეურნეო სესხი. ამის შესახებ ჩვენი თემის აღმასკომს მაზრიდან არავითარი ცნობა არ მიუღია, რომ ჩვენი თემის იმ მცხოვრებთაც ესარგებლათ მთავრობის დახმარებით.

რვა თვის განმავლობაში ჩვენს თემში ოთხ მკვლელობას ქონდა ადგილი.

წარსული წლის სექტემბრის რიცხვებში მქონდა წერილი „კომუნისტში". მე ვწერდი, რომ ლიხაურის ცენტრალურ სამკითხველოდან ზოგიერთმა პირებმა წიგნები ბოროტად გამოყენეს, რაც გამოიხატებოდა წიგნების დახევა და ჯღაბნაში, კარგი წერილების მთელ კინძისა და სურათების მოპარვაში. ამაზე უნდა მოეხდინა სათანადო განკარგულება სამაზრო პოლიტგანს. სამწუხაროდ არაფერი არ მოუხდენია. ვერც კოოპერატივი მუშაობს წესიერად. კარზე აწერია: „დაკეტილია".

გლეხები უცდიან გაღებას და ასე ამბობენ: „დაკეტილია ვხედავ და როდის გაიღება ალახმა უწყისო. ოჯახ აშენებულს დაეწერა რომელ საათზე იღება და იკეტება და რომ გავიგებდი, და თუ არ შემეძლო ცდა, წავიდოდით".

აი სურათი ლიხაურის თემის საბჭოს საქმიანობის, რომელიც სამი თუ ხუთი ვერსის მანძილზე იმყოფება ოზურგეთიდან. ეს გარემოება ალბათ არ არის გამონაკლისი. მსგავსი სურათი ალბათ სხვა სოფლებშიაც არის.

დაუგდოთ ყური ზომლეთის თემიდან მოწოდებულ ცნობებს.

**ზომლეთის თემი.**

„ზომლეთის თემის სოფ. ვანში (გურია) ადგილობრივ კულაკს მ. მახარაძეს ჩამოართვეს 12 ქცევა საუცხოვო ტყე, რომელიც ჯერ კიდევ ნორჩია. ამ ტყეში იმკითია 5-6 გოჯიანი ხე. ამას სატყეო განყოფილებამ თავის დროზე მიაქცია ყურადღება და სასტიკად აკრძალა ამ ტყის ექსპლოატაცია.

შემდეგ ტყე გლეხკომს გადაეცა. გლეხკომიც ასე მოიქცა. მაგრამ აქ უკანასკნელ დროს, სოფლის საბჭოს რამოდენიმე წევრმა შეიტანა საბჭოში წინადადება, რათა ეს ტყე გაეყიდათ და ფული თემის საჭიროებაზე მოეხმართ.

მიუხედავათ იმისა, რომ ს. ვანის მცხოვრებნი სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ ამ ტყის გაყიდვის, თემის საბჭომ თავისი გაიტანა. ტყე გაყიდეს [illegible] მან. ის იყიდა მოიჯარადრე დანიელ თავაძემ, რომელსაც შემდეგ რამდენიმე საბჭოს წევრიც (უკანასკნელნი დაფასებაშიც შედიოდენ) ამოუდგა გვერდში.

ამრიგად ჩვენი თემის ერთად ერთ ტყეს უკვე დაუწყეს გაჩეხვა.

საჭიროა დროზე მიღებულ იქნას ზომები ტყის განადგურებისაგან გადასარჩენად და დამნაშავე საბჭოს წევრთა პასუხისგებაში მისაცემად".

ამას გარდა აი რაზე ჩივიან ცენტრში ამოსულები ამავე სოფლის შესახებ: კრებაზე არავინ მოდის, საბჭოს თავმჯდომარე იწვევს ყრილობას და როცა ყრილობის მაგიერ 10 კაცი ცხადდება, ხალხს დაახლოებით ასე მიმართავს: „თქვენი ნებაა, ძალას ვერავინ დაგატანთ, აი ასე ყველა თემებში, უარესი ხდება კიდევ სხვაგან, ამიტომ კრება კანონიერია და სხვა". არაფერი არ გაკეთებულა, პირიქით, თუ რამე წინათ გაკეთდა, ისიც ფუჭდება, სკოლებს არც ერთი ფანჯარა არ გააჩნია, სამმართველო ბუხარ ჩამონგრეულია, გზებზე ვერ გაივლი, ყველგან გაუვალი ტბები გხვდება, ყველაფერს უპატრონობა და სიპარტახე ეტყობა.

საინტერესო არის აგრეთვე ამხ. ვიქტორ შანიძის პატარა ცნობა „კომუნისტში", რომელიც ნაწილობრივ გურიასაც ეხება.

მოგვყავს შემოკლებით:

„ნაცვლად ალმშენებლობითი მუშაობისა, ჩვენ ვხედავთ ნგრევას, სოფლის ცხოვრების უკან დახევას ან და მის გაყინვას ერთ წერტილზე (ლაპარაკია ქუთაისის მაზრ. ერთ სოფელზე). მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს: სოფ. ჰოგნარი უწყლობით იხრჩობა, სოფ. ზემო-ნოღაში 40 მოწაფე პირველი ჯგუფის განყოფილების დაკეტვის გამო გზაშარაზე დარჩა, საავადმყოფოს მოწყობაზე არავინ არ ფიქრობს, სკოლის შენობები ერთი მეორეზედ უარეს მდგომარეობაშია, საჯავახოსა და ჩოხატაურს შუა მიმოსვლა სადაცაა შესწყდება, სასოფლო გზებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა კეს ნაბიჯით მიდის წინ, თემი გარშემორტყმულია ჭაობებით, კოოპერატივის და გლეხკომის მდგომარეობა უმწეოა, საბჭოს წევრები საშინელ გულგრილობას იჩენენ თავიანთ მოვალეობის შესრულებაში, საჯავახოში თვით აღმასკომის წინ სადგურზედ უკვე გაუვალი ლაფი დიდგა და ბევრი ასეთები".

გავყევით ქვევით.

**სოფ. გოგოლესუბანი (გურია)**

კორესპონდენტი გულშემატკივარის ცნობა „კომუნისტში". „გამკითხავი არავინაა"—აწერია ამ ცნობას სათაურათ. მოგვყავს ის სავსებით:

„როცა წავიკითხე გაზ. „კომუნისტ"-ში [illegible] ლესუბნელის ფსევდონიმით, ალტაცებაში მოვედი. ვიფიქრე, ეხლა მაინც ადგილობ- [illegible] და ხსენებულ სოფელს დროულად გამოიყვანს არანორმალურ მდგომარეობიდან. მაგრამ ჩემი ფიქრი ფიქრათ დარჩა.

გოგოლესუბანი კვლავ უპატრონოდაა. ამას ამტკიცებს სრული უყურადღებობა კოოპერატივისადმი, რომელიც საში წელიწადია რაც დაკეტილია, შენობა ლპება, ბუხარი ჩაინგრა; ხოლო ამ ხნის განმავლობაში „ეპო"-ს ამბარია—არც ხალხს გადასცა, რომ სიმწარეში აშენებული შენობა მოეხმარა და არც თითონ პატრონობს. სამკითხველო ვინ მიითვისა, არ ვიცით და მასთან 4 წლედი პარტების უქოსლობის და შენობის დალპობის გამო უკიდურეს მდგომარეობაშია, თითქოს უპატრონო მიგდებულ სახლს მოგვაგონებს. განა შეიძლება შრომის სკოლა, რომელსაც ერთ ქცევამდის ეზო აქვს შეუღობავი იყოს და ისიც ეხლა, როდესაც კომპლექტიური სწავლებაა შემოღებული?

საჭიროა თემის აღმასკომმა თავისი სიტყვა საქმეთ აქციოს.

ჩვენ სოფელს ჩრდილო-აღმოსავლეთით აკრავს სახელმწიფო ტყე,—განაგრძობს კორესპონდენტი—რომელიც გვიფარავს ქარისაგან, იძლევა უხვ დაუშრეტელ წყაროებს, საალმშენებლო მასალას და შეშას. ტყე მუდამ იარსებებდა გულშემატკივარი გამგის მფარველობის ქვეშ, მაგრამ ხსენებული ტყე თანდათან ნადგურდება. გასულ წელს მას განაგებდა რაფიელ შარაშიძე, რომელიც ტყის უდიერ მოპყრობისათვის, როგორც ამბობენ, ხელისუფლებამ სამსახურიდან გააძევა. მის ნაცვლად მოვიდა ვილაც ახალი პიროვნება, რომელიც უხვად ჰყიდის და ჰყიდის საშეშე ბილეთებს. არ დაეძებს თუ ვისთვისაა საჭირო ბილეთის მიცემა. ხალხიც ყიდულობს სიაფის გამო.

ტყეს ერევიან და ანადგურებენ. სჭრიან არა ძველ ხეებს, არამედ ნორჩებს 4-8 ვერშოკამდის. ერთი საჟენის მაგივრად ორი გააქვთ არა ოჯახში მოსახმარად, არამედ ბაზარზე გასასყიდათ. გამკითხავი არავინაა. სანამდი უნდა დარჩეს გოგოლესუბანი ამ მდგომარეობაში?"—კითხულობს კორესპონდენტი.

ჩვენ შეგვიძლია მრავალი ასეთი ფაქტები მოგვეყვანა სოფლათ (ამ შემთხვევაში გურიაში) საბჭოების ან სრული უმოქმედობისა ან და მათი სუსტი მუშაობის აღსანიშნავად, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. დაახლოებითი სურათის მისაღებათ ესეც საკმარისია. გურიის სოფლიდან წარა-მარა გვესმის: გვიშველეთ, ვიხრჩობით უგზოობით, გაგვიძღვენ, გაგვიკვლიონ, გვიხელმძღვანელონ და ჩვენ თვითონ ვიმუშავებთ, ჩვენ თვითონ გავაკეთებთ, უგზოობით ვერსად წავსულვართ, ვერ მოგვიტანია სოფლის საჭიროებისათვის ნავთი, მარილი და სხ. მახლობელი დაბებიდანო.

გზებისა და მიმოსვლის საკითხი გურიაში არ არის პატარა საკითხი. ამ კუთხეს დამსახურებული ჰქონდა და აქვს დღესაც კულტურული კუთხის სახელი. მაგრამ არ ვიცი რა კულტურა უნდა შეიძლებოდეს იქ, სადაც არ არის გზები და მიმოსვლა შეუძლებელია. ზედმეტია ამაზე ლაპარაკი სანამ იქ არ გვექნება გზები, ხიდები, შეკეთებული სკოლები, მოწყობილი სამკითხველოები, კოოპერატივების გაცხოველებული მუშაობა და სხვა.

და აი აქ სიტყვა ეკუთვნის ახლად [illegible] აღმასკომებს. ახალია საბჭოებმა სოფელი უნდა გამოიყვანონ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება, ენერგიულად უნდა იზრუნონ მის კეთილმოწყობაზე. მაგრამ საბჭო და აღმასკომი ვერას გახდება მარტო, თუ საერთოდ ალმშენებლობაში არ იქნა ჩაბმული თვით მშრომელი მასა და თვითონ არ ამოქმედდა იგი. ისტორიას არ ახსოვს ისეთი მთავრობა, რომელსაც შეეძლებოდა სოფლის ყველა მოთხოვნილებებისა და საჭიროების დაკმაყოფილება. ეს აბსურდია. ხალხის გარეშე და მისდა დაუხმარებლად შორს ვერ წავალთ. ფრაზებისა და უხვი დაპირებების მეთოდები ერთხელ და სამუდამოთ უნდა უარყოფილ იქნას. ადგილობრივ ხელისუფლების და მშრომელი მასის ხელი-ხელ ჩაკიდებული ენერგიული გარჯა და შრომა საერთო საქმის გასაკეთებლად—აი რა არის საჭირო და აუცილებელი.

ახალი საბჭოების საქმიანობა, სხვათაშორის, გაადვილებული იქნება მით, რომ განზრახულია სოფლებში სოფლების საჭიროებისათვის შრომის ბეგარის შემოღება.

ნაწილობრივ ამას ატარებდენ ძველი აღმასკომები 1922 — 23 — 24 წლებშიც-კი. ამით თვით მშრომელი მასა ჩაებმება საერთო ალმშენებლობაში. ამრიგად ჩვენ ვაკანონებთ იმას, რაც წინათ არსებობდა და ტარდებოდა.

სოფლის ახალი საბჭოები უნდა შეიქნენ სოფლის ცხოვრების ნამდვილი მზრუნველნი და ხელმძღვანელნი: არ კმარა მარტო არჩევნები და სახელწოდება, საჭიროა **საქმე, საქმე და კიდევ საქმე.**

ამისათვის საჭირო იქნება კანდიდატების დაფიქრებული შერჩევა. საბჭოებში უნდა მოხვდენ შრომის უნარით სავსე და ეხლანდელი სოფლის ცხოვრების ერთგული მოამაგენი და არა კოლლოუტები და ორგულნი.

ამ წერილში მე არ დამისახელებია ძველი საბჭოების სუსტი მუშაობის მიზეზები. ვიცით, რომ უმიზეზოთ არაფერი ხდება.

მე მაინც დავასახელებ ზოგიერთ მათგანს და არა ყველას. პირველი: არ იყო პარტუჯრედების სათანადო ხელმძღვანელობა, მეორე: საბჭოს მუშაობაზე იყო ნაწილობრივი გავლენა ანტისაბჭოთა ელემენტებისა, პესიმისტურათ განწყობილი ნეიტრალებისა და სოფლის მცხოვრებლების შეძლებული ნაწილის. ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნას ეხლანდელი არჩევნების დროს. კომუჯრედების ღარიბებისა და საშუალო გლეხობის გაერთიანებულმა ფრონტმა ამ არჩევნების დროს უნდა შექმნას სოფლათ ისეთი პირობები, რომელშიაც ახალი საბჭო შესძლებს მშრომელთა იმედების გამართლებას და მართლაც იზრუნებს სოფლის კეთილმოწყობაზე.

ა. დოლიძე.

## წითელ ჯვარში

### საქართველოს ჯვრის საზოგადოების თბილისის წევრთა საერთო კრების გამო

დღეს, 24 იანვარს, შესდგება საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის ორგანიზაციის წევრთა წლიური საერთო კრება.

კრება მოისმენს ც. კ-ის მოხსენებას გასულ წლის საქმიანობის შესახებ.

წ. ჯ. საზ—ბის წინაშე სდგას დიდი მნიშვნელობის ამოცანები: მალარიასა და ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა, ბავშვთა დახმარების საქმის მოგვარება, სტიქიურ უბედურების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ.

ამ საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნისათვის: მალარიითა და ჭლექით შეპყრობილია ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი, და მათ წინააღმდეგ ენერგიული, სისტემატიური და მიზანშეწონილი ბრძოლა თუ გვიხსნის უბედურებისა, დაძაბუნებისა და გადაგვარებისაგან.

წ. ჯ. ს—ბის მუშაობა დღეს ბევრად განსხვავდება წინანდელ მუშაობისგან.

უწინ მის მუშაობას წმინდა ფილანტროპიული ხასიათი ჰქონდა წ. ჯ. ს—ბა იყო მხოლოდ საქველმოქმედო ორგანიზაცია.

დღეს სულ სხვანაირათ სდგას საკითხი. ს. წ. ჯ. ს—ბა უნდა გახდეს ფართო მასების ორგანიზაციად, დღეს მის ბედს უნდა სჭედდეს მშრომელი ხალხი.

წ. ჯ. ს—ბა მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის საკითხის მოგვარებას, მის ფიზიკურსა და სულიერ კულტურის ამაღლებას და აყვავებას.

უწინ საზოგადოების მესვეურებათ ითვლებოდენ მდიდრები, თავადაზნაურობა და მაღალი ბიუროკრატები, რომელნიც ფილანტროპიული მ ზნით ეხმარებოდენ საზოგადოებას.

დღეს კი ფართო მშრომელი მასები სჭედენ ახალ ცხოვრებას და წ. ჯ. ს—ბის არსებაშიც უნდა მოხდეს ორგანიული გადატრიალება.

ჩვენი მორიგი ამოცანაა დღეს მოსახლეობის მთელი 100 პროც. ჩაბმა ჩვენი მუშაობის ფერხულში, მთელი 100 პროც. უნდა გაეცნოს ჩვენ მიზნებს და ამოცანებს, და გახდეს ჩვენი ს—ბის წევრი.

ს. წ. ჯ. ს—ბა, გადახალისებულმა ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ, უკვე შეუდგა მუშაობას ამ მიმართულებით: თუ გასაბჭოებამდის ს. წ. ჯ. ს—ბის საორგანიზაციო საქმიანობა განისაზღვრებოდა მხოლოდ ერთი ათასი წევრის ყოლით, დღეს ს—ბის წევრები ათეულ ათასებით აღირიცხებიან.

ს—ბის მიზნებს უნდა გაეცნოს მთელი ხალხი, განსაკუთრებით მშრომელი მასები; მათ უნდა შეითვისონ, შეისისხლხორცონ ის დიადი იდეები და ამოცანები, რომელნიც ს. წ. ჯ. ს—ბის წინაშე სდგანან, და რომელნიც საჭიროებენ ცხოვრებაში პრაქტიკულათ გატარებას. თბილისის პროლეტარიატი უნდა ჩაუდგეს ამ საქმეს სათავეში: ჩვენი რესპუბლიკის დედა-ქალაქის მუშები უნდა შეიქნენ წ. ჯ. ს—ბის ფუძეთ.

საერთო კრებამ უნდა გადასწყვიტოს, რომ მთელი თბილისის მუშა-მოსამსახურენი იქნებიან ს—ბის წევრები.

არც ერთი ადგილკომი, არც ერთი ქარხკომი და უჯრედი წ. ჯ. ს—ბის გარეშე.

ქ. ხ.

### წითელი ჯვარის ქრონიკა.

**მადლობა წ. ჯ. საერთაშორისო კომიტეტისგან.**

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ გუსტავ ადორმა მადლობა მიუძღვნა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას საერთაშორისო წითელი ჯვრის კონფერენციების რეზოლიუციების ქართულად გამოცემისა და საქართველოს წითელი ჯვარის გამოცემათა მიწოდებისათვის.

**აფხაზეთის წითელი ჯვარის კონფერენცია.**

აფხაზეთის წითელი ჯვრის საზოგადოების კონფერენცია დანიშნულია 25 იანვრისათვის.

**ასი დელეგატი.**

როგორც პროვინციიდან მიღებული ცნობებიდან ირკვევა, სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის ყრილობას—31 იანვარს დაესწრება 100-დე დელეგატი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო

კოწია სულაქველიძის რედაქტორობით

კვირა, 24 იანვარი 1926 წ.

გაზ. „კომუნისტი“-ს ყოველკვირეული დამატება

№ 7

# ჩვენს ინტელიგენციას

მახსოვს, ერთხელ მათემატიკოსების ყრილობაზე ლენინგრადში დიდი დავა გამოიწვია შემდეგმა საკითხმა: შეიძლება თუ არა ერთი ერთმანეთთან შედარება, შეფარდება არა ერთ...

[illegible]

ქ. სულაქველიძე.

# საბჭოთა დემოკრატია და ჩვენი მშრომელი გლეხობა

ამჟამად ერთი რამ უდაო არის. საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში აღარ მოელის სერიოზული...

[illegible]

ზ. ჩხეიძე.

# პროფ. ნუცუბიძის ლექციის გამო

პროფესორ ნუცუბიძის ლექციამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში...

[illegible]

# 1905 წ. რევოლუციის 20 წლის თავზე

## მოგონებები ფარსულიდან

ამ პირველი დიდი რევოლუციის ოცი წლის თავზე დიდი მოგონების...

[illegible]

ს. ლიპარტელ.

# მღვდელი ს. გოროდცევი და მისი შავი საქმენი

17 ოქტომბრის მანიფესტის, ანუ როგორც ნას უწოდებდენ, კონსტიტუციის გამოცხადების, რომელიც მუშებისა და მშრომელი გლეხების ხანგრძლივი ბრძოლით იყო მოპოვებული, მოინდომეს ხალხის მტრებმა, მოღალატეებმა და ქვეყნის ნაძირალებმა...

[illegible]

მა დაუჯერა მათ. ისიც რუსეთის ხალხთან ერთად გამოვიდა საისტორიო სცენაზე, მხურვალე მონაწილეობა მიიღო რევოლიუციაში და დღეს უკვე

გაისმის ძველებურად
იმისი ხმა კიდით კიდე.

და ამის შემდეგ ჩვენში თურმე კიდევ მოიპოვებიან პროფესორები, რომლებიც კალთაში აფრინდებიან ამ რევოლიუციის ფერხულში ჩაბმულ ხალხს და ეუბნებიან: დამღუპველია პოლიტიკური აზროვნება და მოღვაწეობა. შენი უბედურება ის არის, რომ შენ ვიღაც გამოგდებულ სემინარიელების ფეხის ხმას აყევი (გამოგდებულ სემინარიელების სახელით ძველმა „ივერიამ“ მონათლა მესამე დასის მწერლები) და მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე გამოდიო.

მერე სად ეუბნებიან ამას? საბჭოთა საქართველოში! იქ, სადაც კომუნისტები თავისი პარტიის არსებობის ოცდამეათე წლის თავს ასეთი ზეიმით დღესასწაულობენ!

რა არის ეს? რას დღესასწაულობენ კომუნისტები? ჩვენ გვგონია, რომ ჩვენ ვდღესასწაულობთ ქართველი ხალხის ისტორიაში სწორეთ იმ მომენტის წლისთავს, როცა ეს პარტია დაარსდა და როცა ქართველმა ხალხმა მისი ხელმძღვანელობით იწყო საკაცობრიო სცენაზე გამოსვლა.

მოქალაქე ნუცუბიძე კი ამას ჩვენი ხალხის ისტორიაში უდიდეს უბედურებათ სთვლის.

მაგრამ ამავე დროს ავიწყდება, რომ კომუნისტური პარტია ისევ იმ ძველ, საქართველოში მესამე დასელების მიერ შემოღებულ პოლიტიკას აგრძელებს: ის დღეს გაასკეცებულ ენერგიით სცდილობს გამოაღვიძოს ხალხის მასები და პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში ჩააბას იგი. კიდევ მეტი: დღეს მთელი სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმე,

[illegible]

პოლიტიკას და პოლიტიკა საქმიანობას?

ჩვენ ვებრძვით პოლიტიკურ ავანტიურას და არა პოლიტიკურ აზროვნებას. ვებრძვით ავანტიურას და არა პოლიტიკას.

ყოველი მარქსისტისთვის ცხადია, რომ იმისთვის კი არ დაატეხეს ქართველ ხალხს ავანტიურისტებმა აგვისტო-სექტემბრის შავი დღეები, რომ ქართველი ხალხი პოლიტიკურად მოაზროვნე ხალხია, ეს უკანასკნელი გარემოება არ იყო ამ უბედურების მიზეზი, სრულიად პირიქით: აგვისტო-სექტემბრის დღეები მივიღეთ იმიტომ, რომ ქართველი ხალხის რამდენიმე ნაწილმა დაივიწყა პოლიტიკური აზროვნება, თავი მისცა პოლიტიკურ პასივობას და დაუჯერა ევროპიდან მოსულ ავანტიურისტებს.

როგორ გგონიათ, ქართველი ხალხის იმ ნაწილს, რომელიც რამიშვილის აგენტების ფეხის ხმას აჰყვა, დროებით მაინც რომ არ დაეკარგა პოლიტიკური ალღო, პოლიტიკურად აზროვნების უნარი, ავანტიურისტებს დაუჯერებდენ?

არასოდეს.

მაშასადამე ხალხის უბედურება პოლიტიკური პასივობა, პოლიტიკური ალღოს დაკარგვა ყოფილა და არა ის, რომ იგი პოლიტიკურად მოაზროვნე ყოფილა, რომ მისი 95 პროცენტი საკაცობრიო იდეალებისათვის ბრძოლაში ჩაბმულა და აწიც იბრძოლებს ამ იდეალებისათვის.

სიტყვა მეტად გამიგრძელდა, მაგრამ ერთ ახალ ამბავს კიდევ მოვახსენებ პროფესორ ნუცუბიძეს.

პირუტყვსა და ადამიანს შორის მარტო ის კი არ არის განსხვავება, რომ პირუტყვს ოთხი ფეხი აქვს და ადამიანს ორი. ამ ორ არსებაში ყველაზე უფრო დიდი განსხვავება ის არის, რომ პირუტყვს პოლიტიკურად აზროვნება, პოლიტიკური ბრძო-

[illegible]

პოებიან ისეთები, რომლებიც ხალხის პოლიტიკურ გამოღვიძებას „ხალხის უბედურებათ“ აცხადებენ.

„საქმიანი საქართველო“!

მერე, განა „საქმიანი საქართველო“ პოლიტიკური არ უნდა იყოს? ნუ თუ „საქმიანობა“ ხელს უშლის რევოლიუციას, რომლის თანამგზავრობაც მას ასე სურს.

ჩვენი ლოზუნგი კი ასეთია: წინ ჩაქუჩითა და ნამგლით ხელში, და იმავე დროს მეტი პოლიტიკური შეგნება!

მ. და—დი.

# ორი მაგალითი

(გლეხ-კორესპონდენტების შესახებ)

მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობას უაღრესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა რესპუბლიკების მშენებლობისათვის.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მეტად ნაკლუბი იჩენება იმ ნაკლის შესახებ, რომელიც თან ახლავს ჩვენს გლეხკორების და მუშკორების საქმიანობას. ეს ნაკლი ჩვენის დაკვირვებით გამოიხატება შემდეგში:

გულწრფელ ენერგიულ ხალხს—გლეხკორებს და მუშკორებს ხშირად აცდენენ გზიდგან ჩვენი ცხოვრების ორგულნი და არა საიმედო ელემენტები.

არის შემთხვევა, როდესაც ჩვენი მუშკორების და გლეხკორებს ზურგს უკან ვიღაც ზის, განზრახ ურევს წყალს იჩემებს გლეხკორის და ან მუშკორის სახელს, კერძო ინტერესით სთხზავს წერილებს და ჩირქს სცხებს როგორც ხელისუფლების [illegible] აპარატს, აგრეთვე პასუხისმგებელ ამხანაგებსაც. ხდება ისიც რომ ამა თუ იმ [illegible] ყალბ ცაობებს აწვდის ვინმე ნაცნობი, მუშკორიც ეყრდნობა ამ ცნობებს, და უგზავნის რედაქციას. რედაქციამ რა ჰქნას.

ეხლა გადავიდეთ კონკრეტიულ ფაქტზე ზემოდ მოყვანილი ჩვენი დებულების ნათელსაყოფად:

1) 3 დეკემბერს გაზეთ „ახალი სოფლის“ № 48-ში მოთავსებული იყო წერილი ს. ქარელიდგან ვინმე „მიმინოსი“. კორესპონდენტი ეხებოდა ქარელის საბჭოთა აფთიაქის გამგის სანაძის საქციელს. წერილში ნათქვამია, რომ აფთიაქის გამგე სანაძემ სცემა ადგილობრივ გლეხს ქვრივიშვილს, რომ იგი გამოეარდნია აფთიაქიდან გლეხებს მთვრალი და დაუყვირია: სად წამიხვალთ, დედას გიტირებთ, ჩემთან მოხვალთ წამალზე და სულ ყველას მოგწამლავთო. ყველას ეშინია აფთიაქში შესვლა სანაძესთან. თუ ვინმემ წამალი მიიღო მისგან გრბის ექიმთან საწამლავი ხომ არ მომცაო.

მედსანშრომის კავშირის სამაზრო განყოფილებამ მოახდინა ამ საქმეზედ კვლევაძიება.

გამოირკვა, რომ სანაძე მართლაც გამოვარდნილა ქარელის საბჭოთა აფთიაქიდან იატაკის საწმენდი ჩოთქით ხელში და კლავში დაუკრავს გლეხ ქვრივიშვილისათვის. მაგრამ გავსინჯოთ რით ყოფილა ეს გამოწვეული. სანაძეს შეხვედრიან აფთიაქის ცოტა ქვევით ზურნაზედ მოქეიფე მთვრალი ებრაელები. სანაძეც ყოფილა ცოტა ნასვამი, მას დაჯახებია ებრაელების ჯგუფი, აუტეხიათ მისთვის აყალმაყალი და გაურტყამთ მისთვის, მასაც უპასუხნია. დახვევიან რამოდენიმე კაცი, მათ შორის ადგილობრივი ცნობილი მოჩხუბე ბინო და იქვე თხრილში ჩაუგდიათ.

როდესაც კარგად შელამებულა, სანაძე წამომდგარა და მაშინვე აფთიაქისთვის მოუშურებია და გამოუტანია იატაკის ჩოთქი. ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ეს ასე ვსთქვათ ჩოთქით შეიარაღება ინციდენტის სრულიად დასასრული მომენტია. ეხლა ვიკითხოთ თუ სად არის დასაწყისი და სათავე.

ეს ყველაფერი კარგი, სანაძე შესაფერისს სასჯელის ღირსია და კიდეც მიიღებს ასეთს. მაგრამ საიდან დაიბადა კორესპონდენცია? ქარელის აფთიაქის ყოფილი გამგე კბილებს ილესავდა სანაძეზედ და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა რათა სანაძე აებარგათ ქარელიდგან. იყო შემთხვევა, რომ სანაძეს შეხვდენ გზაში და სცემეს, და აი, კერძო ინტერესით სახელს უტეხენ საბჭოთა დაწესებულებას. საბჭოთა აფთიაქის დღეს ყველას ეშინია. თუ ვინმემ წამალი მიიღო, ის მაშინვე ექიმთან მიარბენიებს შესამოწმებლად: „საწამლავი ხომ არ არისო“ სწერს კორესპონდენტი, ვის დასჭირდა ყოველივე ეს? მე მგონია მკითხველი მიხვდება თუ ვის დასჭირდებოდა. კორესპონდენტი აშკარად შეცდომაშია შეყვანილი. ის დაარწმუნეს, რომ სანაძე ბოროტმოქმედია და მანაც დასწერა, რასაკვირველია ის ასეც უნდა მოქცეულიყო, რასაკვირველია თვით რედაქციაც აქ არაფერ შუაშია.

სანაძე მართალია, მას განზრახ მოუწყვეს ყოველივე ეს.

ეხლა მე-2-რე ფაქტი; ამას წინეთ კიდევ იყო მოთავსებული პატარა კორესპონდენცია გორიდგან ვინმე „მეთვალყურესი“ გაზ. „კომუნისტ“-ში. კორესპონდენტი ეხებოდა გორის საბჭოთა აფთიაქის ფარმაცევტებს და ასურათებდა მათ როგორც ლოთებს. „აფთიაქის გამგე და ფარმაცევტები კვირა არ გაივლიდა რომ ორჯერ თვით აფთიაქის ლაბორატორიაში არ გამოთვრენო“.

განა გორის ფარმაცევტები უნახავს სადმე, ვისმეს მთვრალი ან ღვინო დანალევი? მე ვგონებ ამას ვერავინ ვერ იტყვის და მეც გადაჭრით ვაცხადებ, რომ გორში ლოთი ფარმაცევტები არ არიან.

მაშ ვის დასჭირდა ყოველივე ეს? სჩანს ვიღაცას არ „მოსწონდა“ აფთიაქის გამგე და მთელი აფთიაქის თანამშრომელითურთ ლაფში ამოსვრა.

მუშკორების და გლეხკორების კორესპონდენციები ჩვენი ცხოვრების სარკეა,—მაგრამ ისიც ფაქტია რომ, ხანდახან ეს სარკე ბრუნდათ უჩვენებს და ჩვენს ცხოვრების სახეს ამახინჯებს. საჭიროა მეტი შეგნების შეტანა ჩვენს მუშკორებში და გლეხკორებში. რასაკვირველია ყოვლად დაუშვებელია გლეხკორების და მუშკორების დევნა, პირიქით უნდა ვეცადოთ რომ ავსწიოთ მათი შეგნება, მათი პოლიტიკური და კულტურული ცოდნის დონე.

ამ მხრივ დიდი მუშაობაა საჭირო და ვიმედოვნებთ, რო პარტია და ხელისუფლება თავის საცდელს არ დააკლებს ამ დიდ საქმეს.

ღ. ფოცხიშვილი.

# ს. კ. (ბ) ცეკასთან არსებულ ყოფ. მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების მუშაობის მოკლე მიმოხილვა

„მუშათა კომისიის“ მუშაობა და არსებობა დასრულდა ამ კომისიის რწმუნებულთა სრულიად საქართველოს თათბირით, რომელიც მოხდა თბილისში 1925 წლის ოქტომბრის 9—12-ს.

მისცა რა დადებითი შეფასება „მუშათა კომისიის“ და მის რწმუნებულების ერთი წლის განმავლობაში შესრულებულ მუშაობას, თათბირმა ამავე დროს საჭიროთ ხცნო, რომ ეს მუშაობა მომავალშიაც განგრძობილიყო. თათბირმა აგრეთვე საჭიროთ დაინახა, რომ მუშაობის უფრო წარმატებით მიმართვისთვის მიზნით „მუშათა კომისია“ მისი წინანდელი სახით გაუქმებულიყო, ხოლო მომავალი მუშაობის წარმოების ორგანიზაციული ფორმა შემუშავებულიყო საქართველოს

[illegible]

სდა ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს ცეკას მდივანი ამხ. კახიანი, ყოველდღიურ სამუშაოს კი აწარმოებენ ყოფილ მენშევიკთა აქტივთან შეთანხმებით განყოფილებაში სამუშაოდ მოწვეულნი ამხ. დუგლაძე (განყოფილების მდივანი) და ამხ. ლ. კუპრაშვილი (განყოფილების ინსტრუქტორი).

განყოფილების შექმნისთანავე დაისვა და დადებითად გადაიჭრა საკითხი „მუშათა კომისიის“ ყოველკვირეულ ჟურნალის „ახალი გზის“ დახურვისა და მის ნაცვლად გაზ. „კომუნისტში“ ცალკე დამატების სახით ყოფილ მენშევიკთა ორგანოს შემოღების შესახებ. გაზ. „კომუნისტში“ შემოღებულ იქნა ყოველკვირეული დამატება „ახალ გზელის“ სახელწოდებით, რომლის პასუხისმგებელ რედაქტორად ყოფილ მენშევიკებმა თავის წრიდან გამოჰყვეს ამხ. კ. სულაქველიძე.

შეუდგა რა საქმიანობას, განყოფილება პირველყოვლისა მოწადინებული იყო ყოფილ მენშევიკთა აქტივისათვის დაეკისრებინა განყოფილების სამუშაო გეგმის ჩამოყალიბება. ასეთი გეგმა შემუშავებულ იქნა მისი ამოქმედების დასაწყისშივე და იგი საჯარო დამტკიცებულ იქნა ცეკას მიერ.

რამდენათაც „მუშათა კომისიის“ რწმუნებულთა თათბირმა თავის ყურადღების მთავარ საგნად მომავალ მუშაობის ორგანიზაციული ფორმა გაიხადა, განყოფილება მოვალე იყო უპირველეს ყოვლისა ადგილებისათვის ეუწყებინა, თუ როგორ ახალ ორგანიზაციულ კალაპოტში იქნებოდა მოქცეული მომავალი მუშაობა ყოფილ მენშევიკთა შორის. ამიტომ განყოფილებამ მთავარი თავისი ენერგია მოანდომა განვლილ თვენახევრის განმავლობაში (15 ნოემბრიდან იანვრის 1-მდე) საორგანიზაციო მუშაობას ადგილებზე. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სია ამ რაიონებისა, სადაც საჭიროთ იქნა ცნობილი ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილებების დაარსება, შედარებით დაგვიანებით იქნა გამომუშავებული. ამიტომ იმ ძალებით, რომელიც განყოფილების განკარგულებაში იყო, მან იმ დროიდან, რა რომ ეს სია გამოირკვა, ვიდრე იანვრის 1-მდე ტექნიკურად ვერ შესძლო ყველგან ჩაეტარებია ყოფილ მენშევიკთა აქტივის კრებები ერთი მხრივ „მუშათა კომისიის“ რწმუნებულთა თათბირის დადგენილებების გასაცნობად და მეორეს მხრივ ახალ ორგანიზაციების (პარტკომებთან განყოფილებების) დასაარსებლად. ადგილზე ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილებები ეწყობა შემდეგ 11 პარტკომთან: ტეკასთან, ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, შორაპნის, გორის, სიღნაღის და თელავის მაზრკომებთან, აჭარისტანის ოლქკომთან და ფოთის პარტკომთან.

ზემო აღნიშნულ მიზეზების გამო ჯერჯერობით ჩატარებულ იქნა კრებები ორგანიზაციულ საკითხის მოსაგვარებლად და ამის შედეგად მოეწყო განყოფილებები პარტკომებთან შემდეგ ადგილებში:

1) ჭიათურაში: მოხდა კრება ჭიათურის რაიონის „მუშათა კომისიის“ რწმუნებულებისა; კრებას დაესწრო მრავალი მუშა და ინტელიგენტი. მოხსენება წაიკითხა ამხ. დიმიტრი აბაშიძემ „მუშათა კომისიის“ რწმუნებულთა მიერ ადგილობრივ გაწეულ მუშაობაზე და „მუშათა კომისიის“ რწმუნებულთა სრულად საქართველოს თათბირის შედეგების შესახებ. დამატებით მოხსენება ამავე საკითხზე წაუკითხა კრებას ამხ. სიხარულიძემ. ამავე კრების მიერ მოსმენილ იქნა ამხ. კ. სულაქველიძის მოხსენება ჩვენს მდგომარეობასა და ამოცანებზე. მიღებულ იქნა რეზოლიუციები მოხსენებათა გამო. „მუშათა კომისიის“ მუშაობა მოწონებულ იქნა, ხოლო ამხ. სულაქველიძის მოწოდება საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულებისა და სოციალისტურ დროშის ქვეშ თავის მოყრის შესახებ კრებამ აღფრთოვანებით გაიზიარა. შორაპნის მაზრკომთან დაარსე-

[illegible]

მაზრპარტკომთან დაარსებულ განყოფილებაში სამუშაოდ მოწვეულია ამხ. მეფარიშვილი.

7) ფოთში: შესდგა „მუშათა კომისიის“ რწმუნებულთა თათბირი. განმარტებულ იქნა მომავალ მუშაობის ორგანიზაციული ფორმა. პარტკომთან დაარსებულ ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილებაში შეყვანილ იქნა ამხ. ლომთათიძე.

8) სოფ. ქვემო-ჭალაში: მოხდა თემის საჯარო კრება. მოხსენება წაიკითხა ამხ. ლ. კუპრაშვილმა. მომხსენებელის მოწოდებამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხარის დაჭერისა და რევოლიუციონურ მონაპოვართა დაცვის შესახებ დიდი გამოძახილი ჰპოვა. მიღებულ იქნა ერთხმად შესაფერი რეზოლიუცია.

როგორც ამ მიმოხილვიდან სჩანს, ჯერჯერობით ორგანიზაციები განყოფილებათა სახით შექმნილია შორაპნის, გორის, სიღნაღის და ქუთაისის მაზრკომებთან და ფოთის პარტკომთან. მათგან სიღნაღის განყოფილება საჭიროებს დამატებით კრების ჩატარებას, რომ ადგილზე მომუშავე ამხანაგები უფრო გაერკვენ მომავალ მუშაობაში. ჩამოთვლილ პუნქტებში ყოფნამ დაგვარწმუნა, რომ ადგილებზე მყოფ აქტიურ ამხანაგებს საჭიროთ მიაჩნიათ, კერძოთ ფოთში და ქუთაისში, ჩატარებულ იქნეს საჯარო კრებები, რომელზედაც წაკითხულ იქნება მოხსენებები თბილისიდან სპეციალურად გაგზავნილ გავლენიან ყოფილ მენშევიკების მიერ. ასეთივე კრებები და აქტიურ ამხანაგების თათბირები ჩატარებულ უნდა იქნეს უახლოეს დროში ბათომში, ზუგდიდში, სენაკში, ოზურგეთში და თელავში. ასეთივე კრებების მოწყობა არის განზრახული თბილისში მსხვილ წარმოებებში და პროფკავშირებში.

ადგილებზე საორგანიზაციო კრების ჩატარების გარდა ცეკასთან არსებულ განყოფილების სამოქმედო გეგმა შეიცავდა აგრეთვე ყოფილ მენშევიკთა აქტიურ ძალების და კერძოთ ყოფილ პარტიულ ინტელიგენციის თათბირების მოწვევას. ასეთი თათბირები იყო მოწვეული განყოფილების მიერ საჭიროების დროს.

გეგმა გულისხმობდა აგრეთვე „მუშათა კომისიის“ თათბირების შესახებ კრებულის გამოცემასა და გავრცელებას. კრებული უკვე გამზადებულია დასაბეჭდათ.

განყოფილება განაგრძობდა „მუშათა კომისიის“ და მის რწმუნებულების მიერ დაწყებულ აღრიცხვას იმ პირებისას, რომელთაც გულწრფელად გასწყვიტეს კავშირი ანტისაბჭოთა პარტიებთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან აქტიურ თანამშრომლობის იდეა გაიზიარეს.

დიდი ენერგია იხარჯებოდა განყოფილებისა, გადასახლებიდან დაბრუნებულ ამხანაგებისთვის სამუშაოს მისაცემად. მიაჩნდა რა ასეთ ამხანაგების სამუშაოზე მოწყობა დიდ დადებით პოლიტიკურ შედეგების მქონე საქმედ—განყოფილება თავგამოდებით ცდილობდა ყველა ასეთებისათვის ადგილის გამოძებნას.

დასასრულ ამხ. სულაქველიძის რედაქტორობით და განყოფილების გარშემო გაერთიანებულ ამხანაგების აქტიური მონაწილეობით 1926 წლის იანვრის 1-მდე გამოცემულ იქნა „კომუნისტი“-ს დამატების „ახალ-გზელის“ ოთხი ნომერი.

უყველივე ზემოაღნიშნულის გაცნობა და მისი შედარება იმ დავალებებთან, რომელიც „მუშათა კომისიის“ თათბირმა შესასრულებლად უანდერძა განყოფილებას, გვიჩვენებს, რომ მთელი რიგი ამოცანებისა ჯერ-ჯერობით თითქმის ხელუხლებელია და ადგილიდან დაუძრელი. ამას შქმნიდა მრავალი მიზეზები, რამაც დააგვიანა ზოგიერთ საკითხების მოგვარება. მომავალში განყოფილება ეცდება მთელი თავისი ენერგიით ყველა დასახულ ამოცანებს ხორცი შეასხას.

შ. დ.

# ინფორმაცია

## „საქართველოს ღვინო“

(საუბარი გამგეობის თავმჯდომარე ამხ. გ. ელისაბედაშვილთან)

სრულიად საქართველოს მევენახემეღვინეთა კოოპერატიულ კავშირში —„საქართველოს ღვინო“-ში—შედიან შემდეგი ორგანიზაციები: „კახეთი, „კავშირთ-კავშირი“, „წინანდალი“, „უნიონი“, „იმერეთი“, „სვირი“, „ბაღდადი“, „დიმი“, „კონცხი“, „ბეჟანიანი“, „ხვანჭკარა“, „ვაზისმეგობარი“ და „შამიანი“. საერთო წევრთა რიცხვი დაახლოვებით უდრის 4.500 კომლს. მათ შეუძლიათ თავისუფლად დაამზადონ თავიანთი წევრთა საშუალებით ერთი მილიონი ვედრო ღვინო და მილიონ ნახევარი გრადუსი სპირტი.

„საქართველოს ღვინო“-ს გამგეობამ უკვე დასდო ხელშეკრულებანი და მიჰყიდა სხვადასხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს 200.000 ვედრო ბუნებრივი და შემაგრებული ღვინო.

გახსნა განყოფილება ბაქოში, სადაც მას ეხლა აქვს ოცამდე მაღაზია. მათ ჰყავს უკრაინაში, ქ. ოდესაში თავისი წარმომადგენლობა, ახლო მომავალში ფიქრობს გახსნას განყოფილებები ქ. მოსკოვში, ლენინგრადში და ციმბირში. საზოგადოებამ ააშენა კახეთში, სოფ. შილდაში, კონიაკის და თბილისში არყისა და კონიაკის დასამზადებელი ქარხანა.

„საქართველოს ღვინო“-ს გამგეობამ საბრუნავ თანხად მიიღო საქ. მთავრობისაგან სესხის სახით 200.000 მანეთი. აღნიშნული თანხიდან 120. ათასი მან. ავანსის სახით. მაშინათვე გაანაწილა ძირითად ორგანიზაციებს შორის და დაუკვეთა მათ ახალ მოსავლიდან ღვინო. დანარჩენი კი გადაიტანა ოპერაციაში და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავათ.

ეს თანხები უნდა მოხმარებოდა მხოლოდ ღვინის მომარაგებას, მაგრამ ის ორგანიზაციები, რომლებიც აქამდის თბილისში იმყოფებოდნენ და ვაჭრობდნენ, სხვადასხვა დავალიანებათა გამო, განიცდიდნენ უკიდურეს ფინანსიურ კრიზისს, რის გამოც ძნელდება მათი ლიკვიდაცია, ამიტომ, ამ თანხის საგრძნობი ნაწილი „საქართველოს ღვინო“-მ მოახმარა აგრეთვე მათ დახმარებას.

„საქართველოს ღვინო„-ს მიზანს შეადგენს გააუმჯობესოს მევენახეობის კულტურა და დააყენოს ისეთი გემოვნების ღვინოები, როგორც შეეფერება ჩვენი ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის-განვითარების მსვლელობას.

უდიდესი ყურადღება ექცევა ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლას, რომლის მეოხებითაც დაცულ უნდა იქნეს, ჩვენი ღვინის ბუნებრივი ღირსება. „საქართველოს ღვინო“ ეცნობა მსხვილი ბაზრის მოთხოვნილებას და ამის დამიხედვით ამზადებს გლეხთა პროდუქციას.

საეროდ „საქართველოს ღვინოს“ სურვილი აქვს აგრეთვე მეღვინეობის მთავარ რაიონებში აავოს და მოაწყოს შესაფერი მარნები, სადაც კოოპერატიული წესით დააყენებს და დააძველებს ღვინოებს, რაც მას მისცემს საშუალებას დიდ ბაზარს მიაწოდოს საჭირო რაოდენობის და ღირსების ღვინოები.

ვიქტორ დავითაშვილი.

რედაქტორი ქ. ს ლაქვ[illegible]ლიძე

# საბჭოთა საქართველო

## დღეები

### დახმარება ახალ-ქალაქის მაზრას

ახალქალაქი, 23 | 1 საკავშ. ორგანოების დადგენილებით ახალქალაქის მაზრას დახმარების სახით ეძლევა 100.000 მან., რომელიც უნდა მოხმარდეს მაზრის აღდგენას. ეს დახმარება მაზრას ამხ. პეტროვსკიმ, აღუთქვა, როცა ის საკავშირო ცაკის სესიამ ინახულა. ამ დაპირებას მხარი დაუჭირეს მრავალმა ა | კ. ამხანაგებმა. ამ თანხიდან მაზრა ამ დღეებში მიიღებს 15.000 მან. დანარჩენი კი სხვადასხვა დროს მიეცემა. ეს დახმარება მაზრას საშუალებას მისცემს, სასოფ. მეურნეობა აღადგინოს და მომხმარებელი და საკრედიტო კოოპერაცია გააძლიეროს.

### აგრონომების მოწვევა

ახალქალაქი, 23 იანვ. სამაზ. აღმასკომმა მაზრაში სამუშაოდ მოიწვია ორი აგრონომი და ერთიც მეტყევე. ამგვარათ გლეხობას საშუალება მიეცემა, ფართოდ ისარგებლოს აგროდახმარებით.

### მილიციის სათადარიგო სკოლა.

ახალქალაქი, 23 იანვ. სამაზრო მილიციის სამმართველოსთან გაიხსნა მილიციის მუშაკების მოსამზადებელი სათადარიგო სკოლა. სკოლაში მოეწყობა სამი თვის კურსები. ეს კურსები უნდა დაამთავროს მთელმა სამილიციო შემადგენლობამ. სკოლას შეინახავს სამაზრო აღმასკომი.

### ნავთის გაყიდვა.

ახალქალაქი, 23 იანვ. ახალქალაქის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებამ ნავთის საწყობში გაყიდვის გარდა, ქალაქში გახსნა კი ვე ერთი ნავთის გასასყიდი პუნქტი მაზრაში არსებობს 15 კერძო და კოოპერატიული ნავთის გასასყიდი პუნქტი, რომლებსაც ნავთს აწვდის ახალქალაქის მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოება. საზოგ დღება ნავთს ჰყიდის დაკლებულ ფასებში—6 კაპეიკად. ამის გამო კერძო ვაჭრებიც იძულებული გახდენ დაეკლოთ ფასი ნავთზე.

### მაზრის შესწავლის საზოგადოება.

ახალქალაქი, 23 იანვ. შესდგა ახალქალაქის მაზრის შესწავლის საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის საერთო კრება. არჩეულ იქნა დროებითი გამგეობა და დამტკიცდა საზოგადოების წესდება და სტრუქტურა.

### მცირეწლოვან ბოროტმოქმედთა საქმეების კომისია.

ახალქალაქი, 23 იანვ. ახალქალაქის სახალხო სასამართლოსთან დაარსდა მცირეწლოვან ბოროტმოქმედთა საქმეების კომისია. კომისიის მუშაობა განტვირთავს სასამართლოს დაგროვილ მცირეწლოვან ბოროტმოქმედთა საქმეებისგან.

### ტყეების დამუშავება

ჭიათურა, 23 იანვ. საქართველოს სატყეო ტრესტის ჭიათურის განყოფილებამ დაამთავრა საჩხერის სატყეო გზის გაყვანა 36 ვერსის მანძილზე. დაიწყო სატყეო სიმდიდრეების დამუშავება

პირველ კვირაში დამზადდა 10 საჟენი შეშა და 183 შპალი.

### ახალი საკრედიტო საზოგადოება

ოზურგეთი, 23 იანვ. ოზურგეთში და რსდა ხელოსანთა და შინა-მრეწველთა საკრედიტო ამხანაგობა.

ამხანაგობა თავის მიზნად ისახავს ურთიერთ დახმარების საშუალებით ხელი შეუწყოს გურიის შინამრეწველობის განვითარებას, რომელიც საგრძნობლად შესუსტდა იმპერიალისტური ომის პერიოდში.

საკრედიტო საზოგადოება ამ დღეებში გაიხსნება.

### სიმინდის შესყიდვა

ოზურგეთი, 23 იანვ. ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობა, ბათომის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დავალებით, შეუდგა 10 ვაგონი სიმინდის შესყიდვას. ეს სიმინდი მოხმარდება გურიის აღმოსავლეთ რაიონების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რადგან ამ რაიონებში სტიქიური მოვლენების გამო მოსავალი ნაკლები მოვიდა.

### ფიზკულტურა შორაპნის მაზრაში

ჭიათურა, 23 იან. მაზრაში ახალგაზრდები აარსებენ სასპორტო წრეებს.

უკანასკნელ დროს ფიზკულტურის საბჭომ მოაწყო ფეხბურთელების 4 ჯგუფი და 2 სასპორტო ჯგუფი. სულ მაზრაში არის ფეხბურთელების 11 და 2 სასპორტო ჯგუფი.

ფიზკულტურის განვითარებას აფერხებს სატანვარჯიშო ხელსაწყოების და სათანადო ბინების უქონლობა.

### ციმბირის ჭირი

ჭიათურა, 23 იან. უკანასკნელ დღეებში შორაპნის მაზრაში გახშირდა საქონლის დაავადმყოფება ციმბირის ჭირით.

### მანქანების ნაწილები შავი ქვის დამმუშავებელ ქარხნებისათვის

ჭიათურა, 23 იან. სააქციო საზოგადოების „საქართველოს შავი-ქვა“-ს სახელზე მიღებულია 2000 ფუთამდე მანქანების სხვადასხვა ნაწილები შავი-ქვის დამმუშავებელ ქარხნების მოსაწყობად.

### პოლიტ განმანათლებელი მუშაობა ახალქალაქის მაზრაში

ახალქალაქი, 21 ამჟამად მაზრაში მოქმედებს 22 იანვ. ქოხ-სამკითხველო. ყველა ქოხ-სამკითხველოები იღებენ გაზეთებს ადგილობრივ ენებზე.

მაზრაში არსებობს წერა-კითხვის უცოდინარობის 95 სალიკვიდაციო პუნქტი, აქედან 69 სომხური, 15 ქართული, 9 თურქული და 7 რუსული. ყველა პუნქტებს ჰყავს 2.500 მსმენელი. პუნქტების მუშაობა შარშანდელთან შედარებით გაცილებით უფრო კარგად მიმდინარეობს; გლეხობა მრავლად ესწრება მეცადინეობას, კარგად არის შერჩეული სამასწავლებლო პერსონალიც.

### ჯანმრთელობის დაცვა

ახალქალაქი, 21 იანვ. ახალქალაქის სამაზრო საავადმყოფოში ამ ბოლო დროს იაჭმა 285 ავადმყოფმა, აქედან 75 პროცენტი მაზრიდან იყო. ამბულატორიით ისარგებლა 8.692 ავადმყოფმა, აქედან 2.082 დაზღვეული იყო. კბილის საექიმო ამბულატორიით ისარგებლა 2.048 კაცმა, აქედან დაზღვეული იყო 1.698 კაცი. მაზრა განიცდის საექიმო მუშაკების ნაკლებობას, მიღებულია ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

## აჭარისტანი

### ფართლეულობა კოოპერაციისათვის

ბათომი, 23 იან. აჭარისტანის პროფკავშირის მისამართით მოვიდა 2 ვაგონი ფართლეულობა (უმთავრესად ნარმა და ბამბის ქსოვილები), რომელიც განაწილებული იქნება აჭარისტანის კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის.

### თამბაქოს გაგზავნა

ბათომი, 22 იანვ. ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ბათომის განყოფილებამ დაამზადა ლენინგრადში გასაგზავნად 7000 ფუთი თამბაქო.

### ნავთის სინდიკატის ბათომის ბაზა

ბათომი, 22 იან. ამჟამად ბათომის სანავთო ბაზა შესდგება 132 [illegible]ბისაგან, რომელთა ტევადობა უდრის 24 665.000 ფუთს.

ნავთის პროდუქტების გადაქაჩვა გემებზე სწარმოებს ოთხი სადგურის საშუალებით. ნავთის ექსპორტის გადიდების გამო მიმდინარე წელს გადაწყდა ახალი ნავთსადგური მოეწყოს ნავთისათვის.

### ბიდონის ქარხანაში

ბათომი, 23 იანვარი. წარსული წლის ზაფხულიდან დღემდე „აჭარვაჭრობის“ ბიდონის ქარხანაში დამზადებულია და გამოშვებული 1.200.000 ნავთის ბიდონი.

საშუალოთ ქარხანა ყოველ დღე უშვებს 5000 ბიდონს, მაგრამ მომატების გამო ქარხნის პროდუქცია გადიდებული იქნება 10.000 ბიდონამდე დღეში.

### საქ. ახალგ. კომკავშირის საოლქო კონფერენცია

ბათომი, 23 იანვ. აჭარისტანის ახალგ. კომკავშირის კონფერენცია, რომელიც უნდა მოწვეული ყოფილიყო 25 დეკემბერს გადადებულია 1926 წ. 1 თებერვლისათვის.

კონფერენციაზე მოსმენილი იქნება საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკას მოხსენება, აჭარისტანის კომიტეტის ანგარიში და არჩეული იქნებიან დელეგატები ახალგ. ლენ. კომკავშირის სრულიად საქართველოს კონფერენციაზე.

### ცინკის ქარხანა

ბათომი, 23 იანვარი. „აჭარვაჭრობის“ ცინკის ქარხანას გასულ საოპერაციო წელს 25,000 მანეთი დეფიციტი ჰქონდა. „აჭარვაჭრობამ“ დეფიციტის მიზეზების გამოსარკვევად გამოჰყო კომისია, რომელშიაც შევლენ მუშათა წარმომადგენლები კომისიას დავალებული ექნება აგრეთვე „აჭარვაჭრობის“ სხვა ქარხნების გამოკვლევაც

# სამთო-მადნო ქიმიური კომბინატი

ქუთაისი, 23 იანვ. სამთა-მადნო ქიმიურ კომბინატის წარმოებებს შორის ამჟამად მუშაობს კირის ქარხანა, რომელიც გადავიდა კომბინატის ხელში და ბარიცის წისქვილი, რომელიც ქუთაისის აღმასკომმა იჯარით მისცა კერძო პირებს; ამ პირებს ხელშეკრულება აქვთ დადებული კომბინატთან. მომავალ წლიდან კომბინატმა გადასწყვიტა საკუთარი წისქვილის აშენება. უნდა აღდგენილ იქნეს დამწვარი წისქვილი სოფ. ჟონეთში, ქუთაისიდან 18 ვერსის მანძილზე, ბარიტის მადნის მახლობლად.

კომბინატი აწარმოებს გამოკვლევას მამათწმინდის რაიონში, სადაც უკვე აღმოჩენილია ბარიტის დიდი მარაგი. მალე დამთავრდება ბორანის ავებე რიონზე სოფ. ჟონეთის და მამათწმინდის დასაკავშირებლათ. ბორანით შეიძლება 300.000 ფ. ბარიტის გადატანა.

სწარმოებს კვლევა აგრეთვე ქუთაისის და შორაპნის მაზრის სხვა ადგილებში. მუხურის აგარაკზე რკინისგზის მახლობლად აღმოჩენილია ოხოკერიტი. დადებითი შედეგი გამოიღო აგრეთვე კვლევამ ინფუზორიტის აღმოსაჩენად სადგ. რიონის მახლობლად.

1925 წლის განმავლობაში სამთამადნო ქიმიურმა კომბინატმა დაამზადა და გაიტანა ქუთაისის მაზრიდან 297 000 ფ. ბარიტი, 10.000 ფუთი სურინჯი და 20.000 ფუთი ოხრა.

## წერილები

### წიგნების მოთხოვნილება სოფლად

რამდენად წერა-კითხვის უცოდინარობას ელება ბოლო ჩვენს სოფლებში, იმდენად მატულობს მოთხოვნილება ქართულ წიგნზე. განსაკუთრებით წიგნს დიდი ბაზარი გაეხსნა დასავლეთ საქართველოში და ყველაზე უფრო დაწინაურებულ კუთხეში—გურიაში. წიგნების გამსაღებელნი უმთავრესად არიან სოფლის ქოხ სამკითხველოები და წიგნთსაცავ ბიბლიოთეკები ხშირია აგრეთვე პერსონალური მოთხოვნა წიგნების გლეხების მხრივ. შესაფერ დონეზე ვერ არის დაყენებული აგენტურა წიგნების გასავრცელებლად, რის გამო ხშირად ადგილი აქვს სპეკულიაციას. შედარებით სხვა მაზრებთან კარგათ აქვს დაყენებული წიგნების გავრცელების საქმე ქუთაისის სამაზრო აღმასკომთან არსებულ საგამომცემლო განყოფილების მაღაზიას, რომლის თვიური ბრუნვა 100 ათასს მანეთს აღემატება. ბრუნვის ზრდასთან ერთად იზრდება იმ პუნქტთა რიცხვი, რომელსაც მაღაზია წიგნებს უგზავნის. ამჟამად მაღაზია სისტემატიურად აწვდის სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურას 50 სამაზრო და სათემო დაწესებულებას, 80 წარმოებას, 230 სასწავლებელს და 160 სასკოლო წიგნების სავაჭრო კოოპერატივს რომელსაც იძენენ ქუთაისის მაზრის აღმასკომის წიგნების სავაჭრო განყოფილების თაოსნობით. ქვემო იმერეთის გარდა, მაღაზია ლიტერატურას უგზავნის შორაპნის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, ლეჩხუმის რაჭის მაზრებს და აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკებს.

მოთხოვნილება წიგნების სოფლად იმდენად დიდია, რომ ქუთაისის აღმასკომის მაღაზია საჭიროებას აკმაყოფილებს მხოლოდ 30 პროცენტით მაღაზიას მოსდის აუარებელი მოთხოვნილებათა ქაღალდები პირველ დაწყებით საანბანო წიგნების შესახებ, რომლის უქონლობით ბრკოლდება მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ.

უკანასკნელ დრომდე აღმასკომის საგამომცემლო განყოფილება სცემდა წიგნებს, მაგრამ ცენტრის განკარგულებით საგამომცემლო მუშაობა შეწყვეტილ იქნა და განყოფილება თავისი მაღაზიით ემსახურება მხოლოდ წიგნების გავრცელების საქმეს დასავლეთ საქართველოში..

### მოლა მაჰმადა

არც ისე ძველი ამბავი გახლავთ; ხერხის ბაზედ, თათრების ერთი პატარა სოფელში ქორწილი იყო გაჩაღებული; ჯელ მექორწინეთ სუფრის გვერდით მორცხვად მოეკეცნათ და ერთმანეთის ფარულის ცქერით სტკბებოდნენ. სტუმრები კი ამ დროს გემრიელ შილა ფლავსა და მრავალი ტკბილეულობას შეექცეოდენ.

გვერდზე იჯდა ბებერი მოლა ისმაილა, თავისი ახალგაზრდა ლამაზი ცოლით, რომლის ჩადრის ქვევიდგანაც გამოიყურებოდნენ კუპრივით შავი, ეშხიანი, მხოლოდ ნაღვლით სავსე თვალები. ლამაზი ფატმა ამ დროს გართული იყო იმ ძმიჲე ფიქრებით, რომლითაც მუდამ პატიმრობს არა საყვარელ კაცზედ გათხოვილი ქალი. მას არ აინტერესებდა ამ დროს გემრიელი საჭმელები, არც დაფა-ზურნის ხმა.

ფატიმა წყევლა კრულვით იხსენიებდა ყველას: თავის ბედს, მშობლებს და თვით ბებერ მოლასაც-კი, რომლებმაც ძალით მოსწყვიტეს იგი ნამდვილ სიყვარულს და გული დაუკოდეს.

შუა ქორწილი იქნებოდა; მექორწილეთ თავზედ წამოადგათ, მოხდენილ სახის, ახოვანი და შავგვრემანი, მოლას ქურქში გახვეული ვაჟკაცი, რომელმაც ოსმალურათ, გულზედ ხელის მიდებით, ყველას საერთო სალამი მისცა და სუფრას მიუჯდა. ეს გახლდათ მეზობელ სოფლის ახალგაზრდა მოლა, მშვენიერ ფატმას ნაღვლიანობის მიზეზი. მოლა მაჰმადას და ფატმას პატარაობიდანვე უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ წყეულმა აღმოსავლეთის წესებმა, რომლის ძალითაც გასათხოვარი ქალის ბედი მშობლების ხელში ჩაავდო, ფატიმა საყვარელ ადამიანს აალდინა და ბებერ მოლას მიუგდო.

ფატიმა ცდილობდა დაემალა თავის გრძნობები მაგრამ თვით გრძნობები აღარ იმალებოდნენ; მან რამდენჯერმე, ქურდულათ, ღიმილით დააჯილდოვა მოლა მაჰმადა, ორივე ერთნაირად ჩუმ სიყვარულის ცეცხლში იწოდნენ.

მოლა მაჰმადა ქორწილში დიდხანს არ გაჩერებულა; მან ჩვეულებისამებრ, ახალ ჯექორწილეთ, ალლახის მადლით ბედნიერება მიულოცა და სწრაფად გარედ გაიდა. ფატმამ იგი ნაღვლიანი თვალებით კარებამდენ გააცილა და როდესაც მაჰმადა მიიმალა, ფატმა ისევ ჩადრში გაეხვია შილაფლავით დამძიმებული, ყავარჯენი ხელში, ზლაზნით წამოდგა და ფატი მასთან ერთად სახლისკენ გაემგზავრა;

ათიოდე წუთი გავიდა... მექორწილეკარები ხელმეორეთ საშინელი ბრახუნი გაიღო და სახე შეცვლილი მოლა ისმაილ „არვადნი გედდი“-ს ძახილით უკანვე შემოვარდა. ყველას აღელვება დაეტყო; თავმოყვარე სტუმრები თავს გალანძღულს სთვლიდენ; აქა იქ მუქარა და უკვე იარაღის ჟღარუნი გაისმოდა.

მიწური სახლის ბანს ეტკან, ორი ჯგიდ თათარი აჰუზულიყო, ყდავი მოგდვრა? გვარცხვინა, ვიღაც მოლა მახმადამ ჩვენ პატივცემულ მოლას ცოლი წაართვა გაიეთ აღარ გაგვეცვლება!! რას იტყვიან ხოხლები, ჩვენ ეხლავე უნდა დავედევნოთ, მახმადა მოვკლათ, და ფატმა ქმარს დაუბრუნოთ?“ ამ სიტყვებით ერთმანეთს განშორდნენ და სახლებისკენ იარაღისათვის გაიქცნენ.

თენდებოდა; მოლა მახმადას ბინის გრძელი ჩამოხნელებულ აივნებით, ფეხ რეფით მიიპარებოდა ორი აჩრდილი. ფრთხილად შეაღეს ალაყაფის კარები ეზოში შეიპარენ; სახლის აივანში გავიდნენ და მოლას ოთახს მიაშურეს; ოთახის წინა კარებში, ქურქში გახვეული მძინარე კაცი დაინახეს, ორი ტყუპი ტყვია ერთად დააკერეს და სიბნელეშივე გაქრნენ!!

სახლში საშინელი ღრიალი და ძაღლების ყეფა-ყმუილი ასტყდა.

როდესაც აქ ეს ამბავი ხდებოდა, ნამდვილი მოლა თავის ფატმათი მოკლე ბილიკებით თბილისისკენ დასამალათ მიძუნძულებდა, მოსისხლეებს კი იმ ღამეს შეცდომით 13 წლის ბიჭი მოეკლათ, რომელიც მოლას ქურქში გახვეული მოლასივე სახლის კარებთან იწვა.

დიდი ხანი არ გასულა... უგზო-უკვლოდ დაკარგული ფატმა ერთ დღეს თბილისის სადგურში ნახეს, რომელიც მწარეთ მოსტირალი ნაცნობთ მახმადას ღალატს შესჩივლებდა, რომელსაც მისთვის თავი მიუნებებინა და სადღაც უცხო მხარეს გაპარულიყო. შეცდომით მოკლული ბიჭის ძმებმა სისხლი მალე აიღეს და ერთი მკვლელთაგანი მოკლულს თან გააყოლეს. ბებერი მოლა კი დაოინებული ისევ დადის და დაკარგულ ფატმას დაეძებს.

დ. გორთამაშვილი.

### ზაუგებროგის ნაყოფი

(როდინოულის თემი, ქუთ. მ.)

გაზ. „კომუნისტის“ 14 იანვრის ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია როდინოულის თემიდან (ქუთ. მაზ.), რომელსაც ხელს აწერს ვინმე „გ“.

[illegible] აღვნიშნო, რომ წერილი [illegible] ობაზეა აგებული: ავტორს პირველ ყოვლისა ვერ გაურჩევია საარჩევნო სამზადისი, ე. ი. აქტივის კრება საბჭოთა არჩევნებიდან, რომელიც ჯერ არ მომხდარა და უნდა მოხდეს მომავალში. დროებით თანახმად სამაზრო აღმასკომის განკარგულებისა, რომელიც ეყრდნობოდა ცეკას ინსტრუქციას, ჩატარებულ იქნა მხოლოდ საუბნო კრებები საშუალო და ღარიბ გლეხებისა. ამ კრებებზე არჩეულ იქნა წარმომადგენლები აქტივის კრებისათვის. უკანასკნელნი კი ასახელებენ მომავალ საკუთარ, არჩევნებზე წამოსაყენებელ კანდიდატებს. ეს იყო და ეს. და განა ეს საბჭოთა არჩევნებია?! არა, მოქ. „გ“, „შესაძლებელია“ თქვენც გქონდეთ კანდიდატის წამოყენების უფლება, თუ მერკვილაძის და პოდრაჩიკების კომპანიიდან არ ბრძანდებით, მაგრამ ეს სრულიადაც, ვიმეორებ, არ ნიშნავს საბჭოთა არჩევნებს. მომავალი საარჩევნო საზოგადო კრება უფლებამოსილია წამოყენებული კანდიდატები მიიოოს ან უარყოს. აქ „უნდა გამოსწორდეს“, ე. ი. გამოჩნდეს ვინაა საზოგადოებისათვის მისაღები [illegible] ვინ არა. ამასაც მოესწრებით მოქალაქე „გ“.

მოქ. „გ“ გვისაყვედურებს: „მანდ [illegible] ძემ ასეთივე არჩევნები მოაწყო შარშანაც და ძალით გაიყვანა აღმასკომის თავმჯდომარედ მექრთამე ხაჭაპურიძე, რომელიც 3 წლის განმავლობაში აჯდა სოფელს და ეხლა პასუხის გებაშია მიცემული“. [illegible] ბატონო „გ“, ნუ გელანდებათ ყველგან ძალდატანება. თუ თითო-ოროლა ინტრიგანი მშვენიერიძის, უფლის აყრილ მერკვილაძის და ძველ პოდრაჩიკების სურვილის წინააღმდეგ მშრომელ მასსის 80%-მა ერთხმად აირჩია მოქ. ხაჭაპურიძე აღმასკომის თავმჯდომარედ, ნურას უკაცრავად თქვენთან, ბ-ნო „გ“, რომ ამას დავარქვათ ძალდატანება.

„გ“ არაა კმაყოფილი არც თავმჯდომარე მაღლაკელიძით, მიტომ რომ ის... მოუმზადებელია (ალბათ უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია და ან... პოდრაჩიკი არაა). მაღლაკელიძე ახალ არჩევნებამდი თავ. შეიძლება შემდეგაც, დარჩება, მოქ. „გ“, აღმასკომის თავმჯდომარედ. ნუ გ[illegible] წყინებათ, ასეთი წესია: სანამ ახალი არ არჩეულა, ძველმა უნდა განაგრძოს სამსახური.

ვლ. მანჯგალაძე.

### სამი მსხვერპლი

(ნაკურალეშის თ. ლეჩხ. მ.)

ჩვენი თემი 18 ვერსითაა მაზრიდან დაშორებული. მდებარეობა მთაგორიანია და გზები სრულიად უვარგისი. ამიტომ მიმოსვლა მაზრის ცენტრთან მეტად გაძნელებულია. განსაკუთრებით, თუ გლეხი საჭიროებს საექიმო დახმარებას.

ამას წინეთ ნაკურალეშის თემში მძიმე ავათ გახდა ერთი გლეხი. ექიმის მოსაყვანათ ცაგერში წავიდა საგანგებო კაცი. ცაგერიდან ავადმყოფის ჭირისუფალმა წამოიყვანა ფერშალი. ორივე ფეხით მოდიოდენ. გზაზე დიდი წვიმიანობის გამო ძალზე ადიდებულ „ღვირიშის ღელეს“ მოადგენ. მგზავრები ჩასულან გასასვლელათ ამ ღელეში, მაგრამ ღელეს ისინი წაულია და 60 საჟენიან კლდეზე გადაუგდია, რომლის გვამები მესამე დღეს ძლივს იპოვნეს დაგლეჯილი ამასობაში ავადმყოფიც გამოესალმა სიცოცხლეს.

სამი პიროვნება იმსხვერპლა თემის უექიმობამ და უფერშლობამ, მრავალჯერ იყო ამ საქმეზე თემის საბჭოსაგან მოთხოვნილება მაზაღმასკომის წინაშე, მაგრამ მოთხოვნილება ჯერაც შეუსრულებელია. საჭიროა არის ყურადღების მიქცევა ამ საქმეზე პირველ რიგში.

„ნადეშტურა“.

## წერილ ებიდან

**ს. სურმუში (ლეჩხ. მ.)**

**გლეხკომი დაგვეხმარა.** ბოლო ხანებამდე ჩვენ სოფელს არ ჰქონია საკუთარი სკოლის შენობა. მეცადინეობა დაქირავებულ სახლში სწარმოებდა. უკანასკნელად სახლის პატრონმა უარი სთქვა ბინის გაქირავებაზე. გლეხები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. მაგრამ გლეხკომმა გვიშველა. მან ითავა საქმის მოგვარება. შეიძინა სოფლის ხარჯზე ახალი 700 მანეთად ღირებული შენობა და გადმოიტანა ს. სურმუშში. დღეს მასწავლებელიც გვყავს და მეცადინეობაც წესიერათ სწარმოებს.

გ. ორპიროსი.

**ამბროლაური (რაჭა)**

**დაბა განადგურებას გადარჩა.** ამას წინათ გაუჩნდა ცეცხლი ბაზრის ერთ შენობას. მთელი ახლო-მახლო მოსახლეობა და მილიცია ფეხზე დადგა. გლეხები ცეცხლის ჩაქრობაზე მუშაობდენ, მილიცია წესრიგს იცავდა. რომ ასეთი ერთსულოვანი დახმარება არა, მთელი დაბა გადაიწვოდა.

ფეხდამწვარი.

**ს. თერჯოლა (შორ. მ.)**

**ხად არის ტექნიკი.** სამი სკოლის შენობა გვაქვს თემში. სამივე უმწეო მდგომარეობაშია სიძველის გამო. ხალხმა სურვილი გამოსთქვა შენობების თავის ხარჯზე შეკეთების შესახებ. აკრიფეს გაწერილ ფულის ერთი ნაწილი, დანარჩენი აუკრეფავია, რადგან გაწერა უწესრიგოდ მოხდა. მაზრიდან იყო წარმომადგენელი, რომელიც დაგვპირდა ტექნიკის გამოგზავნას სამ დღეში, რომ შეედგინა მას ახალი სკოლის გეგმა და ხარჯთა-აღრიცხვა. სამმა კვირამაც ჭირი მოგვჭამათ და ტექნიკი არსად სჩანს. სკოლები კი ინგრევა არა თვეობით, არამედ დღეობითაც.

**ცაიშის-კახათი (ზუგ. მ.)**

**კოხ.** თემს ტელეფონი არა აქვს. მაზრის ცენტრიდან დაშორებული ვართ 14 ვერსით. გზები ძალიან ცუდია. თემს არა ყავს ცხენი და არც სხვა სატრანსპორტო საშუალება გაგვაჩნია. ამავე დროს არც ტელეფონი გვაქვს. თემაღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა მაზრის წინაშე ტელეფონის გამოყვანის შესახებ. გლეხები მოუთმენლად მოელიან პასუხს ამ შუამდგომლობაზე.

ს. ძაღუშვილი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. გან. გუშაკთა კავშირის ც. გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს დამსახურებული მასწავლებლისა და პროფმუშაკის

**ივანე ნიკოლოზის ძე სირაძის**

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი, შაბათს, საღ. 5 საათზე. გამოსვენება, კვირას, 24 იანვარს, დილის 11 ს. შ. ჩიტაძის ქ. (ყ. ერმოლოვის) № 13 ნ. 645 1—1

---

დამწუხრებული აკაკი ნესტორის ძე სირაძე ცოლშვილით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასი

**ივანე ნიკოლოზის-ძე სირაძის**

უდროოდ დაკარგვას. ნ. 653 1—1

---

ულდამწუხარენი და სამუდამოდ მწუხარებაში დაშთენილნი დაარო მინას ასული, სიძე ლადო გრიგოლის ძე ბუჩუკურები, ძმა ვანო მინას ძე გიორგობიანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ დღეს 24 იანვარს, შუადღის 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის თავზე პანაშვიდი მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარ უდროოდ დაკარგულ

**ლადო მინას ძე გიორგობიანის**

1266 1—1

---

**რუსთაველის თეატრი:** დღეს, 24 იანვარს

ოპერა

**ფარული ქორწინება**

სამშაბათს, 26 იანვარს

**დეზერტირკა**

ნ. 655 1—1

---

**სახელმწიფო ოპერა** დღეს, 24 იანვარს

**მეფის საცოლე**

სანდრო ინაშვილის მონაწ.

სამშაბათს, 26 იანვარს

დამსახურებული მსახიობის შულგინას მონაწილეობით

**M—me ბატერფლაი**

ნ. 654 1—1

---

**წითელი თეატრი** დღეს, იანვრის 24

რესპუბლიკის სახალხო მსახიობის ნ. გოცირიძის მონაწილეობით

შექსპირი ტრ. რამიშვილის

**ვენეციელი ვაჭარი**

დადგმა კ. ანდრონიკაშვილის

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

1—1 ნ. 650

---

**გამოვიდა და იყიდება**

ა. ერქომაიშვილი **კოოპერაციის თეორია**

ნ. ლ. მეშჩერიაკოვი **თანამედროვე კოოპერაცია** (თარგ.

შ. გოგებაშვილი **ორგანიზაცია და პრაქტიკა**

შ. გოგებაშვილი **კოოპერატ. სარევიზიო კომისია იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა**

შ. გოგებაშვილი **კოოპერატივის დუქნის მოწყობა**

ნ. ჟავჟანიძე **კოოპერატივის წევრები**

შ. გოგებაშვილი **კოოპერატივის თანხები**

**ცეკავშირის გამოცემა**

მისამართი: წიგნისა და საკანცელარიო ნივთების საწყობი შტაბის ქუჩა № 4—6. 1263 1—1

---

საქაციონერო საზოგადოებას

**„ქართული მარგანეცი“-ს ესაჭიროება ორი გამოცდილი მზაზავი**

სამსახურის პირობები: მუდმივი საცხოვრებელი ადგილი—ჭიათურა; ჯამაგირი ას ორმოცდა ათი მანეთი (150 მ.) თვეში და ბინა, ხოლო ბინის მიცემამდე 25 მან. საბინაო თვეში.

წერილობითი წინადადებები განათლების და პრაქტიკული სტაჟის, ოჯახური მდგომარეობის, ჰასაკის და მისამართის აღნიშვნით გადაგზავნილ უნდა იქნეს ქ. ჭიათურაში საზოგადოება „ქართული მარგანეცი“-ს სამთამადნო განყოფილების კანტორაში.

სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მიეცემათ ქართული ენის მცოდნეთ. ნ. 651 2—1

---

კვირას, 24 იანვარს **„კომუნისტი“-ს**

კანტორის ბინაზე, დილის 11 საათზე დანიშნულია

**განცხადებათა შემკრებ აგენტების კრება**

2—2 მთავარი კანტორა

---

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის

ა ხ ა ლ ი ს უ რ ა თ ი

**აპოლო** **ართისტო** **ლიდი**

**ვინ არის დამნაშავე?**

რეჟისორი ალ. წუწუნავა

სამი სეანსი: 1 იქნება 5 ს. მე-2 7 ნახ. ს. მე-3—10 ს.

**სალარო ღია 3 საათიდან**

0—7 ნ. 609

---

**მასწავლებელთა საყურადღებოთ**

**გამოვიდა და იყიდება**

**პროფ. ა. პ. პინკევიჩის**

ა. ბუნების-მეტყველების მეთოდიკის საფუძვლები (ფასი 1 მ. 65 კ.)

ბ. პედაგოგიკა ტომი მეორე. შრომის სკოლა (ფასი 1 მ. 50 კ.)

(ქართულ ენაზე)

**გამოცემა აჭარისტანის სახელგამის.**

მისამართი: ქალ. ბათომი, აჭარისტანის სახალხო განათლების კომისარიატი. 3—3 ნ. 637

---

სასწავლო განყოფილება

მიიღება დაკვეთა ტრიკო ჟაკეტი ჩულქები წინდები სათბურები მუშათის ...

მიიღება დაკვეთა თეთრეულის, ბავშვების ზედა ტანისამოსის და ტანისამოსების და მაუდების

განათ. სახ.

ელბაქიძის დაღმართი № 14

10 % დაკლებით

ნ. 635 2—2

---

**ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ „СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ“**




**ავადმყოფობათა წამლობა**

პროფესორ ბრაუნ სეკარის წესის მიხედვით.

**„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან“.**

„გალენ მოსკოვის“ კოოპერატივის ორგანოთერაპევტიული ლაბორატორიისა, ნებადართულია ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8362 დამზადებული პროფესორ ბიუხნერის საშუალების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.

გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების აშლილობას, ყოველი სახის ნევრასტენიას, ხსოვნის მოდუნებას, სიბერისგან დაავადებას, სხეულის სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ათაშანგი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მილების ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარი სახე კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, პლექი, შაქრის ავადმყოფობა. ხერხემალის ანთება და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული და არაფერს ვნებს პირდაპირი ავადმყოფობის გარეშე.




სეკარის სითხე იყიდება სააფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. საწყობის და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში. ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაგზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება 25 პროც. კორესპონდენცი. და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გ ა ლ ე ნ ი ს“ ა.-კ. წარმომადგენლობა, თბილისი, თავისუფლების მოედ. № 2. адрес: Зак представит. коопер. „Гален“ Тифлис площадь своб. № 2 Караван. Сарай Тамамшева вход напротив быв. гостиниц. „Кавказ“. Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооператива „Гален-Москва“ Москва ул. Герцена № 5 отд. 3. ნ. 425 0—12.

---

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

**„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას**

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

---

**მოწაფეთა საყურადღებოთ**

გამოვიდა და იყიდება

**ფ. ი. მიხალევსკის**

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული. 0—10

---

**1926 წ.**

**გ ა მ ო ვ ა**

განათლ. სახ. კომისარ. სოც. აღზრდ. მთავარმართველ. და ახ. კომ. კავშ. ცენტრ. კომიტეტის ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები ბავშვებისათვის

მცირეწლოვ. **„ნაკადული“** მე-XXII წ.

მოზრდილ. **„წითელი სხივი“** წელ. მე-III

**ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით**

გადაგზავნით: „ნაკადული“-ერთი წლით 3 მ. 50 კ. ნახევარი წლით—2 მან.; „წითელი სხივი“-ერთი წლით 5 მ. ნახევარი წლით—3 მან.

ცალკე ნომერ „ნაკადული“ 30 კაპ. „წითელი სხივი“ 45 კაპ.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „წითელი სხივის“ რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ნ. 516 6—5

---

გაზეთი

**ახალი საქართველო № 11**

**იყიდება ყველგან**

---

**ქ. თბ. მე-2 რაიონ. სასამართლო. აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი**

ამით აცხადებს, რომ 28 იანვარს 1926 წ. შუადღის 2 საათზე სახლში გრაფის და ბაზრის ქ. ქ. კუთხეში საჯარო ვაჭრობით გაყიდის იაგორ იაგორაშვილის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, სკამებს, კასრებს და ღვინოს შეფასებულს 590 მანეთად, თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 29 აგვისტ. 1925 წ. თარიღით, № 3070 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა.

1280 1—1

---

**ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი**

ამით აცხადებს, რომ 30 იანვარს 1926 წელსა დილის 10 საათზე ადგილობ ქ. ქუთაისში ჭავჭავაძის ქუჩაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ივ ნე მიხეილის-ძე ბოლოკიასი ქვიტკირის სახლის, მდებარეს იმავე ქუჩაზე აგებული. ნაკვეთ მიწაზე მიწა—ზომით დაახლოვებით 150 კვადრატული საჟენი, შეფასებული 215 მანეთად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან თბილისის კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილების ვალის დასაკმაყოფილებლად. ყველა იმ პირმა ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. ამოქალაქო საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 657 1—1

---

ელექტრონით და სინათლით

**სამკურნალო**

საწოლებით რენტგენი დაარსებული

**მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყოჩლამოვის ქ. № 20.

---

**ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო. აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი**

ამით აცხადებს, რომ 28 იანვარს 1926 წ. დღის 12 საათზე მუხრანის ბაზარში საჯარო ვაჭრობით გაყიდის მიხეილ ლაზიშვილის მოძრავ ქონებას: ათწილად სასწორს და საწერ მაგიდას შეფასებულს 60 მანეთად, თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 1 ოქტომბრ. 1925 წ. თარიღით, № 3490 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 1280 1—1

---

Судебный исполнитель при Нарсуде 4-го района гор. Тифлиса Г а в с о в и ч об'являет, что 27 января 1926 г. в 10 ч. утра по Черкезовской ул. № 84 будет происходить публичный торг на продажу права на одну четвертую часть построек, принадлежащих Софии Александровне Оганезовой, урожденной Далакишвили, на удовлетворение взыскания Гарегина Иосифовича Оганезова по исполнительному листу Обсуда Восточный Грузии от 22 октября 1924 г. за № 27049 и оценен. в 726 р. 28 к., с каковой цены и начнется торг. Постройки эти состоят из одного одноэтажного и одного двухэтажного каменных домов. Желающие торговаться должны в день торга представить судебному исполнителю справки коммунхоза и нотариальнаго отделения о том, что ни они сами, ни члены их семьи, нигде не владеют какими либо строениями.

1264 1—1 Судебный исполнитель Г а в с о в и ч.

---

**ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო. აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი** ამით აცხადებს, რომ 29 იანვარს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 9 გუდოვიჩის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის კონსტანტინე მაჭავარიანის მოძრავ ქონებას: ხის ავეჯს და სპარსულ ხალიჩას შეფასებულს 555 მანეთად, „ნოვტრესტტორგის“ ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 19 იანვრის 1926 წ. თარიღით, № 176 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა.

1274 1—1

---

**თბილისის უბნის რკ. გზის სოც. დამზღვევი სალარო**

აცხადებს აღმასკომის კომუნალურ განყოფილების, ტრესტების და კოოპერატივების საყურადღებოთ, რომ ყველა რკინისგზელ მუშა-მოსამსახურეთ, დაზღვეულთ რკინისგზის სალაროში, აქვთ პირადობის მოწმობა, გაცემული რკინისგზის სათანადო დაწესებულების მიერ ფოტოგრაფიული სურათით და იგივე მოწმობა იმავე დროს ითვლება მათთვის დაზღვევ წიგნაკათ.

თბ. უბ. სოც. დამზღ. სალაროს თავმჯდომარე ლაშქარაშვილი.

1270 3—1

---

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან ეორე სახლი. 25—1

---

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ალიხანის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისის და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებანი) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

---

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ქვები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებით და სხვ.). ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 საათამ. ბელგიის ქუჩა № 1.

---

ექიმი **მ. ა. ლუკოვსკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტთა კორპ. უკან.

---

ექიმი

**დ. ა. გედევანიშვილი**

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს.

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძმელაძის ქუჩა (ყოფილი საპიორნი) № 32. 25—1

---

ავადმყოფების მიღებას

პროფესორი

**მ. წინამძღვრიშვილი**

აწარმოებს დილის 9 ს-დან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. კვირა დღეს არც ავადმყოფებს იღებს და არც რაიმე განმეორებითი რჩევებს აძლევს. ყოფ. ელისაბედის ქ. № 7, ხიდის მახლობლად ტელეფ. 14—56 989 25—1

---

მედიცინის დოქტორი

**ა. ა. მონსე**

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

---

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მახარობლის ზემოდ აფთიაქის პირდაპირ.

---

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 6.

---

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 73 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

---

ექიმი **გ. ნ. მანგაკიანც**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38.

---

**ექ. ე. მ. მძინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღეს 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—1

---

ექიმი **ჯალალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.

შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5-დან 9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.

მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

---

**დაიკარგა** საბინაო დავთარი სახლი ბუზარეშვილისა, მატინოვის ქ. № 15 ჩ. გ. 1—1 1272

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა, ალრიცხვის ბარათი და მოწმობა გიორგი სანდროს ძე ბაკურაძის სახელზე ჩ. გ. 1—1 1270 (ა)

**დაიკარგა** დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 159 მარიამ ბუაძის სახელზე ჩ. გ. 1—1 1275

**დაიკარგა** პირადი წიგნაკი ფ. № 4 გიგო ყურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1268

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიო-ფარმაცევტიულ დარგიდან მარიამ ხარიტონის ასულის პაპაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1273

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა № 135 ნიკო ერაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1276

**დაიკარგა** პარტბილეთი № 500622, კავშირის წიგნაკი № 6035, სამხედრო საალრიცხვო ნუსხა, მუშკოოპის საწევრო წიგნაკი, 2 პირადობის მოწმობა კავშირის და მაღაროების მიერ—ბიქტორ ბრეგაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1277

**დაიკარგა** საწევრო წიგნაკი № 9207—გიორგი თორალიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1278

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა, პარტიული მანდატი „რემედასის“ წიგნაკი, ბოდბის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი—თედო ბრეკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1279

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა—გიორგი მიხეილის ძე ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 ნ. 656

**დაიკარგა** მომხმ. საზ. „კოოპერაცია“-ს საწევრო წიგნაკი № 5677—გიგო თედორეს ძე ჩივაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 ნ. 65

**დაიკარგა** სახელმწიფო ოპერის და დრამის თეატრის 1924—25 წლის სეზონის ბილეთი ა. გ. კაკაბაძის სახელზე № 111, ჩ. გ. 1—1 1281